დავით სართანია – ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ცენტრის ხელმძღვანელი.

– დაიბადა 1958 წ. სოფელ კვაუთში (მდ. ტეხურის ხეობა);
– დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი (1982 წ.);
– სამეცნიერო ინტერესის სფერო:

- ქართული ეთნოფასეულობათა სისტემა და ეტიკეტი;
- ბუნებათსარგებლობის ტრადიცია საქართველოში;
- ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა.

გამოქვეყნებული ნაშრომები:

I. სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი:

1. „განხეთქილების ვაშლი“, თბ., 1997;
2. „ესკიზები ივანე ჯავახიშვილის პორტრეტისათვის“, თბ., 2017.

II. მონოგრაფია: „ივანე ჯავახიშვილი და ქართული ეტიკეტის ისტორიის საკითხები“, თბ., 2002;

III. ბროშურები:

1. „შტუდიები ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მეთოდოლოგიიდან“, თბ., 2006;
2. „ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა და მისი გამოცემული შრომები“, თბ., 2009;
3. „ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ამოცანებზე საქართველოსა და კავკასიის მომავლისათვის“, თბ., 2010;

IV. სასკოლო სახელმძღვანელო: „საქართველოს და მსოფლიოს ისტორია“ (თანაავტორი), თბ., 2007;

V. სამცხე-ჯავახეთი (ცნობარი და რუკების ნაკრები), თბ., 2016 (თანაავტორი);

VI. ივანე ჯავახიშვილის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა, თბ., 2016 (თანაავტორი);

VII. პუბლიკაცია: ივანე ჯავახიშვილი, ქართული უნივერსიტეტისათვის, თბ., 2016 (შემდგენელი);

VIII. პუბლიცისტური წერილები და სამეცნიერო სტატიები სხვადასხვა საკითხზე მშობლიურ და უცხოურ გამოცემებში.

ISBN 978-9941-27-788-7

9 789941 277887

ეწვიეთ ივანე ჯავახიშვილის ცენტრის ვებგვერდს — **ivane.ge**

დავით სართანია

საუბრები ივანე ჯავახიშვილთან

ივანე ჯავახიშვილის ცენტრი

დავით სართანია

საუბრები
ივანე ჯავახიშვილთან

თბილისი
2018

udc (უაკ) 930 (479.22) (092 ჯავახიშვილი)
ს - 286

კრებული გვამცნობს დიდი ქართველი მოღვაწის ივანე ჯავახიშ-ვილის თვალსაზრისს სხვადასხვა საკითხზე და განკუთვნილია მკით-ხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი
ოთარ ჯანელიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ISBN 978-9941-27-788-7
© დავით სართანია

ეძღვნება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დაარსების 100 წლისთავს

შინაარსი

წინათქმა 5

„ეროვნული მოქმედების მტკიცე ხელმძღვანელი“ 7

„უმაღლესი მეცნიერებისა და განათლების ცეცხლი“ 24

„სახელმწიფო მოღვაწის სიბრძნე და უმანკო,
ყოვლად მოწყალე, განურისხებელი გული“ 61

„ქართველი ხალხის ძირითადი ზნეობრივი შეხედულება
სახარების მოძღვრებაზე იყო დამყარებული“ 78

ბოლოთქმა 100

წინათქმა

ივანე ჯავახიშვილის მრავალმხრივი და საინტერესო მემკვიდრეობა არაერთ სადღეისო პრობლემასაც ეხმიანება და ორიგინალურ პოზიციასაც გვიმჟღავნებს. მისი თითოეული მოსაზრება იმდენად აქტუალურია, რომ ზოგიერთი მათგანი მრავალ სხვადასხვა საკითხზე გვაძლევს პასუხს, ზოგიერთი კი დაფიქრებისა და განსჯისთვის უხვ წყაროს გვთავაზობს. თუმცა ეს მოსაზრებები გაბნეულია მის სამეცნიერო ნაშრომებში, მოხსენებებში, პირად წერილებში და სხვა რიგის მასალებში.

იმ საკითხებზე, რომლებსაც მეცნიერი შეხებია საგანგებო ნაშრომი რომ დამეწერა, სხვადასხვა მასალიდან მრავალი ციტატები უნდა მომეყვანა, საკუთარი კომენტარებითა და მსჯელობებით დამეხუნძლა და რთულ საკითხავად გამეხადა. ყოველივე ამით მკითხველი რომ არ გადამეღალა, ვარჩიე თავად დიდი ივანესათვის დამეთმო დროც და ადგილიც. თუმცა აქაც იყო საშიშროება, რომ ამონარიდების გროვა არ მიმეღო. ამიტომ შეკრებილ მასალას ინტერვიუს ფორმა მივეცი: მეცნიერის თითოეულ მოსაზრებას შესაბამისი კითხვა დავუსვი და გარკვეული აზრობრივი თანმიმდევრობით დავალაგე. ასე რომ, ერთგვარად ვირტუალური ინტერვიუ გამოვიდა.

მოცემულ საკითხზე მეცნიერს სხვა დებულებებიც აქვს გამოთქმული და ისინი ამ „ინტერვიუებში“ ვერ მოხვდა. ცნობილია, რომ

ინტერვიუერი რესპონდენტს ისეთ კითხვებს უსვამს, რომელიც მის მიზანდასახულობას შეადგენს. ამიტომაც ყველა მოსაზრების აქ წარმოდგენა ჩემს ამოცანას არ შეადგენდა. წინამდებარე გამოცემა ერთგვარი ჭაშნიკია და თუ იგი მკითხველისათვის საინტერესო გამოდგა, სხვა საკითხებიც დამუშავდება და ბოლოს ერთ სრულ წიგნად იქნება წარმოდგენილი.

ვგონებ მკითხველი გამოიჩენს დიდსულოვნებას, ხარვეზს მომიტევებს, საქმიან შენიშვნებსაც არ დაიზარებს და გამოიტანს თავის პირუთვნელ მსჯავრს.

„ეროვნული მოქმედების მტკიცე ხელმძღვანელი“

ბატონო ივანე! თქვენი ღვაწლის შესახებ ჩვენმა საზოგადოებამ ზოგადად ბევრი იცის. მაგრამ მაინც საინტერესოა, როგორი გზა გაიარეთ, სანამ მკვლევარი გახდებოდით. მოგვიყევით თქვენს საბავშვო გატაცებასა და ინტერესებზე. რა უფრო გიზიდავდათ და გიყვარდათ?

„პატარობიდგანვე ხატვის ნიჭი მეტყობოდა, ხატვა მიყვარდა და გიმნაზიაში შესვლის შემდგომ ხატვასაც გულმოდგინედ ვსწავლობდი. ხატვის ერთ-ერთი გაკვეთილის დროს ჩვენმა მასწავლებელმა მხატვარმა შამშინოვმა, ჩემი ნახატით აღტაცებულმა, ბრწყინვალე მომავალიც კი მიწინასწარმეტყველა ამ დარგში. მაგრამ იგი ვერაფერი წინასწარმეტყველი გამოდგა: მეოთხე კლასითგან მეცნიერებამ გამიტაცა მთლიანად და მოუცლელობის გამო იძულებული ვიყავი ხატვისთვის თავი დამენებებინა.“

იქნებ სწორედ ხატვამ შეასრულა დიდი როლი თქვენს მიერ მეცნიერებით დაინტერესებაში? თქვენ ხომ მამას ეხმარებოდით ძეგლების ჩუქურთმების გადმოხატვაში. სწორედ მაშინ ხომ არ დაიწყო ისტორიით თქვენი დაინტერესება? გვიამბეთ ამის შესახებ.

„კლასიკური გიმნაზიის მეორე კლასითგან რომ მესამე კლასში გადავედი, ზაფხულში მამაჩემი ქართლის ზოგადი აღწერილობის შესადგენად არქეოლოგიური მასალების შესაგროვებლად თეძმის ხეობაში, რკონის მონასტრის ძეგლების დასათვალიერებლად და აღსაწერად გაემგზავრა... იმ დროისათვის ... საკმაოდ კარგად ვხატავდი როგორც ფანქრით, ასევე ფერადი საღებავებით. დ. ბაქრაძესთან საუბრის შემდეგ, მამაჩემმა თავისთან ერთად ჩემი წაყვანა გადაწყვიტა, რომ ძეგლების გეგმების შესადგენად გაზომვის დროს დავხმარებოდი და ჩუქურთმებისა და წარწერების პირები გადმომეღო.“

კიდევ რა საგნები გიტაცებდათ გიმნაზიაში სწავლის დროს?

„გინმაზიაში სწავლის დროს ჩემს საყვარელ საგნებს ბერძნული ენა და მწერლობა, ისტორია და ფილოსოფია შეადგენდა. მეადვილებოდა თხზულებების წერაც.“

ისტორიით როდის დაინტერესდით?

„მეხუთე კლასითგან მოყოლებული ისტორიის მასწავლებლად საბინ-გუსი გვყავდა. კარგად განათლებული ადამიანი იყო, რომელიც უნივერსიტეტში შეძენილი ცოდნით არ კმაყოფილდებოდა და ახალ სამეცნიერო მწერლობასაც ადევნებდა თვალყურს. მეხუთე კლასში საბინ-გუსმა დაგვირიგა დასავლეთ ევროპის ისტორიითგან თემები თხზულებების დასაწერად. ჩვენ ნაშრომებს კლასში რიგრიგობით ვკითხულობდით და შემდეგ მსჯელობა გვქონდა ხოლმე, რომელიც თვით მასწავლებლის დასკვნით, შეფასებითა და დარიგებით მთავრდებოდა ხოლმე. ჩემი ჯერი რომ დადგა და მოხსენება წავიკითხე, საბინ-გუსს ძალიან მოეწონა და შემაქო. ისტორიის გაკვეთილების დროს საბინ-გუსს ჩვეულებად ჰქონდა, რომ რთულ საკითხებს წამოაყენებდა ხოლმე და მოწაფეებს გვაკითხებდა, მოსაზრებების გამოთქმას და დასაბუთებას გვაჩვევდა. კლასში ამხანაგებს შორის ისტორიის საუკეთესო მცოდნეს სახელი მქონდა მოხვეჭილი და, ეტყობოდა, რომ საბინ-გუსიც ასე ფიქრობდა. როდესაც წამოყენებულ კითხვებზე, კლასში დამაკმაყოფილებელი პასუხის მიცემა არავის შეეძლო, მაშინ საბინ-გუსი მე მკითხავდა ხოლმე და, ჩვეულებრივ მიღებული პასუხის კმაყოფილი იყო ხოლმე. ეს იმით აიხსნება, რომ მთელ ჩემს დროს სამეცნიერო წიგნებისა და ჟურნალების კითხვას ვანდომებდი და კლასის თანამოასაკეებზე მეტად გატაცებული ვიყავი მეცნიერებით და ამის წყალობით ისტორიისა და ჰუმანური დარგების სფეროთაგან სხვებზე, რომელნიც ჩვეულებრივ, მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოებით კმაყოფილდებოდნენ, გაცილებით უფრო მეტი ვიცოდი.“

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ თქვენ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტი აირჩიეთ და იქ განაგრძეთ სწავლა. დაგვიხასიათეთ მაშინდელი თქვენი პედაგოგები.

„მე რომ უნივერსიტეტში შევედი და სწავლა დავიწყე, ქართულს არავინ კითხულობდა, ალ. ცაგარელი თვეობით არ დადიოდა ლექციებზე და თავის მოვალეობის შესრულებაზე სრულებითაც არ ფიქრობდა. ნ. მარი მაშინ მხოლოდ სომხურ ენას ასწავლიდა და მისი გატაცებული მუშაობა მხიბლავდა და მამხნევებდა იმ აღმაშფოთებელ გულგრილობაში, რომელსაც ცაგარელი იჩენდა ქართულისადმი. ნ. მარის ლექციები სომხურში ტექსტების თარგმნას და გრამატიკული კომენტარებს შეიცავდა... მეტად საინტერესოდ და ცოცხლად იცოდა მან გადმოცე-

მა, მაგრამ ჩემ დროს არც სომხურ მწერლობის ისტორიაში და არც, მით უმეტეს სომხეთის ისტორიაში ლექციებს არ კითხულობდა. სპარსულს ვალ. ჟუკოვსკი გვასწავლიდა, ამ ენის და ლიტერატურის საუცხოო მცოდნე, მაგრამ არასდროს მისი მუშაობა სპარსული ტექსტების თარგმნას და ზოგჯერ კომენტარებს არ გასცილებია. აღმოსავლეთის ისტორიის შესავალს გულისამრევად ვესელოვსკი კითხულობდა, რომელიც უფრო უძილობის წამლად იყო გამოსადეგი, ვიდრე ლექციად. ამგვარად, აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე ენების გარდა მე არაფრის შესწავლა არ შემეძლო. საქართველოს ისტორია მაშინ დ. ბაქრაძის წიგნით უნდა ესწავლა ადამიანს. საბინინის „საქართველოს სამოთხე“, თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ I და II წიგნები, შიომღვიმის ისტორიული საბუთები და ექ. თაყაიშვილის „სამი ისტორიული ქრონიკა“ – აი, ეს იყო მაშინდელი მთელი ჩვენი ავლადიდება. მე საქართველოს ისტორია მაინტერესებდა, ამ დარგში კი არავინ მუშაობდა. ამიტომ უნდა მე თვითონვე მეცადნა გზის გაკაფვა: ისტორიის მეცნიერების რთული მეთოდოლოგიაც შემესწავლა, ტექსტების კრიტიკული განხილვაც მომეხერხებინა და მოპოვებული შედეგით ჩვენი ერის წარსული – უტყუარი და არა ზღაპრული – სურათის აღდგენა მეცადნა. ამიტომ – ოფიციალურად აღმოსავლურ ენების ფაკულტეტზე ჩაწერილი – ყოველთვის, როცა დრო მქონდა, ისტორიულ-ფილოლოგიური და იურიდიული ფაკულტეტის ლექციებზე დავდიოდი და ვსწავლობდი. ისტორია მე ფართო გაგებით მიტაცებდა და ჩემი მაშინდელი და ეხლანდელი რწმენითაც ისტორიკოსს საფუძვლიანი ფართო განათლება უნდა ჰქონდეს...“

თქვენ მართლაც შესაშური განათლება მიიღეთ, რომელიც შემდეგ ბერლინის უნივერსიტეტში კიდევ უფრო გააღრმავეთ. დაგვიწერეთ არაერთი ნაშრომი ჩვენი ერის წარსულის სხვადასხვა საკითხზე. მაგრამ გამოჩნდნენ ზოგიერთები, რომლებსაც ისინი არ მოეწონათ. თქვენი ნაშრომი „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ გააკრიტიკა ფილიპე მახარაძემ და თქვენ მას არ უპასუხეთ. ხოლო როცა იაკობ გოგებაშვილმა ნიკო მარს მცირედ გაჰკრა კბილი, თქვენ მაშინვე გამოეხმაურეთ და იაკობის პოზიცია დაიწუნეთ.[1] რატომ მოხდა ასე?

[1] აქ დრო შეგნებულადაა იგნორირებული. ფ. მახარაძის რეცენზია ივ. ჯავახიშვილის ნაშრომზე „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ დაიბეჭდა 1907 წ. ჟურნალ „ცისკარში“. ხოლო იაკობ გოგებაშვილის მიმართ საპოლემიკო ნაშრომი გამოქვეყნდა 1904 წ. მიუხედავად ამისა „დასმული კითხვა“ და მასზე გაცემული „პაუხიც“ ჩემი აზრით კარგად გამოხატავს ივანეს პოზიციას. და ეს მეცნიერის ნააზრევის დამახინჯებად არ უნდა ჩაითვალოს.

„ჩვენში ხშირად იბეჭდება ხოლმე ისეთი წიგნები თუ წერილები, რომელთა შინაარსს განათლებული კაცი ვერ დაეთანხმება; მაგრამ, როცა თხზულება სუსტად არის დასაბუთებული და ავტორიც ისეთ მოღვაწეთა ჯგუფს არ ეკუთვნის, რომელთაც პირადად დიდი გავლენა აქვთ, მაშინ შეიძლება კაცმა წიგნს თუ სტატიას ყური არ ათხოვოს; ხოლო როცა რომელსამე გავლენიან და დამსახურებულ მწერალს თავის თხზულებაში შემცდარი, საზოგადოებისათვის მავნებელი აზრები აქვს გამოთქმული, თითოეული განათლებული ქართველი ზნეობრივად მოვალეა უყურადღებოდ არ დატოვოს წიგნი: ავტორის პირადი გავლენის წყალობით შემცდარი აზრიც კი ადვილად ვრცელდება საზოგადოებაში. პატივცემული იაკობ გოგებაშვილის თხზულება „ბურჯი ეროვნებისა“ ასეთი წიგნი გახლავთ. მისი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება: ბატონ გოგებაშვილს ჩვენში დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი, იმის აზრს და შეხედულებას საზოგადოება ყურადღებით ისმენს ხოლმე. ამიტომ შესაძლებელია ჩვენმა მკითხველმა საზოგადოებამ ამ წიგნიდან ზოგიერთი შემცდარი აზრი შეითვისოს, რომელთა გავრცელება ჩვენი წარმატებისათვის ფრიად მავნებლად უნდა ჩაითვალოს. ამ აზრების კრიტიკული განხილვა უფრო იმიტომ არის საჭირო, რომ ამგვარ შეხედულების მომხრე, რამდენადაც მე ვიცი, მარტო ბატონი გოგებაშვილი არ ბრძანდება, – ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი ამნაირსავე აზრებს აღიარებს.“

ბატონი იაკობ გოგებაშვილის ავტორიტეტშია საქმე და თავად ნაწარმოები მდარეა? მას რაიმე ღირებულება არ გააჩნია?

„ბატონ გოგებაშვილის წიგნის დედაზრი, – რომ დედაენას ერისა და კერძო პირების განვითარებასა და წარმატებაში დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ დედაენა წარსული და თანამედროვე ეროვნების ცხოვრების სარკეა, – სრული ჭეშმარიტება გახლავთ.“

მაშ რაში მდგომარეობს საქმის არსი?

„ამ საგანზე კი არა, სულ სხვა, ერთ ფრიად საყურადღებო საკითხზე სიტყვის ჩამოგდებას ვაპირებ. ამ საგანს თვით ბატონი გოგებაშვილი ეხება... ეს საკითხი მეცნიერის მამულიშვილურ მოვალეობას შეეხება, ან, როგორც სათაურშია ნათქვამი „მამულიშვილობასა და მეცნიერებას“.

კერძოდ რას?

„სჯობს ჯერ თვით ბატონი გოგებაშვილი ვალაპარაკოთ, ბატონი გოგებაშვილი ბრძანებს: „ევროპაში, მეტადრე ბოლო ხანებში, ყველა პატარა ერი, დიდს სახელმწიფოებთან შეერთებული, სცდილობს დაამტკიცოს, რომ იგი ღირსია დაცულ იქნას თავისის ენით, ლიტერატურით, ხალხოსნობით. საუკეთესო ღონისძიებად ამ წადილის მისაღწევად მათ მიაჩნიათ გამორკვევა და გამოაშკარავება თავისის წარსულის ცხოვრების ღირსებისა, ღვაწლისა, თავისებურობისა. ხშირად ამ გამოკვლევას აქვს ადვოკატური, გამოსარჩლებითი ხასიათი: ღირსებანი დიდდებიან, ნაკლულევანებები მცირდებიან, მაგრამ მას სარჩულად უძევს უწმინდესი გრძნობა – მამულის სიყვარული და უზენაესი მიზანი – დაცვა თავისის ერის სიცოცხლისა... ჩვენ შორის რაღასა ვხედავთ? ხშირად სრულიად წინააღმდეგსა...“

მერედა რაა ამაში ცუდი? ადამიანს თავისი დაჩაგრულ ერზე გული რომ შესტკიოდეს, განა დაეძრახება?

„ბატონ გოგებაშვილსა ჰგონია... ვითომც მხოლოდ იმ ერსა ჰქონდეს კანონიერი უფლება შეირჩინოს თავისი დედაენა და კულტურა, რომელსაც ბრწყინვალე წარსულით თავი მოაქვს.“

მერედა ცდება? ერი, რომელსაც საუკუნეების მანძილზე მდიდარი ისტორია შეუქმნია, შეიძლება იმ ერებს გავუტოლოთ, რომლებიც ახლახან გამოვიდნენ სამზეოზე, თორემ რამდენიმე საუკუნის წინ არც არავინ იცოდა მათი არსებობა?

„აგრე რომ ყოფილიყო, მაშინ რა უნდა ექნათ ნორვეგიელებს, რომელთა ეროვნული აღორძინება დიდი ხანი არაა რაც დაიწყო. რა უნდა ექნათ ფინელებს, – მათაც ხომ კაცობრიობის წინაშე წარსულში არავითარი ღვაწლი არ მიუძღვით? ამ ერთი საუკუნის[1] წინათ სამშობლო ენაზე არც სამეცნიერო, არც ხელოვნური მწერლობა თითქმის სრულებით არ მოეპოვებოდათ. საქმე ეგრე რომ დატრიალებულიყო და ყველგან დედამიწის ზურგზე მხოლოდ ამა თუ იმ ეროვნების წარსული ღვაწლის სიდიდის მიხედვით მიენიჭებინათ ნაციონალური განვითარების უფლება, არა მგონია, დიდი სარგებლობა მოეტანა დაჩაგრულ ერთათვის.“

გოგებაშვილისებურად დღესაც ბევრი ფიქრობს და აქ ჩვენი საყვარელი ქართველი ერია მხედველობაში. ჩვენ, ქართველები, ხომ ასე

[1] აწ უკვე 2 საუკუნის წინათ. ეს სიტყვები 1904 წ. დაიწერა.

ვფიქრობთ: ჩვენი დამპყრობელი რუსეთის იმპერიასთან შედარებით უფრო ძველი და მდიდარი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორია გვაქვს. ამიტომ ჩვენ ამ უპირატესობას ვეჭიდებით და იარაღად ვიყენებთ. განა ცუდია ეს?

„ერთი იკითხოს კაცმა, ვინ უნდა გადაწყვიტოს, მართალი ბრძანდებიან თუ არა „ადვოკატურ, გამოსარჩლებითი“ თხზულებების მწერალნი, მიუძღვის მართლა ამა თუ იმ ეროვნებას კაცობრიობის წინაშე საკმაო ღვაწლი თუ არა, საკმაო უნარი და ფხა გამოიჩინა, რომ ნება ჰქონდეს... ეროვნული თავისუფლება მოითხოვოს? – რასაკვირველია, ერმა. მერე, გამწვავებულ ეროვნულ ბრძოლის დროს განა მოსალოდნელი არ არის მძლავრმა, მებატონე ერმა თქვას, თქვენ საკმაო ნიჭი ვერ გამოიჩინეთ და ამიტომ უფლებების ღირსი არა ბრძანდებითო? ოღონდაც შესაძლებელია.“

როგორ? რომელ რუსს შეუძლია უარყოს ჩვენი ისტორიისა და კულტურის სიძველე და თვითმყოფადობა?

საბუთებით ვილაპარაკოთ. „მოვიგონოთ მაგალითად, თუ რა საბუთი წამოაყენეს გერმანელებმა, როცა ისინი ავსტრო-უნგრეთის იმპერატორს სთხოვდნენ, ჩეხების ენას გერმანულის თანასწორ უფლებებს ნუ მიანიჭებთო? – სწორედ ის საბუთი, რომელიც ბატონ გოგებაშვილს გულით მოსწონს: ჩეხები იმდენად მაღალ კულტურას მოკლებული ხალხია, რომ გერმანულ ენის შესუსტება კულტურის გაქარწყლებას მოასწავებსო.“

გერმანელებთან შედარებით ჩეხების კულტურა მართლაც რა მოსატანია?

„მერე მართალია ეს? ჩეხებს... ერთ დროს ბრწყინვალე ხანა ჰქონდათ და კაცობრიობას იან ჰუსი[1] შესძინეს. მაგრამ გამწვავებულ ეროვნულ ბრძოლის დროს მებატონე ხალხის წარმომადგენლებს იანი არც კი მოჰგონებიათ... მკითხველს არ ეგონოს, რომ ეს ავსტრო-უნგრეთის იმპერატორისადმი მირთმეული გერმანელების მოხსენება ვიღაც ბიჭ-ბუჭების შედგენილი იყოს, – თვით სახელოვანი... მეცნიერი, ისტორიკოსი თევდორე მომზენი და ბევრი სხვა კიდევ გამოჩენილი მეცნიერი აწერდა ხელს.“

---

[1] იან ჰუსი (1369-1415 წწ.) – ჩეხი მოაზროვნე და საეკლესიო რეფორმატორი.

როგორ დამთავრდა ეს ჭიდილი?

„გერმანელთა თხოვნამ ვერ გასჭრა და ვერც გასჭრიდა. რატომ? ვითომ იმიტომ, რომ ჩეხმა მეცნიერებმა გერმანელთა განათლებულ საზოგადოებას დაუმტკიცეს ბატონ გოგებაშვილის მიერ უებარ წამლად ცნობილ საშუალებით – „ადვოკატური გამოსარჩლებით“, თავიანთ ეროვნულ ღირსებათა გაზვიადებით და ნაკლულებანებათა შემცირებით? რასაკვირველია, არა. ჩეხებმა თუ რამე უფლება მიიღეს, მხოლოდ კულტურის აღორძინებით, ეკონომიკური წარმატებისა და პარლამენტის ბრძოლის წყალობით. რამდენიც უნდა ეწერათ ჩეხელ მეცნიერთ... „ადვოკატური“ თხზულებები, ვერაფერს ვერ ეღირსებოდნენ ისინი, თუ კი საზოგადოების გამოფხიზლებით და პარლამენტის ბრძოლით გამარჯვებულნი არ გამოსულიყვნენ.“

ეს ყოველივე მაინც ევროპაში ხდება და გერმანიასა და რუსეთს ერთმანეთს ვერ შევადარებთ.

„ადვოკატური“ ანუ გაყალბებული ისტორიის წერა „ჩვენი საზოგადოებრივი და ნაციონალური საქმისათვის... ფრიად მავნებლად უნდა ჩაითვალოს, იმიტომ რომ საზოგადოებაში ცრუ აზრი ვრცელდება, ვითომც საჭიროა მხოლოდ „ადვოკატურ გამოსარჩლებით“ ჩვენმა მეცნიერებმა რუსეთის მთავრობას და ხალხს დაუმტკიცონ, რომ ქართველები ნიჭიერები არიან, საუცხოო კულტურა ჰქონდათ ოდესღაც, რომ საქმე გაიჩარხოს და გვითხრან, მოგვინიჭებია ყველა უფლებაო. ამნაირად საზოგადოება წყალობის მოლოდინს ეჩვევა და ამის გამო თვითონ, როგორც მომლოდინეს შეეფერება, არას აკეთებს. ჩვენში ერთობ ძალიან არის გავრცელებული ეს „მოიღეთ მოწყალების“ პოლიტიკა: თავადაზნაურობას ჰგონია, მაგ., რომ საკმარისია თავისი სურვილი და გულისნადები შეატყობინოს ვისაც ჯერ არს და თანაც მოაგონოს, რომ მათი წინაპარნი ჩოლოქის და დაღისტნის ომებში გულადად იბრძოდნენ, რომ მაშინვე ერობაც მიენიჭოთ, ნაფიც მსაჯულთა დაწესებულებაც და სახელმწიფო ბანკის... ვალებიც ეპატიოთ. რამდენი იყო ჩვენში ამ ვალების პატიების მოიმედე, იმის მაგივრად, რომ პირადი გამჭრიახობით და მუშაობით თავიანთი ქონებრივი მდგომარეობა გაეუმჯობესებინათ, იმის მაგივრად, რომ ვიდრე ერობას ეღირსებოდნენ, გზების შეკეთებისა და გაყვანაზე, საავადმყოფოების და სამრეწველო ამხანაგობათა დაარსებაზე ეზრუნათ.“

ეს კი მართალია. ჩვენ ყოველთვის სხვას ველოდებით და ვადანაშულებთ. სხვას რომ საუბარში რამე შეეშალოს, მაშინვე თავს დავაცხრებით, ხოლო თავად ჩვენ კი კარგი ქართულით ვმეტყველებთ? ვუვლით ჩვენს ენას, მამულს, გარემოს?

„ადვოკატური“ მეცნიერება, როცა „ღირსებანი დიდდებიან, ნაკლულევანებები მცირდებიან“, სრულებით უნაყოფო და უმნიშვნელოა ქართველობისათვის პოლიტიკაში, იგი, პირიქით, მავნებლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ჩვენ ეროვნულ თვითცნობიერების გამოღვიძებისათვისაც იმიტომ, რომ ჩვენი მეცნიერნი, რომელნიც... სამეცნიერო ადვოკატურ გამოკვლევებს შეთხზავენ, მთავრობის ნაციონალურ პოლიტიკას ვერას გზით ვერ შეცვლიან... ქართველი საზოგადოება კი ყოველთვის მოტყუებული იქნება და ვერც როდის ვერც გაიგებს, მართალია ის, რასაც მეცნიერი ბრძანებს, თუ მხოლოდ იმიტომ არის ასე საუცხოოდ აღწერილი ჩვენი წარსული, რომ ქართველთა „ღირსებანი დიდდებოდნენ, ნაკლულევანებები კი მცირდებოდნენ“... [ამას] ის მოჰყვება, რომ ჩვენვე მოვატყუებთ ჩვენ თავს, საზოგადოებას, ჩვენვე ავუხვევთ თვალებს მას და დავაბრმავებთ. ხოლო ამგვარი მოქმედება ქართველი ერის თვითცნობიერების აღორძინებას შეაფერხებს და ბოლოს მოუღებს, ხალხს ბაქიობას და უსაფუძვლო ამაყობას და კმაყოფილებას შეაჩვევს, დასასრულ ჩვენ წარსულს, აწმყოს იდეალად დაუხატავს... როცა ბ-ნი გოგებაშვილი „ადვოკატურ, გამოსარჩლებით“ საისტორიო მეცნიერებზე წერდა თავის წიგნში, ალბათ, დავიწყებია პატივცემულ ავტორს, რა მიზანი აქვს თანამედროვე საისტორიო მეცნიერებას და რა ზნეობრივი მოვალეობა აწევს მეცნიერებისა და სამშობლოს წინაშე ჩვენი წარსულის მკვლევარს.“

თქვენი აზრით, რა მიზანი აქვს საისტორიო მეცნიერებას?

„ისტორიკოსი მოვალეა მხოლოდ მეცნიერულად შეისწავლოს და გამოიკვლიოს ამა თუ იმ ერის წარსული, გამოარკვიოს, რა და რა პირობებსა და მიზეზებზე იყო დამოკიდებული სახელმწიფო, მისი საზოგადოებრივი და ზნეობრივ-გონებრივი განვითარება თუ წარმატების მიმდინარეობა. ის მეცნიერი, რომელიც მეცნიერების წინაშე თავის მოვალეობას პირნათლად აასრულებს, ის, უეჭველია, იმავე დროს ქართველ საზოგადოებასაც სარგებლობას მოუტანს, იმიტომ, რომ ყოველი განათლებული ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავისი წარსული საზო-

გადოებრივი ცხოვრების ისტორია; უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი.“

თქვენ მეცნიერის ზნეობაზე გაამახვილეთ ყურადღება. როგორ ფიქრობთ, ისტორიის წერა ზნეობის სფეროცაა?

„ცხადია, „ადვოკატურ“ ისტორიის დაწერა მხოლოდ იმ მეცნიერს შეუძლია, ვინც არავითარ ზნეობრივ მოვალეობას არა გრძნობს მეცნიერების წინაშე. მაგრამ იქნებ მამულიშვილური გრძნობა, მხურვალე სიყვარული სამშობლოსადმი აიძულებდეს ქართველ მეცნიერს „გამოსარჩლებითი“ გაზვიადებული ისტორია წეროს ხოლმე? ზემოთ ვსთქვით, რომ ამგვარი ისტორია უნაყოფოა ხოლმე პოლიტიკაში, გაზვიადებულ ადვოკატურ ისტორიის საჭიროებას მხოლოდ ის უნდა გრძნობდეს, ვინც წარსულში ეძებს ხსნას, ან ვისაც წარსულის შესწავლით სურს თავისი ეროვნული შელახული გრძნობა დააკმაყოფილოს და დაამშვიდოს. ხოლო ამგვარი სურვილი აზრადაც არ უნდა მოუვიდეს იმ ეროვნების წარმომადგენელს, რომელიც სიცოცხლესა და მოქმედებაზე ფიქრობს. საქართველოს წარსულის ცოდნა, მოგეხსენებათ, მისაბაძავად კი არაა საჭირო ჩვენთვის, შესასწავლად და გასათვალისწინებლად, თვითცნობიერების გრძნობის დასაკმაყოფილებლად. დიახაც, ქართველმა ისტორიკოსმა სრულად პირუთვნელად უნდა შეისწავლოს თავისი ერის წარსული, პირუთვნელადვე უნდა წარმოუდგინოს თავის სამშობლოს წარსული თანამემამულეებსა და უცხოელებსაც, რადგან მას არ უნდა დაავიწყდეს, რა დიდი ღვაწლიც უნდა მიუძღოდეს ეროვნებას წარსულში, თუ იგი აწმყოში არას წარმოადგენს, ბრწყინვალე წარსული ვერას უშველის: განა ეგვიპტელებსა და ასურელებზე კაცობრიობის წარმატების წინაშე მეტი ღვაწლი მიუძღვის კიდევ ვინმეს, განა სპარსელებს ნიჭი აკლიათ, განა იმათი ბრწყინვალე წარსული მსოფლიო ისტორიისათვის უმნიშვნელო იყო, რომ ახლა შესაბრალისს მდგომარეობაში არიან ჩაცვივნულნი? აშკარაა, დიდებულ წარსულს საერთაშორისო პოლიტიკასა და ცხოვრებაში დიდი გასავალი არ უნდა ჰქონდეს, აწმყოა მხოლოდ მხედველობაში მიღებული, აწმყო კულტურული...“

მაგრამ როცა ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერი ათასი ჭირ-ვარამით დატვირთულია, გარედან კიდევ მრავალნი ჩასაფრებიან და ელოდებიან თავიანთ დროს, ასეთ ვითარებაში განა ცუდია ერის გამოჩენილმა ადამიანებმა ხალხს გუნება-განწყობილება აუმაღლოს და ისეთი რამ უთხრას, რაც მას ახალი სასიცოცხლო ენერგიით დამუხტავს? ჩვენ კი

თუ ის ვამტკიცეთ, რომ ჩვენი კულტურა მეზობლების გავლენით შეიქნმაო, ამ ამოცანას ვერ შევასრულებთ. ამის მაგალითებიც ხომ გვაქვს?

„გაზვიადებული ეროვნული თავმოყვარეობა ჩვენს მამულიშვილებს ნებას არ აძლევს წარმოიდგინონ, რომ ქართველებს ოდესმე შეეძლოთ რაიმე გადმოეთარგმნათ სომხურიდან. ამნაირი გრძნობა კი ავადმყოფური თავმოყვარეობის შედეგი გახლავთ: ვინ არ იცის, რომ ძველი და ახალი აღთქმის და ყველა საეკლესიო წიგნი სომხების შეთხზული არ არის; ქართველებს საიდანმე უნდა გადმოეთარგმნათ უეჭველია ეს წიგნები, როგორც თვით სომხებმა ასურულიდან გადმოთარგმნეს, ბერძნებმა ებრაულიდან, რომაელებმა ბერძნულიდან, რუსებმა ბულგარულიდან და სხვა და სხვა. რა სათაკილოა მერე ჩვენთვის, რომ საღმრთო წერილი სომხურიდან იყოს ნათარგმნი? სომხებმა, როგორც ასურელებთან მოსაზღვრე ერმა, ჩვენზე უფრო ადრე მიიღეს ქრისტიანობა; სომხეთიდან ქრისტიანობა ჩვენშიაც გადმოვიდა, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში; დასავლეთ საქართველოშიც, მაშინდელ ლაზიკაში ვრცელდებოდა ახალი სარწმუნოება, მაგრამ იქ ბერძნებმა ისეთი მტარვალური გავლენა იქონიეს, რომ არც ლაზიკაში, არც კოლხიდაში სამშობლო ენაზე მწერლობა არ აღორძინებულა; პირიქით საბერძნეთმა ლაზიკა თითქმის სრულიად მოაშორა და მოსწყვიტა ქართველობას; ხოლო კოლხიდაშიც რომ აღმოსავლეთიდან, ქართლიდან, თანამოძმენი სამშობლო ენაზე უკვე განვითარებული მწერლობითა და წირვი-ლოცვით არ მიშველებოდნენ, საქმე ცუდად დატრიალდებოდა. ვრცლად ლაპარაკი ამ საგანზე ახლა შეუძლებელია, რასაკვირველია, თავის დროზე ვეცდებით მკითხველს წარმოვუდგინოთ, თუ რა დიადი ღვაწლი მიუძღვის კოლხიდაში სამშობლოს წინაშე ქართველ სამღვდელოებას... ახლა ვთქვათ ჩვენთვის, რითაა სათაკილო ქართველის ეროვნულ თავმოყვარეობისათვის, რომ უძველეს ხანაში ქრისტიანობა სომხეთის მხრიდანაც ვრცელდებოდა ჩვენ სამშობლოში? რად უნდა აუხვიოს გვერდი ქართველმა მეცნიერმა ამ საკითხს? აგრე რომ ყოფილიყო, გერმანელებს ხომ კრინტიც არ უნდა დაეძრათ იმის შესახებ, რომ მათ ქვეყანაში ქრისტიანობა საფრანგეთიდან გავრცელდა, მით უმეტეს, რომ ეს ორი ხალხიც ერთმანეთზე გადამტერებულია და მეტოქეობენ. მაშ რუს მეცნიერებსაც თავიანთ საეკლესიო ისტორიის უძველესი ხანის შესწავლაც ხომ ეროვნული თავმოყვარეობის დამამცირებლად უნდა ჩაეთვალათ, იმიტომ რომ

რუსების უძველესი სასულიერო მწერლობა თითქმის მთლად ბულგარულიდანაა ნათარგმნი, და სხვა და სხვა. მაგრამ არც გერმანელებს, არც რუსებს არ ეთაკილება, იმიტომ რომ სათაკილო არაფერია. ჩვენ კი იმდენად ავადმყოფური თავმოყვარეობა გვაქვს, რომ ყველას, ვინც კი ზემოაღნიშნულ საკითხს შეეხება და გამოკვლევას შეუდგება, სამშობლოს ღალატს დავწამებთ ხოლმე და ჩვენ ნებაზე რომ ყოფილიყო - ჯვარს ვაცვამდით... ხოლო იმ საკითხის გამოკვლევა, თუ საიდან გავრცელდა ქრისტიანობა საქართველოში, აღმოსავლეთიდან, თუ დასავლეთიდან, რომელ მათგანს უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა პირველ ხანებში, აუცილებლადაა საჭირო იმიტომ, რომ ამ საკითხზე დამოკიდებულია ბევრი კულტურის მხრივ ფრიად საყურადღებო ცხოვრების მოვლენანი, რომელთა შესახებ საუბარი ახლა ძალიან შორს წაგვიყვანდა.“

კეთილი, მაგრამ ხომ შეიძლება მეცნიერი ისეთ ფაქტებს წააწყდეს, რომლებიც მის ერს არცთუ ისე სახარბიელო ვითარებაში წარმოაჩენს? ამ შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს? თვალი არ უნდა დახუჭოს და ერის ღირსებას არ უნდა გაუფრთხილდეს?

„თუნდაც რომ გამოკვლევამ ქართველ მეცნიერს დაანახოს, რომ ის სამშობლოს წარსული თავისებურსა და დიადს არაფერს წარმოადგენს, მაინც იგი არ უნდა შეუშინდეს თავისი დასკვნის გამოქვეყნებას, რადგან მეცნიერმა კარგად უნდა იცოდეს, რომ ხალხს, რომელსაც წარსულში განვითარების უმაღლესი წერტილამდე არ მიუღწევია, ყოველთვის შეუძლია შეითვისოს უმაღლესი კულტურა და განათლებულ ერთა შორის საპატიო ადგილი დაიჭიროს. ამის მაგალითს ფინელები, იაპონელები, ნორვეგიელები მრავალნი სხვანი გვიჩვენებენ. ასე რომ არ ყოფილიყო, ხომ კულტურის შეუწყვეტელი მსვლელობა და „ახალ“ ხალხთა (გერმანელები, ფრანგები, ინგლისელები, სლავები, არაბები და სხვანი) საერთაშორისო საკულტურო ცხოვრებაში ჩარევა შეუძლებელი იქმნებოდა. ამნაირად, თუნდაც რომ ჩვენი წარსული მართლა არაფერს საყურადღებოს არ წარმოადგენდეს, განა არ შეიძლება ჩვენც ბრწყინვალე საკულტურო მერმისის იმედი გვქონდეს, თუკი ყოველ ძალღონეს მოვიკრებთ ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრების გასაუმჯობესებლად? თუ წარსულში რაიმე ნაკლი გვქონდა, ამას დამალვა კი არა, გამომჟღავნება უნდა: მხოლოდ იმას, ვინც თავის ნაკლს შეიგნებს, შეუძლია იგი თავიდან მოიშოროს. ცხადია, მაშასადამე, რომ ქართველ მეცნიერს

მამულიშვილური გრძნობა სრულებითაც არ ავალებს ... „ადვოკატური“ ისტორიები თხზას. არ ავალებს მაშინაც, თუნდაც რომ მისი სამშობლოს წარსული მართლა არაფრით იყოს საინტერესო და საყურადღებო.“

თქვენც ფიქრობთ, რომ ჩვენი წარსული „მართლა არაფრითაა საინტერესო და საყურადღებო“?

„სწორედ კრიტიკულად განხილული საქართველოს ისტორია... გვიჩვენებს, რომ ჩვენი წარსული ყოველის მხრივ ძალიან საინტერესოა... კრიტიკულ, სამეცნიერო და ჩვეულებრივ წარმოდგენათა შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ჩვენში ჰგონიათ ვითომც აწინდელი ჩვენი წარმოდგენა წარსულზე სწორე იყოს, ვითომც ამ შეხედულების შერყევა და დარღვევა თვით ჩვენი წარსულის ღვაწლისა და წარმატებულ ცხოვრების გაქარწყლებას მოასწავებდეს. [მათი აზრით] პირველიდანვე ქართველთა მოდგმის ტომნი მშვიდობიანად და თანხმობით ცხოვრობდნენ, ფარნავაზმა დააარსა შეერთებული, ძლიერი ეროვნული სახელმწიფო, მწერლობა შეჰქმნა და კანონიერი წესწყობილება შემოიღო. შემდეგ ქრისტიანობა გავრცელდა, რასაკვირველია, პირველიდანვე წმინდა, შეუმწიკვლავი მართლმადიდებლობა... [და] იგი აქამდეც შეურყეველად არსებობს ჩვენში. ქვეყანა არ მოიპოვება დედამიწის ზურგზე, საცა მწვალებლობას არ ეჩინა თავი, თვით საბერძნეთსა და იტალიაში დაუცხრომელი ქიშპობა და კამათი იყო ხოლმე სარწმუნოებრივ უთანხმოებათა გამო, ხოლო ჩვენში [თურმე] პირველიდანვე სრული მშვიდობიანობა სუფევდა! არავის აზრადაც არ მოსვლია ამა თუ იმ სარწმუნოებრივი საკითხის შესახებ ისე არ ეფიქრა, როგორც მართლმადიდებელნი ფიქრობდნენ. [მათი აზრით] საზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც მყუდროება... სიყვარული, თანხმობა, სათნოება, „მამა-შვილური“ განწყობილება არსებობდა და წოდებათა შორის ბრძოლა არც როდის არა ყოფილა. ცხადია აგრეთვე ჩვენი თავადაზნაურობის ქართველ მეფეებისადმი მხურვალე სიყვარული და ერთგულება და სხვადასხვა მრავალი ამგვარი აზრი ტრიალებს ჩვენ საზოგადოებაში საქართველოს წარსულის შესახებ. ამ წარმოდგენის კრიტიკული განხილვა და შერყევა ქართველთა ნიჭიერების უარყოფად მიაჩნიათ. რით აიხსნება ამგვარი ახირებული გრძნობის არსებობა? მარტოოდენ იმით რომ ჩვენმა მოწინავე საზოგადოებამ არაფერი არ იცის თავისი სამშობლოს ისტორიის შესახებ ჩვეულებრივი, მამა-პაპური გადმოცემის გარდა და ამის გამო შიშობს ეს ნიადაგიც არ გამოეცალოს.“

გამოდის რომ ჩვენ ჩვენი ისტორიის შესახებ ყალბი წარმოდგენა გვქონია.

„დიახაც, ჩვენ იმდენად უვიცნი ვართ ჩვენი წარსულის თავგადასავალის შესახებ, იმდენად გვეშინიან კრიტიკული მსჯელობისა, რომ მე-17-18 საუკუნეთა წარსულის შესახებ შეთხზული შეხედულება სასიქადულოდა და ჩვენი ნიჭიერების დამამტკიცებლად მიგვაჩნია და ისიც ვერ შეგვიმჩნევია, რომ ეს შეხედულება მხოლოდ ჩვენივე „ტესტიმონიუმ პაუპერიტატის“-ი არის.[1] მართლაც, განა ძალიან საქებარია ჩვენთვის, როცა გავიძახით და ვარწმუნებთ ხოლმე ყველას, საქართველოში საზოგადო და საეკლესიო საქმეების შესახებ უთანხმოება და ბრძოლა არც როდის არა ყოფილაო, ვითომც ჩვენში ეგრეთ წოდებული მწვალებლობას თავი არც როდი არ უჩენია?! ბერძნებს, რომაელებს, ასურელებს, ფრანგებს, გერმანელებს, რუსებს, სომხებსაც, ყველას ჩვენს გარდა ჰქონიათ სარწმუნოებრივი უთანხმოება, ყველგან ყოფილა ეგრეთ წოდებული მწვალებლობა, მხოლოდ ჩვენ მოგვაქვს თავი უცდომელობით... მაგრამ საქმე რომ მართლა ისე ყოფილიყო, როგორც ჩვენში ჰგონიათ, მაშინ მეცნიერს უნდა ეთქვა, რომ ან ქართველებმა მხოლოდ გარეგნობით, ზედაპირულად შეითვისეს ქრისტიანობა და იმის შინაარსსა, ამა თუ იმ დოგმატის სხვადასხვა ახსნაზე, რომელზედაც მთელი ქრისტიანობა კამათობდა ხოლმე, სრულებითაც არა ფიქრობდა, თავს არ იტკიებდა, ან არა და ქართველები იმდენად ნიჭმოკლებულნი უნდა ყოფილიყვნენ, რომ სარწმუნოებრივ ბრძოლასა და პაექრობაში მონაწილეობის მიღების თავი არა ჰქონდათ, არ შეეძლოთ, – გერმანელ პოეტის ბოდენშტეტისა არ იყოს, „უცდომელი მხოლოდ ის არის ვინც არაფერს არ აკეთებს“. ასეთი გახლავთ ჩვენი სასიქადულო შეხედულება!“

თქვენი აზრით, ასეთი ყალბი წარმოდგენა გვაქვს საკუთარ წარსულზე. საინტერესოა სინამდვილეში როგორია იგი? თუნდაც მოცემულ საკითხზე?

„ნამდვილად კი სულ სხვანაირი იყო ჩვენი წარსული: სარწმუნოებრივი, საეკლესიო და სამონასტრო ბრძოლა, გაცხარებული კამათი ხშირად ყოფილა ხოლმე საქართველოში, სწორედ ამ ბრძოლას არა ერთხელ გაუცოცხლებია და განუახლებია ჩვენი ეკლესია. იგივე უნდა

[1] „ტესტიმონიუმ პაუპერიტატის“-ი ლათინურია და სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „სიღატაკის მოწმობას“ ანუ გონებაშეზღუდულობას, გაუნათლებლობას.

ითქვას „მამაშვილურ“ განწყობილების შესახებ წოდებათა შორის. ბევრს ჰგონია, რომ ეს ვითომც და ჩვენი ისტორიის თვისება ჩვენი განსაკუთრებული სათნოებისა და ნიჭის დამამტკიცებელი იყოს. ის კი არ იციან, რომ ევროპელ მეცნიერებს სწორედ ამ წოდებათა შორის ბრძოლით მოაქვთ თავი: ისინი ამტკიცებენ, რომ მხოლოდ ინდო-ევროპიელთა მოდგმის ერებს შესწევთ იმდენი ნიჭი და საზოგადოებრივ ცხოვრების უნარი, რომ სოციალურ თავისუფლების მოსაპოვებლად წოდებრივ ბრძოლით ესარგებლათო. გამოჩენილი გერმანელი ისტორიკოსი ლინდნერი ამტკიცებს... რომ აღმოსავლეთმა და საზოგადოდ აზიის ერებმა არ იციან, რა არის წოდებრივ უფლებათა მოსაპოვებლად ატეხილი ბრძოლაო. აზიაში შეიძლება მხოლოდ აჯანყდნენ, ტაქტიკური ბრძოლის უნარი კი არ მოეპოვებათო. როგორც ხედავთ, დიდად საქებური არ ყოფილა ეს ვითომდა ქართველების თვისება, „მამაშვილური“ განწყობილება წოდებათა შორის. საბედნიეროდ, მეცნიერს, რომელსაც კრიტიკულად შესწავლილი აქვს ქართული საისტორიო მასალები, შეუძლია დაამტკიცოს, რომ საქართველოს წარსული დიახაც წოდებრივ ბრძოლის მაგალითებით არის სავსე...“

გასაგებია თქვენი მოსაზრება, რომ საკუთარ წარსულზე არასწორი წარმოდგენა გვაქვს, მაგრამ როგორ ფიქრობთ, ჩვენს წარმოდგენასა და რეალურად არსებულ სინამდვილეს შორის რა მანძილია?

„აწინდელი ჩვენი წარმოდგენა წარსულის შესახებ სრულებით ვერ გვიხატავს საქართველოს მდგომარეობას, იმის წარმატებულ საზოგადოებრივ და სულიერ ცხოვრებას. იგი გაცილებით უფრო დაბლა დგას, ვიდრე თვით ჩვენი წარსული ცხოვრება იდგა; იგი მხოლოდ ამ ცხოვრების უფერულ, მკრთალ აჩრდილს წარმოადგენს; მკრთალს იმიტომ, რომ ეს წარმოდგენა თანამედროვე მეცნიერულ კვლევასა და შესწავლაზე კი არაა დამყარებული, არამედ იმ გადმოცემასა და ცნობებზე, რომელიც ჩვენ საზოგადოებას XVI-XVIII საუკუნის ქართველმა მოღვაწეებმა უანდერძეს....“

თქვენი მსჯელობიდან უთუოდ ის აზრი გამოდის რომ, ასე გაგრძელება არ შეიძლება. მაგრამ რომ შევიმეცნოთ გარდასული დროის სინამდვილე ისე, როგორც იგი იყო, რა და როგორ უნდა გაკეთდეს?

„მეცნიერი ისტორიკოსები მოვალენი არიან უპირველესად კრიტიკულად განიხილონ ყველა ის ცნობა, რომელზედაც დამყარებულია

ჩვეულებრივი წარმოდგენა წარსულ ცხოვრებაზე. ცხადია, ვიდრე ამ გვარი პირველ დაწყებით მასალათა განხილვა გათავებული არ იქნება, მანამდისინ შეუძლებელია საქართველოს სამეცნიერო ისტორია დაიწეროს. საქართველოს მწერლობისა და ისტორიის შესწავლა დიდი ხანი არა არის დაიწყო, ამიტომ ჯერჯერობით მკვლევარნი უფრო წყაროების კრიტიკულ განხილვას ანდომებდნენ დროს, მაგრამ ვინც ამ მიმართულების მიმდევარ მეცნიერთა ნაწერებს თვალყურს ადევნებს, უნდა შეენიშნა, რომ ახლაც კი უკვე საკმაოდ შეიცვალა ძველი წარმოდგენა წარსულზე და ძველ ჩვეულებრივ დარღვეულ შეხედულების მაგიერ ახალი, მეცნიერულად დამტკიცებული, შეხედულება მყარდება თანდათან. რაც უფრო მეტი დრო გაივლის, უფრო უკეთესად შემუშავებული და განხილული იქნება ქართული მწერლობა და სამოქალაქო ისტორია.“

სანამ ისტორიკოსები ყველა მასალას კრიტიკულად განიხილავენ და მერე ახალ თზულებას დაწერენ, მანამდე კარგა ხანი გაივლის. ამ დროის მანძილზე ჩვენ მხოლოდ მოლოდინით უნდა ვისაზრდოოთ? თავად რა უნდა ვაკეთოთ?

„მარტო ისტორიაში კი არა, მეცნიერების ყველა დარგში საჭიროა კრიტიკულმა მიმართულებამ ჩვენში იჩინოს თავი. ჩვენი უძლურობა ის არი სწორედ, რომ ჩვენ არც წარსულის, არც თანამედროვე ცხოვრების მდგომარეობის შესახებ ნამდვილი, ჭეშმარიტი ცნობები არ გვაბადია: მაღალ, რიხიან სიტყვებსა და წინადადებებს რომ თავი დავანებოთ, უმეტეს შემთხვევაში უფერულ და უვიც მწერლობის მეტი თითქმის არა დაგვრჩება რა. ბ-ნ გოგებაშვილის რომ „ადვოკატურ, გამოსარჩლებითი“ ისტორიის წერის მაგიერ თავის დროზე საზოგადოებისთვის ჩაეგონებინა, თავისი წარსული და თანამედროვე ცხოვრების კრიტიკულად შესწავლას შესდგომოდნენ და თითონაც შეძლებისდაგვარად მაგალითი ეჩვენებინა, მაშინ ქართველ საზოგადოებას შეეძლო ბევრი შეცდომა აეცილებინა თავიდან და ჩვენ მოქმედებას და პოლიტიკას გარკვეული, მტკიცე ხასიათი ექნებოდა.“

რას გულისხმობთ?

„წარსულ საუკუნეებში ისტორიის ცოდნას ქართველობისათვის მარტო თეორიული მნიშვნელობა არა ჰქონდა: ათასგვარი ცვლილება მოხდა ჩვენ საზოგადოებრივ წესწყობილებაში, ბევრი ცვლილება ხდე-

ბა ახლაც. ჩვენ კი იმდენად უძლურნი ვართ ჩვენი ცხოვრების უცოდინარობის გამო, რომ გულხელდაკრებილი, შეშინებული შევყურებთ ცხოვრების ჩარხის ტრიალს: მაგალითად, როცა საქართველოში ბატონყმობა ისპობოდა, მაშინ რომ ჩვენ მოღვაწეებს ფიქრად მოსვლოდათ და ქართულ ბატონყმობის ისტორია შეესწავლათ, გამოერკვიათ, რა უფლებები ქონდათ ყმებს და განთავისუფლების დროს ვისთვისაც ჯერ არს აეხსნათ, რომ ჩვენებური გლეხის მდგომარეობა რუსის გლეხების მდგომარეობისაგან განსხვავდებოდა, უეჭველია, მებატონეებსა და ნაყმევებს შორის ტყისა და საძოვრის თაობაზე ისეთი გამწვავებული უთანხმოება არ იქნებოდა, როგორც ახლაა ატეხილი. ამ რამდენსამე წლის წინათ სამინისტრომ წყლის მფლობელობის ახალი კანონი შეადგინა. ჩვენში, რასაკვირველია, ჩვეულებრივ გაჩუმებული იყვნენ იმის მაგივრად, რომ შეესწავლათ რაზეა ჩვენშიდ დამყარებული წყლის მფლობელობის უფლება და მისდა მიხედვით სამინისტროს კანონის პროექტი განეხილათ, რომ კანონში, - თუ ჩვენი ცხოვრებისათვის შეუფერებელი აღმოჩნდებოდა, - სასურველი ცვლილება შეეტანინებინათ. რა დარგიც გნებავთ, ყველაფერში ჩვენი ინტელიგენცია ცხოვრებისა და მეცნიერების მოთხოვნილებაზე ჩამორჩენილია.“

თქვენ თქვენი კრიტიკული პათოსი ისტორიის მეცნიერებიდან იმ დონეზე განაზოგადეთ, რომ მან მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება მოიცვა.

„დიაღაც, ჩვენ „ადვოკატური, გამოსარჩლებითი“ ისტორიების წერა კი არ გვიშველის, არამედ პირუთვნელი, ყოველმხრივი, კრიტიკული შესწავლა და გამოკვლევა ჩვენის წარსულისა და თანამედროვე ცხოვრებისა. ქართულ ენასა და მწერლობას მაშინ გაუმაგრდება ნიადაგი, თუ ჩვენი ახალი თაობა პატივცემულ პრ. ვ. პეტრიაშვილს მიბაძავს და გულწრფელად და თავგანწირულად ეცდება ქართული, სამეცნიერო (ყველა დარგისა) თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაფერისი მწერლობა შექმნას, - რომ მწერლობას მართლა ძალა ჰქონდეს ცხოვრებაში და ჩვენი საზოგადოებრივი და ეროვნული მოქმედების მტკიცე ხელმძღვანელი გახდეს...“

ბატონო ივანე! ძნელია საწინააღმდეგო გითხრათ და არ დაგეთანხმოთ, მაგრამ თქვენ თანდათანობით უფრო და უფრო გვაოცებთ. მეცნიერება როგორლა უნდა გახდეს „ეროვნული მოქმედების მტკიცე ხელმძღვანელი“?

„თანამედროვე ცხოვრება, ყველა თავისი კულტურული და ეკონომიური მხარეებით, მისი წარმატებული დაწინაურება ყოველსავე სფეროში მეცნიერების წარმატებასთან არის უმჭიდროესად დაკავშირებული. სამეცნიერო, წმინდა თეორიული აღმოჩენა უმალ პრაქტიკულ ცხოვრებისთვისაც არის ხოლმე გამოყენებული. ხშირად კი აღმომჩენისათვისაც კი მოულოდნელს ცხოვრების ძირითად ცვლილებებს იწვევს. გერმანელ ფიზიკოსების მიღწეულობაა ბრწყინვალე შედეგი გერმანიის ვაჭრობა-მრეწველობის უღრმესი დაწინაურებისა და სწრაფი აყვავებისა, [რაც] საკმაოდ არის ცნობილი, რომ ამაზე დიდ ხანს ლაპარაკი საჭირო იყოს. მარტო ანილინის საღებავის აღმოჩენით გერმანულმა მეცნიერებამ თავის ეროვნულ ვაჭრობა-მრეწველობას მანამდე უძლეველი ინგლისის უბრძოლველად დამარცხება შეაძლებინა. ჩვენი პატარა, ბუნებით უხვად დაჯილდოებული, მაგრამ კულტურულად ჩამორჩენილი ქვეყანა, რასაკვირველია, სხვებზე მეტად არის ვალდებული მეცნიერების წინამძღოლობასა და გზისგამკვლეობას ანგარიში გაუწიოს, რომ სხვებს დაეწიოს და კაცობრიობის დაწინაურებაშიც თავისი პირადი წვლილი შეიტანოს.“

ამ მხრივ საქართველოზე ცოტა უფრო ვრცლად ხომ არ გვეტყოდით?

„საქართველო უაღრესად თავისებური და მრავალფეროვანი ბუნებისა და თვისებების ქვეყანაა, ჯერ-ჯერობით ძალიან ნაკლებ შესწავლილი. უდავოა აგრეთვე, რომ ჩვენს მეურნეობა-წარმოების მხრივ მეტად ჩამორჩენილები ვართ. ასეთს პირობებში მხოლოდ მეცნიერული კველვა-ძიების საშუალებით სამოქმედო გზის გაკაფვა დაგვიხსნის ჩვენ უმწეო მდგომარეობიდან. უბრალო მიმბაძველობა და ტეხნიკის ხელოსნური შესწავლა ვერას გვიშველის, როგორც ჩვენი სასოფლო მეურნეობის დაწინაურებისათვის საქართველოს ნიადაგის თვისებისა, ხორბლეულობისა, მცენარეთა და ხეხილების ჯიშების, ღვინისა და რძის ნაწარმოების, საქონლის ჯიშების მეცნიერული თეორიული დაკვირვებითი შესწავლაა საჭირო, რომ თვითეული მათგანის თვისება და ღირსება-ნაკლი იყოს გამორკვეული და ამისდა მიხედვით მიზანშეწონილი გეგმა შემუშავდეს. ამგვარადვე, ცხადია, ჩვენი სამთამადნო მრეწველობის განვითარების აუცილებელ პირობას საქართველოს მინერალოგიური, პეტროგრაფიული და გეოლოგიურ-ქიმიური შესწავლა შეადგენს. ასეთი თეორიული კვლევა-ძიების წარმოება და გზის გაკაფვა კი უპირველესად უნივერსიტეტს ეხერხება.“

„უმაღლესი მეცნიერებისა და განათლების ცეცხლი“

– ბატონო ივანე! დღეს თქვენს მიერ დაარსებული უნივერსიტეტის იუბილეა. თქვენზე უკეთ ვის ემახსოვრება ის პერიპეტიები, რაც ამ დიდი საქმის განხორციელებისას შეგხვდებოდათ. გვითხარით, როგორ დაიწყო ყოველივე?

„ყოველივეს ზედმიწევნით მოგონება ძნელია, განსაკუთრებით, თუ გაითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გახურებული მუშაობის დროს არ სცალია ადამიანს მოვლენების აღბეჭდვისათვის და ბევრი რამ, რასაც მნიშვნელობა ექნებოდა ეხლა მაშინდელი ამბების აღდგენისათვის, აღბეჭდილი არ არის არსად; ადამიანის მეხსიერება მთლიანად ვერ იკავებს ყველაფერს ერთნაირად. ამიტომაც ერთი ადამიანის მოგონება, რასაკვირველია, სრული არ იქნება, შეასაძლებელია, რომ სწორიც არ იყოს, შესაძლებელია ადამიანი შეცდეს, მაგრამ ზოგადად ვეცდები, რამდენადაც შესაძლებელია, მოვიგონო ის ბრძოლა, ურომლისოდაც ამ საქმის დაგვირგვინება ყოვლად შეუძლებელი იყო.“

ჩვენც ზუსტად ეგ გვინდა. გისმენთ.

„საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების შესახებ ცნობა მოგვეპოვება 1799 წელს შედგენილი საქართველოს რეფორმების პროექტშივე. ეს პროექტი დამტკიცებული იყო [ქართლ-კახეთის მეფის გიორგის მიერ], და ამ პროექტის თანახმად, აღმოსავლეთ საქართველოში სამი უმაღლესი სასწავლებელი უნდა დაარსებულიყო: ერთი თბილისში, ერთი გორში და ერთი თელავში. რასაკვირველია, ეს უმაღლესი სასწავლებელი უნივერსიტეტი არ იყო, უნივერსიტეტის შექმნა მაშინ საქართველოს არ შეეძლო. იგი იყო ლიცეუმის მსგავსი, როგორც მაშინ გავრცელებული იყო უმაღლესი სასწავლებლის ნაცვლად.“

ბატონო ივანე! მაპატიეთ. მკითხველისათვის ყველაფერი ნათელი რომ იყოს, საჭიროა დამატებითი ინფორმაცია. ამიტომ უნდა შეგაწყვეტინოთ. რატომ იყო შეუძლებელი?

მალე საქართველო დამოუკიდებლობა დაკარგა და რუსეთის ხელისუფლების წყალობით „საქართველოში მოსპობილი იყო ქართული ენა, როგორც სავალდებულო ენა. მე-19 საუკუნის განმავლობა-

ში ... არაერთხელ აღძრულა საკითხი უნივერსიტეტის, ან, საერთოდ, უმაღლეს სასწავლებლის დაარსების შესახებ, მაგრამ მაშინ ქართულ უმაღლეს სასწავლებელზე კი არ ოცნებობდნენ, – რომლის განხორციელება იმ პირობებში სრულიად შეუძლებელი იყო, იმიტომ რომ სწავლება ქართულად არ შეიძლებოდა, – არამედ ეს უნდა ყოფილიყო სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი სავალდებულო რუსული ენით, რომელიც, რასაკვირველია, საქართველოს მოსახლეობისათვის, ხალხისათვის გაუგებარი იქნებოდა. მეტის თქმა შემიძლია: ქართველმა ინტელიგენციამ თვითონ არ იცოდა ხეირიანად ქართული ლაპარაკი. თქვენ, რასაკვირველია, ვერ წარმოიდგენთ ასეთ მდგომარეობას ამჟამად, მაგრამ ჩვენს თაობას უნახავს, თავისი ყურით მოუსმენია ისეთი კრება, – მთავრობის მიერ მოწვეული კი არა, – სადაც არც ერთი სიტყვა ქართული არ ყოფილა წარმოთქმული, მეტიც ქართველ ინტელიგენციას საყველპურო ლაპარაკის გარდა, სხვა საგანზე ქართულად ლაპარაკი არ ეხერხებოდა... ამგვარად, ქართველი ინტელიგენცია სრულიად დაშორებული იყო ხალხს... მე, რასაკვირველია, არ ვგულისხმობ პოლიტიკურ საკითხებს, – პოლიტიკური საკითხები გაშუქებული იყო და პრესაშიაც მოიპოვებოდა, – მე ვგულისხმობ სამეცნიერო მწერლობას და სამეცნიერო აზროვნებას.“

რატომ იყო ასე? თუ პოლიტიკურ საკითხებზე შეიძლებოდა წერა ქართულ პრესაში, სამეცნიერო საკითხებზე რატომ არავინ წერდა?

„ქართველი ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი, რომელიც იმდენად ბედნიერი იყო, რომ [უცხოეთის] უმაღლეს სასწავლებელში შესვლა შეეძლო, მოკლებული იყო უმეტეს ნაწილად უფლებას – თავის სამშობლოში ემსახურა. მაშინ ისეთი წესი არსებობდა, რომ ქართველებს გზავნიდნენ სხვაგან, არაქართული მოსახლეობის ადგილას, ამგვარად, განათლებული ინტელიგენცია ჩამოშორებული იყო თავის ქვეყანას, მას რომ სურვებოდა კიდეც ემოღვაწევა იმ სფეროში, რომელიც მას დასახული ჰქონდა მიზნად, ამის შესაძლებლობა არ იყო.“

ნუთუ არავის უცდია ამ წესის წინააღმდეგ წასვლა?

„საყურადღებო გარემოებაა, რომ განსვენებული ვასილ პეტრიაშვილი, [ოდესის უნივერსიტეტის რექტორი], ეცადა ორჯერ, თავისი მოღვაწეობა გადმოეტანა საქართველოში. მან, პირველმა, სცადა

ქიმიის მეცნიერების გამოყენება და ორი საუცხოო ფუძემდებელი გამოკვლევა დაბეჭდა ქართულად. ამისდა მიუხედავად, ეს თავგამოდებული ადამიანი, რომელიც თავს ანებებს უნივერსიტეტს, სადაც პატივისცემით სარგებლობს, – ეს იყო ოდესაში, – ვერ ეღირსა ქუთაისში მაინც ლაბორატორია შეექმნა და ამ ლაბორატორიაში ემუშავა ქართველ ქიმიკოსებთან ერთად. როდესაც ეს საქმე ჩაიშალა, მან სცადა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დირექტორობა. ოძისში უნდა დაარსებულიყო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, რასაკვირველია, რუსული, სხვა სასწავლებელი არ არსებობდა. ვასილ პეტრიაშვილი, რომელიც, თუ გნებავთ, ამ იერარქიული თვალსაზრისით და ქონებრივადაც უნდა დაქვეითებულიყო, ანებებდა თავს უნივერსიტეტს, – იქ იყო დამსახურებული პროფესორი, – გადმოდიოდა, ოძისში თანხმდებოდა სამსახურს, ოღონდ მშობლიურ ხალხთან ჰქონოდა საქმე. ქართველ თავადაზნაურობას თითქოს არ აღმოაჩნდა ფული, რომ ეს სასწავლებელი გაეხსნათ, თქვენ აქედან წარმოიდგინეთ, რა სავალალო პირობები იყო.“

თქვენი მონაყოლით, მართლაც, მძიმე სურათი წარმოგვიდგება.

„თანამედროვე თაობას ვერც კი შეუძლია გაიგოს იმ სულიერი ტანჯვის მთელი საშინელება, რომელიც ყოველ ჩვენგანს მაშინ გამოვლილი ჰქონდა. ჩვენი მცირერიცხოვანი ჯგუფი, ვისაც კი სურდა ქართულად მოეხერხებინა მეცნიერული ლაპარაკი, ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ მართლაც არ შეეძლო ეს. განათლებულ ადამიანს სჭირდება როგორც მათემატიკიდან, ისე ფიზიკიდან და სხვა მეცნიერებიდან სხვადასხვა ტერმინები, შესადარებლად თუ სხვა დებულების დასამტკიცებლად. არც ერთი ამ ტერმინთაგანი ან არ იყო, ან არ აგონდებოდათ. არსებობდა მხოლოდ ორი სახელმძღვანელო, ისიც კერძოდ შექმნილი: შ. ყიფიანის მიერ გეომეტრია იყო დაწერილი და შემდეგ ვ. ყიფიანის მიერ – ალგებრა. მე მახსოვს, გიმნაზიაში ვსწავლობდი და ვგრძნობდი, რომ ვერ ვახერხებდი სწავლას ისე, როგორც საჭიროა; როცა ვსწავლობდი სასწავლებელში რუსულად გეომეტრიას, შინ ვბრუნდებოდი, ავიღებდი მამაჩემის მშვენიერ ბიბლიოთეკიდან წიგნს (ყველა წიგნი მოიპოვებოდა იქ, რაც კი კავკასიაში და საქართველოში იყო გამოცემული) და ვიზეპირებდი გეომეტრიას, რომ როგორმე მესწავლა, რუსულად შესათვისებელი, მინდოდა, რომ ქართულადაც იმავე აზრის გამოთქმა შესაძლებელი ყოფილიყო.“

თუ ასეთი ვითარება იყო, რა უნივერსიტეტის დაარსებაზე შეიძლებოდა ფიქრი? უნივერსიტეტი ხომ სამეცნიერო დებულებების ჩამოყალიბებისა და მათზე მსჯელობის ადგილია.

„ბევრი რუსულად აზროვნებდა და ქართულად წერდა. აზროვნებას მიჩვეული იყვნენ რუსულად, – ქართულად თავიანთი აზრის გამოთქმა უძნელდებოდათ... ასეთ მდგომარეობაში, ბუნებრივია, არავის ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ ქართული უნივერსიტეტიც შესაძლებელია დაარსდეს, და როდესაც თხოულობდნენ.. უნივერსიტეტი დაარსდესო... ბრძოლა წარმოებდა. ქართველების გარდა, ამ ბრძოლაში ჩაებნენ სომხები. ქართველები თხოულობდნენ უნივერსიტეტს, სომხები – პოლიტექნიკუმს. ეს, რასაკვირველია, მაშინდელი მთავრობისათვის ხელსაყრელი იყო, მას არცერთი არ უნდოდა! როდესაც ორი მოქიშპეა – კარგია, ორივეს უარყოფს. ყოველ შემთხვევაში, მიზანი მიღწეული იყო – რაც შეიძლება უფრო დიდი ხნით გადადებულიყო უნივერსიტეტის დაარსება. თუ რატომ იყო უნივერსიტეტის მომხრე ქართველი ინტელიგენცია და რატომ მიზანშეწონილად მიაჩნდათ სომხებს პოლიტექნიკუმი, ამის გარკვევას არ შევუდგები. არათუ ამის გამო წარმოებდა ბრძოლა, არამედ ადგილის გამოც: ნავთღლუღში, ვაკეში თუ საბურთალოში! აქაც ქიშპობის მეტი არაფერი იყო. ასეთ მდგომარეობაში იყო საკითხი, და რა უმაღლესი სასწავლებელი უნდა შექმნილიყო ასეთ პირობებში, ადვილი წარმოსადგენია.“

თქვენ XIX ს. საქართველოს ვითარება დაახასიათეთ, როცა ქვეყანა რუსეთის კოლონიას წარმოადგენდა და ამდენად, გასაგებია ამგვარი სიძნელეები ყოფილიყო. მაგრამ ძველ დროს როგორი მდგომარეობა გვქონდა?

„საქართველო ძველად იმდენად ძლიერი იყო, რომ მეზობელ დაწინაურებულ დიდ სახელმწიფოებსა და ერებს, ბერძენ-ბიზანტიელებს, სპარსელებს და არაბებს განათლებითა და შემოქმედებითი სამწერლობო მოღვაწეობით კვალ-და-კვალ მისდევდა. იყო დრო, მე-XII-ე საუკუნეში მაგ[ალითად], როდესაც ჩვენმა წინაპრებმა მცირე აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში ამ მხრივ უმაღლესს ხარისხს მიაღწიეს. მაშინ განათლებასა და მწერლობას უფრო რომ საეკლესიო ელფერი ედვა და განსაკუთრებით მონასტრებში იყო მათი ცხოველმყოფელი კერა... ჩვენ წინაპართა დაუცხრომელმა მხნეობამ და სულიერ განა-

ვითარებისა და ცოდნის მოყვარეობისადმი შეუფერხებელმა მისწრაფებამ ქართველობას საზღვარგარეთაც ისეთი დაწესებულებანი შეუქმნა, რომელთა წყალობით საქართველოს საშუალება ჰქონდა მეზობელთა სამეცნიერო, სამწერლობო და საკულტურო წარმატებისათვის თვალ-ყური ედევნებინა და რაც მისთვის საჭირო იყო, დროზე შეეთვისებინა კიდეც. ქართველებს თავიანთი განთქმული მონასტრები უცხოეთში, ბიზანტიის სახელმწიფოში, სწორედ ისეთ ადგილებში ჰქონდათ, სადაც მაშინ სამეცნიერო-სამწერლობო, ან რაიმე საკულტურო შემოქმედებითი მუშაობა იყო გაჩაღებული, სადაც მაშინდელ განათლების ცენტრი იყო. ქართველთა მონასტრები სინას მთაზე და პალესტინაში, შავს მთაზე ანტიოქიის მახლობლად, ათონზე და პეტრიწონში სწორედ იმ დაწესებულებებად იყვნენ, რომელნიც საქართველოს მაშინდელ დაწინაურებულ ქვეყნებთან აერთებდნენ. მათის წყალობით ქართველობას უცხოეთში ქრისტიანულ კულტურის წიაღში წარმოშობილ ყოველ ახალ მიმართულებისა, ახალთახალ შესანიშნავ თხზულებისა და გამოჩენილ მოღვაწის შესახებ ცნობები ჰქონდა ხოლმე. მათმა დაუღალავმა შრომამვე ქართველი მწერლობა ბერძნულ შემოქმედების მრავალ შესანიშნავ ძეგლთა თარგმანით გაამდიდრა.“

ეს უცხოეთში არსებული კერებია. გასაგებია, რომ უცხოეთში მონასტრები იმიტომ გვქონდა, რომ სხვა ქვეყნების კულტურულ კერებთან ახლო ურთიერთობა გვქონოდა. ეს ახლო ურთიერთობა ალბათ მათგან საუკეთესოს გადმოღებასა და იმ საკითხებზე მუშაობას ნიშნავდა, რაზეც სხვები ფიქრობდნენ და მსჯელობდნენ. როგორც დღეს ამბობენ, იმ ძველ დროს მეცნიერების ინტერნაციონალიზაცია განხორციელებული ყოფილა. საქართველოში არ გქონდა ამგვარი დაწესებულებები? აქ არ მიმდინარეობდა სამეცნიერო მუშაობა?

„თვით საქართველოშიაც უმთავრესს სამეცნიერო, სამწერლობო და საკულტურო მუშაობას მონასტრებში ჰქონდა მყუდრო კერა. აქ, ისეთს განთქმულს მონასტრებში, როგორიც იყო შიო-მღვიმისა, შატბერდისა, წყაროსთავისა, ოთხთა ეკლესიისა, გელათისა და მრავალ სხვა მონასტრები, მოღვაწეობდენ ცნობილი ქართველი მოძღვარნი, მეცნიერნი ღვთისმეტყველნი, ფილოსოფოსნი და მთარგმანებელნი, სჯულის მეცნიერნი, უცხო ენათა მეცნიერნი, ისტორიკოსები და ხელოვანნი. როდესაც დავით აღმაშენებელმა მაგ[ალითად] გელათის მონასტერი ააგო, მან ყოველ მხრივ განთქმული ქართველი მონაზონები

შეჰკრიბა, ქონებრივად უზრუნველჰყო და ისტორიკოსის სიტყვით, „მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა“ აქცია. მათთან მოივლტოდენ სულიერ, ზნეობრივ და გონებრივ განვითარების მონატრული ქართველი მოზარდი თავობანი. ერთ განთქმულ მოძღვართან სწავლის შემდგომ მეორესთან და მესამესთან მიდიოდენ ხოლმე ცოდნის მოყვარეობის წყურვილის მოსაკლავად. ზოგჯერ უცხოეთში მყოფ ქართულ მონასტრებშიც მიემგზავრებოდნენ ხოლმე ამა თუ იმ განთქმულ ქართველ მეცნიერ ბერ-მოძღვართან სწავლის დასამთავრებლად. ცნობებიც მოგვეპოვება, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში თვით უცხოელ სახელოვან მეცნიერებთანა და ფილოსოფოსებთანაც მუშაობდენ ხოლმე, როდესაც არჩეულ დარგში საუკეთესო მცოდნე უცხოეთში ეგულებოდათ. თვითეული სახელოვანი მონასტერი მეცნიერებისა, სიბრძნისა და ხელოვნების რომელიმე დარგით იყო განთქმული, თავისი განსაკუთრებული მიმართულება ჰქონდა.“

თავისთავად ცხადია, ამ ვითარებას საკმაოდ კარგი შედეგები უნდა გამოელო.

„ქართველთა აზროვნობას ფართო მსოფლმხედველობა გადაეშალა და ბერძნულ-ქრისტიანულ დინჯ და მკაცრ შემოქმედებასთან ერთად მწველ აღმოსავლეთის ლაღი და სიცოცხლით აღსავსე ფერადოვანი კულტურის ნაყოფი იგემა. ქართველობამ ეს ორი მთავარი კულტურული სამფლობელო ესოდენ გულის სიღრმემდე შეითვისა და თავის შემოქმედებაში განუყოფლად შეაერთა, რომ ქართული კულტურა აღმოსავლეთსაც ეკუთვნის და დასავლეთსაც, ქრისტიანულსაც და მაჰმადიანურსაც. ამით ქართველობამ მაშინდელ მსოფლიო კულტურის შეერთება შესძლო და ამიტომაც არის, რომ მის მაშინდელს გონებრივს და ნივთიერს შემოქმედებას ის ცალმხრივობა არ ეტყობა, რომლითაც ცნობილია იმ დროინდელი ბიზანტიური, სომხური, ასურული და ცოტაოდნად თვით სპარსულ-არაბული მწერლობა და კულტურაც.“

„მაგრამ დიდხანს ეს სოფელი გაახარებს ვისმეს განა?“ მუდმივი ამ ქვეყანაზე არაფერია და ამგვარი მდგომარეობამ რამდენხანს გასტანა?

„ხვარაზმელთა შემოსევამ და მონღოლთა, ხოლო შემდეგ სპარსოსმალთა ბატონობამ როგორც ვიცით საქართველოს წარმატება შეაფერხა და კულტურულად დასცა. ქართული სამეცნიერო და მხატვრული აზრის ბუნებრივი განვითარებაც რასაკვირველია შეაფერხა.

ამასთანავე ბიზანტიის თანდათანი დაქვეითების გამო უცხოეთში მყოფ ქართულ მონასტრებს წინანდებურად აღარ შეეძლოთ თავიანთი მაღალხარისხოვანი მოღვაწეობა განეგრძოთ; რაკი თვით იმ ქვეყნებში სამეცნიერო და სამწერლობო შემოქმედება დაძაბუნებული იყო, კულტურა დაეცა, აღარც იქ მყოფ ქართულ მონასტრებს შეეძლოთ თავიანთ სამშობლოში ბიზანტიის გონებრივ წარმატების მოციქულობა გაეწიათ. შემდეგ ხომ, როდესაც ბიზანტია პოლიტიკურად დაეცა და მთელი მისი სამფლობელო ოსმალებს ჩაუვარდათ ხელში, უცხოეთში მყოფ ქართულ მონასტრებს კულტურული მნიშვნელობა თითქმის სრულებით დაეკარგათ. საუბედუროდ მონღოლთა ბატონობამ და სხვა მიზეზებმაც საქართველოს აღმოსავლეთისა და სამხრეთის მეზობლებიც, სპარსნი და არაბებიც, კულტურულად დააქვეითა. ამიტომ არც ამ ქვეყნებითგან-ღა შეეძლოთ ჩვენს წინაპრებს ცხოველმყოფელ გონებრივ შემოქმედებითა და კულტურული წარმატებით ესარგებლათ. კულტურის კერა უკვე ამაზე უწინარესაც ბიზანტიაში ჩაქრა და თანდათან დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის ქვეყნებში აენთო. პოლიტიკურად დაცემული და დაუძლურებული საქართველო იმ მხრივაც იყო უბედური და იმიტომაც ჩავარდა უმწეო მდგომარეობაში, რომ მას მეზობლებშიაც დაწინაურებული აღარავინ მოეძებნებოდა და ყოველგვარ აყვავებულ კულტურის ცენტრებს დასავლეთს ევროპაში ასე დაშორებული და მოწყვეტილი იყო. იქ მას არც ათონისა და შავისმთის მსგავსი მონასტრები ან სხვა რაიმე დაწესებულება მოეპოვებოდა, რომ მათი საშუალებით ამ წარმატების მოზიარე გამხდარიყო და არც პირდაპირი კავშირი შეეძლო რომ ჰქონოდა დასავლეთ ევროპის განათლებულ ქვეყნებთან. უამისოდ კი მონღოლთა ბატონობით წელში გაწყვეტილი ქართველობა თავის კულტურულ მდგომარეობის გამოსწორებას როგორ მოახერხებდა? თუ წინათ ქართული სამეცნიერო ენა საუცხოვოდ შემუშავებული და შესაფერისად მოქნილი იყო, ეხლა მას უკვე არც შესატყვისი ტერმინოლოგია ჰქონდა და აღარც ახალ მსოფლმხედველობისა და მეცნიერების ახალ დარგების მოციქულები მოეძებნებოდა.“

შემდეგ პერიოდში რა ხდებოდა? შემდეგ ხომ დადგა ცოტა ამოსუნქვის დრო?

„აღორძინების ხანაში საქართველოს სრულ განახლებას ამას გარდა ის გარემოებაც აფერხებდა, რომ დასავლეთ ევროპის სამეცნიერო

ენაც, ჯერ ლათინური და შემდეგ ახალი ენებიც, საქართველოში უცნობი იყო. ამ მხრივაც ძველ ხანასთან შედარებით ქართველობა მეტად ცუდს მდგომარეობაში ჩავარდა: თუ წინათ ბერძნულ და სპარსულ ენის მცოდნენი საქართველოში მრავალნი იყვნენ, განახლებისა და აღორძინების ხანაში XVII-XVIII ს.ს.-ში ლათინური და ახალი უცხო ენები თითქმის არავინ, თითო-ოროლამ თუ იცოდა. ამის გამო ცოდნისმოყვარე ქართველობას თავისი სულიერი წყურვილის მოკვლა მხოლოდ სხვების საშუალობითა და დახმარებით შეეძლოთ. ამგვარ შუამავლებად კათოლიკეთა სამღვდელოება იყო და XVII საუკუნეში, სულ უკანასკნელ ხანებში რუსულ ენის მცოდნენი. მაგრამ კათოლიკე ბერების დახმარება შემთხვევითი იყო, ხოლო რუსული სამეცნიერო მწერლობაც, მაშინ ახალი ფეხადგმული, მეტად სუსტობდა, ჯერ თავისი სამეცნიერო შემოქმედება არ ჰქონდა და მხოლოდ გერმანულითგან და ფრანგულითგან ნათარგმნით იკვებებოდა. ამიტომ როდესაც ქართველები რუსულითგან სთარგმნიდნენ, თითქმის ყოველთვის თარგმანის თარგმანი გამოდიოდა და დედანის ცხოველმყოფელობა აკლდა... ცხადია შეუძლებელი იქმნებოდა ქართული სამეცნიერო მწერლობა დასავლეთ ევროპისას დასწეოდა. და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რაკი ბერები წინანდებურად მეცნიერებაში და მწერლობაში პირველობას ვეღარ დაიჩემებდნენ და საქართველოშიაც ორივე დარგი თანდათან ერისკაცთა კუთვნილებად იქცა, მონასტრებს მნიშვნელობა დაეკარგათ და არც მეცნიერებისა და არც მწერლობის კერად და უმაღლეს სასწავლებლადღა ითვლებოდნენ. საქართველოს მეფეები და მმართველი წრეები მშვენივრად გრძნობდნენ ქართული მეცნიერებისა და მწერლობის აყვავების აუცილებლობას და თითონაც პირადად შრომას და ქონებას არ ზოგავდენ, რომ ჩვენს ქვეყანას ამ უმწეო მდგომარეობითგან თავი დაეღწია. რაკი მონასტრებში უმაღლეს მეცნიერებისა და განათლების ცეცხლი უკვე აღარ ღვიოდა, უნდა მათი მაგიერი დაწესებულება, უმაღლესი სასწავლებელი დაარსებულიყო, თუ რომ ქართველობას გონებრივი დაქვეითება და გაველურება არ ჰსურდა.“

ასე მოვედით რუსთა მფლობელობამდე. ამ საკითხზე თქვენ უკვე ნაწილობრივ ისაუბრეთ. კიდევ რამეს ხომ არ დაამატებდით?

„მას შემდგომ რაც რუსთა მთავრობამ 1783 წელს დადებული ხელშეკრულობა წარბშეუხრელად დაარღვია და საქართველოს დამოუკი-

დებლობა მოსპო, ყველა დაწესებულებათაგან ჩვენი დედა ენა განდევნა, სკოლაც კი არ დაინდო და დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში რუსული გააბატონა, რაღა მოსალოდნელი იყო, რომ რუსეთის მთავრობას ქართველთა გულის ნადებზე, ქართულ უმაღლეს სასწავლებლის დაარსებაზე ეზრუნა. პირიქით, არას დროს ჩვენი ერი ისეთს განსაცდელში არ ყოფილა, რა განსაცდელიც ქართველობას რუსთა მთავრობის წყალობით XIX საუკუნეში თავს დაატყდა. ქართულს ენას სავარჯიშო ასპარეზი მოუსპო, არც სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, არც სასამართლოსა და სკოლაში მისი ხმა აღარ ისმოდა. მას სამოქმედო ასპარეზად მხოლოდ ეკლესია და თეატრი-ღა დარჩა, მაგრამ პირველშიაც-კი მთავრობამ მას სრული თავისუფლება არ შეუნარჩუნა. ერთბაშად ისე მოხდა, რომ ქართული ქართველთა მეცნიერებისა და ხელოვნების, სარწმუნოებისა და კულტურის უზენაეს სულისკვეთების გამომხატველ ნაზ და მომხიბლავ იარაღად-კი აღარ იყო, არამედ დაბალხარისხოვან ტომის ენის მსგავსად მხოლოდ შინაურობაში სახმარებელად, „საყველპუროდ“ იქცა. ქართული სამეცნიერო ენა, XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის დამდეგს ქართველ მეცნიერთა დაუღალავ შრომის წყალობით გამოცოცხლებული, ზემოაღნიშნული პირობებისა და გარემოებათა გამო ისე დაეცა და ჩამოქვეითდა, რომ განათლებული ქართველი სულიერად გადაგვარდა და თავის უგულითადეს და უწმინდეს გრძნობებისა და აზრების ქართულად გამოთქმა ძლივს-ღა ეხერხებოდა. ჩვენი ენა საუკუნოებით შემუშავებული და მდიდარი უცხო გავლენით წაირყვნა და შესაბრალისად გაღატაკდა. თუ ჩვენი ხალხი ეროვნულად არ გადაგვარდა და ჩვენმა დედაენამ ესოდენ უმწეო მდგომარეობაშიც თავი შეინარჩუნა, თანდათანობით კვლავ მოღონიერება და ნელნელა აღორძინებაც-კი დაეტყო, მხოლოდ ქართველ მოღვაწეების, პოეტების, მწერლების, დრამატურგებისა და მსახიობთა და თითო-ოროლა მეცნიერის თავგამოდებულ და დაუცხრომელ პირად მხნეობის წყალობით. ეკლიანი და საძნელო იყო მათი გზა, შემაძრწუნებელი იყო მათი მდგომარეობა, რაკი საზოგადოების შეუგნებლობისა და რუსთა მთავრობის მსახველ მტარვალობის გამო, იმ თავგანწირულ მუშაკებს მარტოდ-მარტოთ და მხოლოდ საკუთარი თაოსნობითა და ძალღონით უნდა ეწარმოებინათ თავიანთი საყვარელი ეროვნული საქმე. მაგრამ მათმა წმინდა სულისკვეთებამ და სპეტაკმა, უანგარო მოღვაწეობამ შედარებით უხვი ნაყოფი გამოიღო: ჩვენმა ენამ ძალა მოიკრიფა, პოეზია არამცთუ გამო-

ცოცხლდა, არამედ შემოქმედების მშვენიერი ძეგლებიც-კი შეგვძინა. ქართული ენა საზოგადოებრივ დაწესებულებებში კვლავ გაისმა.“

ეს თერგდალეულთა მხნეობით. ასე მოვედით XX საუკუნის დასაწყისამდე. 1917 წ. რუსეთის მონარქიაც დაემხო. გაჩნდა იმედი. როგორ მოჩანდა ჰორიზონტზე იგი? იქნებ გაიხსენოთ, რა ბრძანეთ თქვენ მაშინ საგანგებო შეკრებაზე.

„თუ ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი წარმატება ყოველმხრივი და საფუძვლიანი იყოს, უნდა იმდენს ვეცადნეთ, რომ ჩვენში მეცნიერება მთელის თავისი მრავალფეროვანებით და მრავალმხრივობით გაიფურჩქნოს... აწინდელს ჩვენს სამეცნიერო საზოგადოებებში საქებური მუშაობა უნებლიედ, სხვათა შორის სწარმოებს. მათი წევრნი სხვა თავიანთ პირდაპირ მოვალეობით არიან დატვირთულნი და ქართულს მეცნიერებას და სამეცნიერო საზოგადოებას შეუძლიანთ მხოლოდ იმდენად ემსახურონ, რამდენადაც მათ მოცლა ექმნებათ. უნებლიედ მათი მუშაობა სამშობლოსათვის მათი გულმოდგინეობის ნამეტანობის ნაყოფია ხოლმე. მეცნიერებას კი მუდმივი და დაუცხრომელი მსახურნი და ქურუმნი სჭირია. ის მხოლოდ, ვინც მთელ თავის ძალ-ღონეს მეცნიერების შესწავლასა და კვლევა-ძიებას ანდომებს, შესძლებს კიდეც, რომ მსოფლიო მეცნიერების მსწრაფლ განვითარებას არ ჩამორჩეს. თუმცა უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებელში მყოფი მეცნიერი ქართველი პროფესორები, დოცენტები, ასისტენტები და ლაბორანტები არც ისე ცოტანი გვყვანან, როგორც ბევრსა ჰგონია, მაგრამ თითქმის ყველანი რუსეთის და თითო-ოროლა უცხოეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში არიან გაფანტულნი. ქართული მეცნიერებისათვის სამსახური მათს პირდაპირს მოვალეობას არ შეადგენს და ამის გამო მომეტებული მათგანი იძულებულია მთელი ნიჭი და თავისი ძალღონე რუსულ უმაღლეს სასწავლებლებს შეალიოს. ასე შორიშორს მყოფნი და გაფანტულნი თუნდაც რომ ქართულ მეცნიერებას თავგანწირულ მხნეობით ემსახურონ, ცხადია მაინც ქართულ სამეცნიერო მწერლობას და სკოლას ვერ შეჰქმნიან. ამისთვის უნდა ერთი ქართული სამეცნიერო უმაღლესი დაწესებულება შეიქმნას, რომლის წევრთა უმთავრესსა და პირდაპირს მოვალეობას მხოლოდ ქართულ მეცნიერებისათვის სამსახური და მის წარმატებასა და აყვავებაზე ზრუნვა უნდა შეადგენდეს. მარტო ამგვარს დაწესებულებას შეუძლიან ქარ-

თულ მეცნიერებისა და შემოქმედებითი აზროვნების დაუფასებელ, ცხოველმყოფელ კერად და მანათობელად იქცეს.“

თქვენს ამ სიტყვებს დღესაც იგივე აქტუალობა აქვს შენარჩუნებული. ამიტომ საინტერესოა, მაშინ ასეთი უიმედო მდგომარეობიდან გამოსავალი როგორ მოინახა?

„უნდა აღვნიშნო, რომ საინტერესო მოვლენა იყო: სადაც კი ქართველი მეცნიერი გამოჩნდებოდა რუსეთის რომელსამე საუნივერსიტეტო ქალაქში, იქ პატარა ბუდე გაჩნდებოდა ქართველი ინტელიგენციისა. ასე: ოდესაში ვასილ პეტრიაშვილმა ძლივძლივობით გაიკვლია გზა, მისი დატოვება უნდოდათ მხოლოდ იმიტომ, რომ გამოჩენილი მეცნიერი იყო. ვასილ პეტრიაშვილის დარჩენამ გამოიწვია, თავის მხრივ, პეტრე მელიქიშვილის დარჩენა. მას შემდეგ ოდესის უნივერსიტეტი გახდა კერა ქართველი ინტელიგენციისა. რასაკვირველია, ეს კერა რუსული სასწავლო მეცნიერებისა იყო, მაგრამ, ვისაც გული შესტკიოდა, შეეძლო იგი თავისი ხალხისათვის გამოეყენებინა, და ვასილ პეტრიაშვილის ღვაწლი დაუვიწყარი უნდა დარჩეს იმიტომ, რომ მან გაბედა, პირველმა, ამ მხრივ ნაბიჯის გადადგმა.“

გასაგებია, რომ თქვენ ვასილ პეტრიაშვილი მაგალითად მოგყავთ, თორემ, როგორც თავად მიუთითებთ, სხვებიც იქნებოდნენ. ამ მეცნიერების გარშემო შექმნილ „ბუდეებში“ იზრდებოდნენ მომავალი ქართული უნივერსიტეტის შემქმნელებიც. მაგრამ დაბრკოლება სხვაც ბევრი იქნებოდა.

„რამდენჯერ გამიგონია, რომ ქართული მეცნიერული მწერლობა ვერ შეიქმნებაო. 1917 წელს ამას გვიმტკიცებდნენ, რომ ქართული მეცნიერების დაფუძნება შეუძლებელიაო და ვასილ პეტრიაშვილმა არათუ უარყო, არამედ დაამტკიცა, რომ საუცხოო სამეცნიერო თხზულების დაწერა შეუძლია, დასწერა და გამოსცა კიდეც ისეთი თხზულება, რომელიც არ ჩამორჩება არც ერთ ევროპულ ენაზე დაწერილს! მაგრამ ეს შესძლო ვასილ პეტრიაშვილმა, ვინაიდან გრძნობდა პასუხისმგებლობას, რომ, თუ შენ ბედნიერი ხარ იმდენად, რომ დაწინაურდი და მეცნიერებას დაეუფლე, ვალდებული ხარ – შენი დაბეჩავებული ხალხის საკეთილდღეოდ გამოიყენო შენი ცოდნა. სამწუხროდ, ეს ბევრს არ ესმოდა. გამოჩენილი მეცნიერი იყო ივანე თარხნიშვილი, – განა მას არ შეეძლო, მაგრამ არც ერთი თხზულება ქართულად არ

დაუწერია, აგრეთვე სხვებსაც, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ და არ გამოუყენებიათ. მაინც დამახასიათებელია, – როგორც აღვნიშნე, – სადაც ერთი გაჩნდებოდა, მის გარშემო მოიყრიდა ახალგაზრდობა თავს. ეს ამტკიცებს, რომ მეცნიერების წყურვილი არსებობდა. ამგვარად გაჩნდა კერა მოსკოვში, პეტროგრადში, ხარკოვში, ნაწილობრივ თბილისშიაც.[1] ყველაზე უკეთესად საამისო პირობები იყო მაშინდელ პეტერბურგში, სადაც უნდა უნდა შექმნილიყო ქართული მეცნიერებისათვის მტკიცე ნიადაგი. ამრიგად, თუ ცოტა მოგვიანებით დაგვირგვინდა საქმე, მე მგონია ეს გარემოებას არ უნდა მიეწეროს, რომ ხელშემწყობი პირობები არ იყო. ხელშემწყობი პირობებისდა მიუხედავად, ჩვენი ღრმა რწმენით, ვისაც ნიჭი აქვს, ვისაც სიყვარული აქვს და ვისაც ხალხისადმი პასუხისმგებლობა ესმის, ყველაფრის გადალახვა შეუძლია, ყველაფრის გაკეთება შეიძლება. როდესაც იმართლებენ თავს, რომ ხელისშემწყობი პირობები არ იყოო, ეს მთლიანად სწორი არ არის. ყოველ შემთხვევაში, ეს გადაჭარბებულია, და მარტო რუსეთის ძველი მთავრობის ბრალი არ არის, რომ ჩვენი ენაც და სამეცნიერო მწერლობაც ისეთ სავალაო მდგომარეობაში იყო, – ჩვენი ინტელიგენციის ბრალიც არის. ჩვენი მოწინავე საზოგადოებისა, რომლის ხელშიაც იყო სვე-ბედი ქართული კულტურისა."

სამეცნიერო სკოლებში გაჩაღებული მუშაობა მართალია ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ეს ხომ თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსების საკითხს ვერც დასვამდა და ვერც გადაწყვეტდა? თანაც ვის შეეძლო ეოცნება, რომ ოდესმე უნივერსიტეტის დასაარსებლად შესაფერისი პირობები შეიქმნებოდა თუ არა? მანამდე თქვენ გულ-ხელდაკრეფილი ნამდვილად არ იქნებოდით.

„რა უნდა გაკეთებულიყო, რომ ასეთ უმწეო მდგომარეობაში მყოფი საქმე გამოსწორებულიყო? პირველი, რასაც უნდა მიქცეოდა ყურადღება – ეს არის ქართული კულტურის შესწავლა; ქართული კულტურის ცოდნა მოგვცემდა საშულებას იმ ძველი მარაგის გამოსაყენებლად, რომელზედაც უნდა აღმოცენებულიყო, თუ გნებავთ,

[1] „ნაწილობრივო" ამბობს ივანე, რადგანაც თბილისში, მართალია, უნივერსიტეტი არ არსებობდა, მაგრამ 1907 წლიდან ფუნქციონირებდა ე. თაყაიშვილის მიერ დაარსებული „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება". ქართულ ენასა და სიძველეებს ე. თაყაიშვილის გარდა იკვლევდნენ თ. ჟორდანია, მ. ჯანაშვილი, პ. უმიკაშვილი და სხვები.

აღმდგარიყო მკვდრეთით ძველი ქართული მეცნიერება – ოდესღაც მდიდარი, მაგრამ შემდეგ დაკნინებული. ამ მიზნით საჭირო იყო ტერმინოლოგიის მასალების დაგროვება. ამასთნავე, საშუალება უნდა ჰქონოდა ახალგაზრდობას, მეცნიერება შეესწავლა ქართულად და მსჯელობის უნარი გამოემუშავებინა. ამისთვის 1907 წელს დაარსებული იყო პეტერბურგში ქართული სამეცნიერო წრე. თითქმის სრულიად მარტივი და უმნიშვნელო ამბავია, მაგრამ ამ სამეცნიერო წრეში სტუდნტები რომ თავს იყრიდნენ, მსჯელობა წარმოებდა ქართულად. მოხსენებები იწერებოდა ქართულად სხვადასხვა დარგიდან. კამათი, მსჯელობა ქართულად წარმოებდა და ვარჯიში დაიწყო, ენა გაიკვეთა ახალგაზრდობამ და განუვითარა ქართული მეტყველების უნარი, რომელიც მანამდე არ ჰქონდა. ჩვენ უნდა გვცოდნოდა აგრეთვე ძველი მარაგი, რომელიც შექმნილი იყო ძველად. მე იმას კი არ ვგულისხმობ მხოლოდ, რაც საუკუნეთა განმავლობაში იყო გაკეთებული, მე მოგახსენებთ იმის შესახებ, რაც მე-19 საუკუნეში იყო მოპოვებული. გარწმუნებთ, რომ არსებობს არა ერთი თზხულება, რომელიც სამჯერ-ოთჯერ დაიბეჭდა, მაგრამ ბევრმა არც იცოდა, რომ ოდესღაც გამოქვეყნებული იყო ესა თუ ის წიგნი. ამგვარი კულტურის ტრადიცია არ არსებობდა. ის ძვირფასი მასალა ხალხური შემოქმედებისა და სხვაგვარი მასალა, რომელიც უმთავრესად ქართულ გაზეთებში იყო გაფანტული, სრულიად იკარგებოდა. ამრიგად, ამ მასალის გამოყენება შეეძლო ადამიანს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითონ შეადგენდა თავისთვის ბიბლიოგრაფიას და შემდეგ ჩაიხედავდა, თუ დასჭირდებოდა. აი, ასეთი, სრულიად შეუწყნარებელი, სავალალო მდგომარეობის გამო პეტერბურგის ქართულმა სამეცნიერო წრემ დაისახა ამოცანად, რომ ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის სრული ბიბლიოგრაფია შეედგინა.“

ამგვარად, თქვენი ხელმძღვანელობით ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრემ სამი დიდი ამოცანის გადაჭრა დაიწყო: ეს იყო ქართული გამოცემების ბიბლიოგრაფიის შედგენა, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის მასალების მომზადება და რაც ყველაზე მთავარია „ენა გაიკვეთა ახალგაზრდობამ და განუვითარა ქართული მეტყველების უნარი, რომელიც მანამდე არ ჰქონდა.“ საზოგადოების სამსჯავროზე თუ დადეთ ამ დიდი მუშაობის შედეგები?

„სამეცნიერო წრის მუშაობამ საშუალება მისცა ახალგაზრდობას

დასწაფებოდა მეცნიერებას თავის დედაენაზე და ამის ნაყოფი გახლავთ პირველი კრებული, რომელიც დაიბეჭდა. პეტერბურგის ქართული სამეცნიერო წრის კრებული, რომელშიაც სხვადასხვა დარგების გამოკვლევები იყო დაბეჭდილი, დაწერილია სტუდენტების მიერ, ხელოვნების, ისტორიის, სამართლის, ეკონომიკის – ყველა ამ დარგის – შესახებ წერილებია მოთავსებული. ამგვარად, საქმე ნაწილობრივ გაიჩარხა."

მაგრამ ეს ხომ არ იყო საკმარისი?

„რასაკვირველია, იბადებოდა კითხვა: შესაძლებელი იყო თუ არა, რომ ქართული უნივერსიტეტი შექმნილიყო, უნივერსიტეტის შესაქმნელად საჭირო სამეცნიერო ძალა გვყავდა თუ არა. ცნობების შეკრებამ გამოარკვია, რომ იყო პატარა უნივერისტეტისათვის შესაქმნელი ძალა, იყო 30 კაცამდე გაფანტული სხვადასხვა უნივერსიტეტში. ეს მანუგეშებელი მდგომარეობა იყო, მაგრამ მსმენელები იქნებოდნენ? ვაითუ უნივერსიტეტი ცარიელი ყოფილიყო! უნდა გვცოდნოდა – რომელი, რა დარგი უფრო აინტერესებდათ. ამ მიზნით 1910 წელს ჩატარდა აღწერა ყველა სტუდენტისა, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. ამ აღწერამ კინაღამ მთელი საქმე ჩაშალა: დაიწყეს კვლევა – რა წრეა ეს წრე, რისთვის კრებენ ამ ცნობებს? ... წრე გადაურჩა ამ საქმეს და უნივერსიტეტისათვის საკმაო ცნობები იქნა შეკრებილი. ამ წრემ დაამტკიცა, რომ საქართველოს 1000-ზე მეტი სტუდენტ ჰყავს სხვადასხვა დარგზე. 1000 სტუდენტი პატარა პროვინციული უნივერსიტეტისათვის სრულიად საკმაო იყო მაშინდელი დროისათვის. ამგვარად, მსმენელები გვყავდა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ უნიადაგო, უსაფუძვლო, სასაცილო ოცნებად ეჩვენებოდა ადამიანს, რომ ვინმეს გაებედა მაშინ ეთქვა რაიმე ამაზე."

გასაგებია, რასაც გულისხმობთ. როცა თქვენ ამბობთ „უნიადაგო, უსაფუძვლო, სასაცილო ოცნებად ეჩვენებოდა ადამიანს, რომ ვინმეს გაებედა მაშინ ეთქვა რაიმე ამაზე": უნივერსიტეტის დასაარსებლად სათანადო დრო უნდა დამდგარიყო. ეს დრო კი მაშინ ჯერ-ჯერობით არ იყო – ცხადია, რომ რუსეთის ხელისუფლება ქართული უნივერსიტეტის დაარსების ნებართვას არ გასცემდა. ისიც გასაგებია, რომ თქვენ მაინც მუშაობდით – ოდესღაც ხომ დადგებოდა შესაფერისი დრო. ამ დროს კი უნდა მომზადებული უნდა შევხვედროდით. როდის დადგა ეს დრო?

„1914 წელს მსოფლიო ომი რომ ატყდა და შეტაკება მოხდა გერმანიასა და ძველ თვითმპყრობელურ რუსეთს შორის, დიდი წინასწარმეტყველება და ნიჭი არ იყო საჭირო, ეწინასწარმეტყველა ვინმეს, რომ ძველი რუსეთი, თვითმპყრობელობის მიერ მონობაშიც ჩამწყვდეული, დამარცხებული იქნებოდა. ვინც რუსეთის ისტორია იცის, კარგად ეცოდინება: თუ რაიმე ღირსებია რუსეთში მცხოვრებ ხალხებს, მხოლოდ მაშინ, როდესაც თვითმპყრობელობა დამარცხებულა. 1917 წელს რევოლუცია მოხდა. რევოლუციის დაწყებისთანავე დაიბადა იმედი, რომ კერძო სასწავლებლის სახით მაინც შესაძლებელი იქნებოდა ადამიანს ეზრუნა უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის. თებერვალში ერთი პირის კერძო ბინაზე[1] მოწვეული იყო პირველი თათბირი ამ საკითხის განსახილველად... ამ თათბირზე გადაწყდა, რომ აუცილებლად უნდა გვეცადა, კერძო სასწავლებლის სახით მაინც გაგვეხსნა უმაღლესი სასწავლებელი. ამ გადაწყვეტილებას ის ჯგუფი არც ისტორიულად ითვალისწინებდა და არც უფიქრია, რომ დიდ საქმეს აკეთებდა. ეს რომ ასეა, იქიდან შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ არც ოქმი ყოფილა შედგენილი და, გულახდილად უნდა მოგახსენოთ, მე ეხლა არც რიცხვი მახსოვს, როდის იყო ეს სხდომა, ვიცი მხოლოდ – ვინ იყო მონაწილე ამ სხდომისა.“

ეს ხდება პეტერბურგში. საქმე კი საქართველოში უნდა გაკეთებულიყო. აქ როგორ წარიმართა მოვლენები?

„1917 წლის 12 მაისს მოწვეული იყო საჯარო სხდომა, რომელზედაც მოხსენება იყო წაკითხული[2] იმის შესახებ, რომ საჭიროა კერძო უმაღლესი სასწავლებლის დაარსება თბილისში. უნდა ითქვას, რომ აღფრთოვანებით შეხვდა საზოგადოება ამ ამბავს, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ უნივერსიტეტის მაგივრად სჯობდა სპეციალური სასწავლებელი დაარსებულიყო. პრაქტიკული მიმართულება უკეთესი არისო.“

იქნებ გაიხსენოთ, რა ბრძანეთ თქვენ ამ კრებაზე უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის დასამტკიცებლად?

თუ ჩვენ გვინდა რომ „ქართულმა აზროვნობამ და ენამ წინანდებურად ლაღად ფრთა გაშალოს, ქართველობამ კვლავ აზროვნების

---

[1] იგულისხმება თავად ივანე ჯავახიშვილის ბინა, სადაც მოწვეულ თათბირს დაესწრნენ: იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე. დანარჩენი უცნობია.

[2] მოხსენება წაიკითხა ივანე ჯავახიშვილმა.

უმწვერვალეს სფერომდე აღმაფრენა შეიძლოს და თავის ამ სულისკვეთებისათვის შესაფერისად მოქნილი და მდიდარი ენა შეჰქმნას... ამ ჩვენს აღორძინებას მტკიცე საფუძველი ჰქონდეს, ფესვები მაგრად გაიდგას და უხვად გაიფურჩქნოს, უნდა დაუყოვნებლივ ჩვენს თანამედროვე ვითარებას ჩავუკვირდეთ და საქმის შესატყვისი სამოქმედო გეგმა შევიმუშავოთ, რომლის განსახორციელებლად არაფერი უნდა დავზოგოთ და არავითარ დაბრკოლების წინაშე არ უნდა შევდრკეთ. საქართველოს თანამედროვე აღორძინება უეჭველია ჯერ კიდევ ძალიან ნორჩია, რომ მას გულმტკივნეული მზრუნველობა არ ესაჭიროებოდეს. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ არც ერთ ეროვნებასა და ქვეყანას არ შეუძლიან შეუჩერებელი კულტურული ზრდა, თუ რომ მას შესაფერისად განვითარებული და მუდამ წარმატებაში მყოფი მეცნიერება არ აბადია. ერის ყოველი წარმატება, თვით ნივთიერ კულტურის სფეროშიაც-კი თეორიული მეცნიერების წარმატებასა და აღმოჩენებზეა დამოკიდებული. ცნობილია, რომ გერმანიის ქიმიურ ნივთიერებათა და სამღებრო მრეწველობის განმაცვიფრებელი ზრდა გერმანული საქიმიო მეცნიერების დაუცხრომელ წარმატების ნაყოფია. თუ გერმანია ამ მსოფლიო უმაგალითო ომის ტვირთის სიმძიმეს ყველაზე უკეთესად იტანს და ყველგან, სადაც იგი მოქმედებას დაიწყობს ხოლმე, მისი ყოველივე ნაბიჯი მიზანშეწონილია, ეს სხვათა შორის იმითაც აიხსნება, რომ თეორიული სოციალური და ჰუმანიური მეცნიერებანიც იქ მაღალ ხარისხამდე არის განვითარებული და მუშაობა შეუჩერებლივ სწარმოებს. რაც უნდა კარგად შეისწავლოს პრაქტიკულად გამოსაყენებელი ტეხნიკის თვით უკანასკნელი აღმოჩენა და საშუალებანი, თუ რომ თეორიული მეცნიერება მას საფუძვლიანად მუდამ ნიადაგს არ უმაგრებს, ამგვარს ცოდნას ვითარცა ნამდვილ ხელოსნურსა მცირედი ღირებულება აქვს და თანდათან უნდა უეჭველად ჩამოქვეითდეს. ამიტომ ცხადზე უცხადესია, რომ თუ ჩვენ გვსურს ჩვენი ერის გონებრივსა და კულტურულს ნორჩს აღორძინებას ფესვები გავუმაგროთ, მთელი ჩვენი ძალღონით ქართულ მეცნიერების შექმნას და აყვავებას უნდა ხელი შევუწყოთ.“

შემდეგ რა მოხდა?

„ამ 12 მაისის სხდომას მოჰყვა 17 მაისის ასეთივე საჯარო სხდომა ქუთაისში. ქუთაისში უფრო მეტი აღმოჩნდა პოლიტექნიკუმის მომხრე და უფრო გაცხარებული ბრძოლა წარმოებდა.“

ბატონო ივანე, სწორედ ამ საკითხზე უნდა შეგეკითხოთ. როგორც ცნობილია, ქართველთა შორის ადრეც დიდი კამათი იყო, თუ რა ტიპის უმაღლესი სასწავლებელი უნდა დაარსებულიყო საქართველოში – სამეცნიერო აკადემია, პოლიტექნიკური ინსტიტუტი თუ უნივერსიტეტი. ახლაც იგივე თემებზე დაიწყო საუბარი. თქვენმა იდეამ გაიმარჯვა. მაინც რაში მდგომარეობს მისი არსი? აკადემიით დავიწყოთ. როგორია თქვენი აზრი მეცნიერებათა აკადემიაზე?

„რაკი სამეცნიერო აკადემია რაღაც უუმაღლეს სამეცნიერო დაწესებულებად ითვლება და აკადემიკოსობისათვის არავითარი საგანგებო არც სამეცნიერო გამოცდა და არც ხარისხი არის საჭირო, არამედ აკადემიკოსად ირჩევენ ხოლმე უკვე სახელგანთქმულ მეცნიერებს, ამის გამო სამეცნიერო აკადემიებში საქმე ისეა დაყენებული, რომ ჩვეულებრივ 45-50 წ. უფრო ჯიელი მეცნიერი იშვიათად თუ ეღირსება ხოლმე აკადემიკოსობას. ხოლო რაკი შემოქმედებისა და სამეცნიერო ნაყოფიერების ძალა ადამიანს სწორედ 30-50 წლოვანობის ხანაში შესწევს და აზროვნობასაც ამ ხანაში თავისუფალი აღმაფრენა და ჭაბუკური გამბედაობა აქვს, ისე გამოდის, რომ სანამ მეცნიერი უფრო ნაყოფიერი და ძალღონით სავსეა, ის აკადემიკოსად არ ითვლება და როცა უკვე სახელი მოუხვეჭნია და სიბერე ეპარება, ის აკადემიკოსად ხდება. ამასთანავე რათგან აკადემიკოსის მოვალეობაა ახალგაზრდა მეცნიერთ მფარველობა გაუწიოს და მოეხმაროს, ამიტომ აკადემიკოსების მოღვაწეობა დიდ მოუცლელობის გამოც დიდ ნაყოფიერებას ვერ იჩენს. იგი იძულებულია სხვათა და თავის წინამოადგილეების შრომების გამოქვეყნებას შეალიოს ისედაც უკვე ხანშიშესული პირადი ნიჭი და ძალ-ღონე. ამას გარდა, სამეცნიერო აკადემია ვიწროდ შემოზღუდული სამეცნიერო დაწესებულებაა, მეცნიერების სრული და მთლიანი სამფლობელოს მაგიერ იქ ყველა დარგები კი არ არის წარმოდგენილი, არამედ მხოლოდ ზოგიერთი უმთავრესი. ესეც არის, რომ სამეცნიერო აკადემია მარტო თვით აკადემიკოსებისათვის არსებობს, საზოგადოებასთან მას მცირედი დამოკიდებულება აქვს, მოზარდ თავობასთან ხომ არავითარი კავშირი არა აქვს და ამის გამო მისი მოქმედების და გავლენის სფეროც შედარებით ვიწროდ არის შემოზღუდული.“

უნივერსიტეტზე რას იტყოდით?

„სულ სხვაა უნივერსიტეტი: იქ მეცნიერება მთელის თავის მრავალმხრივობითა და მრავალფერადოვანებით სუფევს, ყველა თავის მიმარ-

თულებებით. სამეცნიერო გამოცდებისა და ხარისხების წყალობით იქ ერთად მოღვაწეობენ სიცოცხლითა, ნიჭითა და გამბედავობით სავსე ახალგაზრდა მეცნიერნიც [და] სიბრძნის ბრძმედით გაკაჟებული განთქმული მეცნიერნიც. უნივერსიტეტი ამასთანავე უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულებაც არის და იმავე დროს უმაღლეს მეცნიერების სასწავლებელიც, სადაც მოზარდი ახალგაზრდობა და ჭაბუკნი, მომავალი თავობა მეცნიერ-მკვლევართა მოძღვრობითა და ხელმძღვანელობით უმაღლეს მეცნიერებას ითვისებს, სამეცნიერო მუშაობას ეჩვევა და თანდათან მის თანამოზიარედ ხდება. აქ მჭიდრო სულიერი კავშირია მეცნიერთა და მომავალ თავობას შორის. აქ შესაძლებელი ხდება მეცნიერების ცხოველი, შეუჩერებელი მიმდინარეობა და მეცნიერება დაუშრეტელ, ცოცხალ ძალად არის ქცეული. სწორედ ასეთი დაწესებულებაა ჩვენ ქართველებისათვის საჭირო. სამეცნიერო აკადემიისა და უნივერსიტეტის ერთად შენახვა ჩვენ არ შეგვიძლიან და არც იმოდენი ძალა შეგვწევს, ამიტომ ცხადია ჩვენი მოვალეობა უნდა იყოს ქართულ უმაღლეს სასწავლებლის დაარსებაზე ვიზრუნოთ და არა აკადემიაზე. დასავლეთ ევროპის მაგალითიც ნათლად გვიჩვენებს, რომ იქაც ჯერ უნივერსიტეტები იყო, ხოლო შემდეგ აკადემიები გაჩნდა. ჩვენშიაც მომავალი გვიჩვენებს, საჭირო იქმნება (და თანაც შევძლებთ) თუ არა ისეთ ძვირფას დაწესებულების შექმნას, როგორიც სამეცნიერო აკადემიაა? ამ ჟამად-კი ამაზე ფიქრიც კი ზედმეტი იქმნებოდა.[1]“

ყველაფერი გასაგები და ნათელი რომ გახდეს, ბარემ პოლიტექნიკურზეც მოგვახსენეთ თქვენი აზრი.

„ტეხნიკურ სასწავლებლებთან უნივერსიტეტს ის ცხადი უპირატესობა აქვს, რომ უნივერსიტეტში მეცნიერების შემოქმედებითი, დამაწინაურებელი და ამამოძრავებელი ძალა, თეორიული კვლევა-ძიებაა გაბატონებული, ტეხნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში-კი ყურადღება განსაკუთრებით თეორიულ მეცნიერების პრაქტიკულად გამოყენებაზეა მიქცეული. სულ ერთია ტეხნიკურ სასწავლებლებშიაც საზოგადო თეორიულ მეცადინეობის სწავლებაც უნდა იყოს და ჩვენ არც ქონებრივად შეგვიძლიან და ჯერჯერობით არც იმოდენი კულტურული ძალა შეგვწევს, რომ უნივერსიტეტიცა და რამდენიმე ცალ-ცალკე ტეხნიკური სასწავლებელიც, გინდ მარტო ერთი სრული პოლიტეხნი-

[1] ეს სიტყვები 1917წ. წარმოითქვა.

კუმიც შევინახოთ. უნივერსიტეტთან-კი შემდეგში შეიძლება სასოფლო მეურნეობისა და სხვაგვარი ტეხნიკური ინსტიტუტები დაარსდეს. თეორიულ მეცნიერებას სხვებთან ერთად უნივერსიტეტში მოისმენენ და შეისწავლიან, გამოსაყენებელ მეცნიერებათა საგნებს-კი ინსტიტუტებში შეისწავლინ. ამ გზით ხარჯებიც ძალზე შემცირდება და მეცნიერთა რიცხვიც გაცილებით ნაკლები დაგვჭირდება. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს".

ბატონო ივანე, როგორც ცნობილია, სწორედ ამ მატერიალური და ადამიანური რესურსების სიმცირის გამო თავდაპირველად უნივერსიტეტი მხოლოდ ერთი ფაკულტეტით წარმოდგა ერის წინაშე, რომელსაც „სიბრძნიმეტყველების ფაკულტეტი" ერქვა. რატომ დაარქვით ასე?

„ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი... ტერმინის – „სიბრძნისმეტყველების" ფაკულტეტის განსამარტავად და გასამართლებლად. ფილოსოფიური ფაკულტეტი გერმანიაში ენათმეცნიერების, საკუთრივ ფილოსოფიურ საგნების, სიტყვიერების, ისტორიის, ხელოვნების, პოლიტიკურ ეკონომიისა, სახელმწიფო სამართლის და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო მეცნიერებას შეიცავს. ამ შემთხვევაში „ფილოსოფიური" ფაკულტეტი ძველ, ფართო მნიშვნელობით არის ნახმარი და მეცნიერების ჰუმანურ-სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო დარგების შემცველია. მეცნიერული აზროვნების მრავალმხრივობისა და საფუძვლიანობისათვის სასურველია რომ ეს სამი უმთავრესი დარგი მართლაც ერთად იყოს. მათ შორის მრავალი საერთო სამეცნიერო კვლევის საგნებიცაა. და თუ ეს შეხედულება შესაწყნარებელი იქმნება მომავალ ქართულ უმაღლეს სასწავლებლისათვის, უნდა შესატყვისი ტერმინი შექმნილიყო. ფილოსოფიას ქართულში ვიწრო, საკუთრებითი მნიშვნელობა ჰქონდა და ეხლაცა აქვს და ამიტომ ჩვენ მიზნისათვის არ გამოდგებოდა. სამაგიეროდ „სიბრძნე" ამისთვის შესაფერისია; მას ძველადაც მუდამ ფართო მნიშვნელობა ჰქონდა და ეხლაც ამგვარადვე ფართოდ იგულისხმება. შოთას უკვდავი ქმნილებაც ცხადჰყოფს, რომ „სიბრძნე" მაშინ იმგვარადვე ფართო მნიშვნელობით იხმარებოდა, როგორც დასავლეთ ევროპაში და გერმანიაში ძველად სიტყვა ფილოსოფია ესმოდათ. „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი"-ო, ნათქვამია „ვეფხისტყაოსანში". მაშასადამე, პოეზიაცა და ხელოვნებაც „სიბრძნე"-დ ითვლებოდა. ეს ტერმინი ფართო ცნების შემცველი ყოფილა და მას ცოდნის სხვადასხვა დარგი ჰქონია. აი ამის გამო ვგონებ

გერმანულ „ფილოსოფიურ ფაკულტეტი“-ს გადმოსაცემად ქართულად „სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი“ უნდა ვიხმაროთ.“

როგორც თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ქართული უნივერსიტეტის დაფუძნებამდე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უამრავი უნივერსიტეტი არსებოდა. მათში ყველაგან მიმდინარეობდა სამეცნიერო კვლევა-ძიება მეცნიერების თითქმის ყველა დარგში. ამ უნივერსიტეტებს ახლა ჩვენიც მიემატა. თქვენი გეგმით, როგორი იყო ქართული უნივერსიტეტის სამოქმედო არეალი?

„საქართველოს და კავკასიის წარსული და აწმყო, მისი ბუნება და ადამიანი უნდა შეადგენდეს ამ ქართულ უნივერსიტეტის ყოველმხრივ სამეცნიერო კვლევა-ძიების უპირველეს მიზანს. ქართველ ერის ისტორიული ბედი საუკუნეთა განმავლობაში მრავალ სხვა და სხვა კულტუროსან ერის ბედთან იყო დაკავშირებული და თუ დასავლეთ ევროპის მკვლევართათვის აღმოსავლეთის კულტურის შესწავლა უფრო რომ მეცნიერული ცოდნისმოყვარეობის შედეგია, ჩვენ ქართველთათვის და ქართული მეცნიერებისათვის ასურელთა, სპარსელების, ბერძნების, არაბების, სომხების და სხვათა ისტორიისა, მწერლობისა და კულტურის შესწავლა თვით ჩვენივე წარსულისა და აწმყოსათვის არის აუცილებლად საჭირო. აი ეს არის ქართული უნივერსიტეტისათვის ნამდვილი მეცნიერული მოწოდება და ქართული და კავკასიის ენათმეცნიერების, აღმოსავლეთის და ქართულ ეთნოლოგიისა, ისტორიის, მწერლობისა, სამართლისა და კულტურის შესწავლით ქართულ მეცნიერებას კაცობრიობის აზროვნების მსოფლიო საუნჯეში ფასდაუდებელი განძის შეტანა შეუძლიან. მეორეს მხრით ჩვენი სამშობლოს ბუნებაც, უძრავი და მოძრავი, უტყვი და მეტყველი, იმდენად საყურადღებოა მკვლევარისათვის, ადგილობრივ პირობების გამო თვით კაცის სხვა და სხვა სნეულებას ეგოდენი ჯერ კიდევ შეუსწავლელი, განსხვავებული თვისებები აქვს, რომ აქაც ჩვენ უმაღლეს სასწავლებლის მეცნიერ ბუნების მეტყველთა და სამკურნალო ფაკულტეტს ფართო და საპატიო სამოქმედო ასპარეზი ექმნება. ყოველ ერის მეცნიერებას მსოფლიო გონებრივ შემოქმედებისათვის იმოდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი საერთო კაცობრიობის სალაროში საკუთარს წვლილს შეიტანს და თავისებურობას გამოიჩენს. ზემოაღნიშნულითგან ცხადი უნდა იყოს, რომ თუ ქართველი მეც-

ნიერნი თავის მოვალეობას პირნათლად აასრულებენ და საკმაო ნიჭს გამოიჩენენ, ქართულს უნივერსიტეტს და ქართულ მეცნიერებას შეუძლიან საჭირო თავისებურობაც გამოიჩინოს და მსოფლიო შემოქმედებაში საკუთარი წვლილიც შეიტანოს.“

თქვენს იდეას საზოგადოება მოწონებით შეხვდა. როგორ წარიმართა შემდეგ მუშაობა?

„თბილისში და ქუთაისში არჩეული იყო კომიტეტი, რომელსაც დახმარება უნდა გაეწია ამ აზრის გატარებისათვის. დაარსდა ე.წ. თბილისის უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოება. დაიწყო მუშაობა. პირველი კრების აღფრთოვანებამ, აღგზნებამ ცოტა ფულიც შესძინა ამ აზრს, მაგრამ შემდეგ, როდესაც ქართველ საზოგადოებაში არაერთხელ მომხდარა, ეს აღფრთოვანება როგორღაც განელდა. უგულობა ცხადად იგრძნობოდა, ამ გამგეობის კრებები იშლებოდა ხოლმე. გულახდილად მოგახსენებთ, კრებები დიდი დაგვიანებით იმართებოდა. ისეთი დიდი დამსახურებული მეცნიერი, როგორიც მელიქიშვილი იყო (საერთოდ, მეცნიერები მიჩვეული არიან წესიერ სხდომებს) და სხვა მონაწილეები, უნდა მოგახსენოთ, იშვიათად ესწრებოდნენ სხდომებს. არ ეტყობოდა, რომ ის აღფრთოვანება, რომელიც პირველ კრებაზე იყო, ხანგრძლივი აღმოჩნდებოდა. მე ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ თქვენთვის გასაგები იყოს, შემდეგ რაც მოხდა.“

რა მოხდა შემდეგ?

„დადგა დრო, როდესაც ეს იდეა პრაქტიკულად უნდა განხორციელებულიყო. დროებითი მთავრობა იყო. წესდება უნდა წარგვედგინა. წესდება დაიწერა. ვთხოულობდით უმარტივეს რაიმეს უმაღლესი სასწავლებლის გახსნას. პირველი მუხლი ასეთი იყო: ამ უმაღლეს სასწავლებელს, – თუ მის უფლებამოსილ პროფესორთა სხდომაზე სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი საჯარო პაექრობით დაიცავდა დისერტაციას, – სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლება ჰქონოდა; რომ პროფესსორ-სტუდენტთათვის სამხედრო ბეგარის შეღავათი ყოფილიყო. როგორც მოგეხსენებათ, ასეთი წესი იყო, რომ პროფესორი და სტუდენტები განთავისუფლებული იყვნენ, სანამ დამთავრდებოდა

მეცადინეობა. წავიდა ეს თხოვნა, თავმჯდომარე მაშინ ხარლამოვი[1] იყო, მან გვიპასუხა, მე ამ საკითხის გადაწყვეტა არ შემიძლია, უნდა გავგზავნო თხოვნა პეტერბურგსო. გაგზავნა. თითქმის იმედი გადაწყვეტილი გვქონდა. ამავე დროს, გამოირკვა, რომ დროებით მთავრობას გადაეწყვიტა თბილისში გაეხსნა მთავრობის უმაღლესი სკოლა. ტელეგრამა გავგზავნეთ, გვაცნობეს – კერძო უნივერსიტეტის დაარსების შესახებ ფოსტით შეგატყობინებთო. ფოსტოთ გამოგზავნილი ჩვენ არ მიგვიღია."

ე. ი. რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა თბილისში ორი უმაღლესი სასწავლებლის დაარსება – ერთი მთავრობის ხაზინიდან დაფინანსდებოდა და მეორე კი კერძო პირთა კეთილგანწყობაზე დამოკიდებული. მთავრობის უნივერსიტეტი რუსული იქნებოდა, კერძო კი ქართული. კერძოს, რა თქმა უნდა, ყოველთვის გაუჭირდებოდა საჭირო სახსრების მოძიება, მაგრამ ეს იყო მხოლოდ განსხვავება და დაბრკოლება?

„როგორი პირობა იყო: უნდა დაწერილიყო მოხსენება, რომელშიაც, სამწუხაროდ, ორი ცნობილი მეცნიერი იყო გარეული, ორი აკადემიკოსი, ერთი – როგორც განათლების მინისტრი[2], მეორე – როგორც მომხსენებელი[3], და ნათქვამი იყო, რომ თვით ქართველებისათვისაც ხელსაყრელი არ არის, ბოლოს და ბოლოს, ქართული უნივერსიტეტის გახსნა. ეს დამაზინებელ გავლენას მოახდენს ქართულ სამეცნიერო აზრზეო, მაგრამ თხოულობენ და რატომ არ მივსცეთ ნება, მხოლოდ – თბილისში თუ გაიხსნება, შესაძლებელია იყოს მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტი რუსულადო. ამას გარდა იქ არც ერთი სხვა უმაღლესი სასწავლებელი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ქართული უნივერსიტეტი სახალხო უნივერსიტეტი იყო და არასგზით არ შეიძლება, რომ სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლება ჰქონდეს მიცემული, არც სამხედრო ბეგარისაგან განთავი-

---

[1] რუსეთში 1917 წ. თებერვალში მომხდარი რევოლუციის შემდეგ რუსეთის დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიის სამართავად შექმნა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (რუსულად ОЗАКОМ), მისი თავმჯდომარე იყო ვ. ხარლამოვი.

[2] განათლების მინისტრი იყო ალ. მანუილოვი, პროფესორი. რუსეთში ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ იგი დროებით ბოლშევიკურ ხელისუფლებას გამოექცა და მის მიერვე ჩაწიხლულ თბილისის უნივერსიტეტს შეაფარა თავი, როგორც პროფესორმა.

[3] ეს მომხსენებელი იყო ნიკო მარი, რომელსაც ეკუთვნოდა იდეა თბილისში რუსულენოვანი კავკასიის უნივერსიტეტის დაარსებისა.

სუფლდებაო. მე მოგახსენებთ, რით იყო გამოწვეული, რომ სამეცნიერო ხარისხისა და სამხედრო ბეგარის საკითხი იყო შეტანილი. ჩვენ ყველას კარგად გვესმოდა, რომ სამეცნიერო ხარისხზე არ არის დამოკიდებული მარტო მეცნიერება. ისეთი მეცნიერნიც იყვნენ, რომელთაც სამეცნიერო ხარისხის მოპოვებისთვის არ უზრუნიათ, მაგრამ უდიდესი ღვაწლი მიუძღვით. მხოლოდ ცხადი იყო, რომ თუ ჩვენ უმაღლესი სასწავლებლის შექმნა გვსურდა, ჩვენი თანამშრომლები ისეთი კვალიფიკაციისა უნდა ყოფილიყვნენ, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის კვალიფიკაციაზე დაბლა არ მდგარიყვნენ. ეს შეიძლებოდა მხოლოდ იმ გარკვეული წესით, რომელიც მაშინ არსებობდა და რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ეხლაც არსებობს. ეს – ერთი გარემოება. შესაძლებელია, ეთქვათ, რომ მობრძანდით და სახელმწიფო უნივესრიტეტში დაიცავითო! დიახ, ეს შეიძლებოდა, რომ ისეთი სულიერი განწყობილება არ ყოფილიყო, რომელიც წარმოიშვა ასეთი დასკვნით. ყოველ შემთხვევაში, შეეძლოთ არც ერთი მეცნიერისათვის ხარისხი არ მიენიჭებინათ და, ამგვარად, ამ უმაღლეს სასწავლებელს დაბალი ხარისხის სასწავლებლის ფასი ჰქონოდა. მეორე გარემოება, რომელიც გვაიძულებდა, რომ სამხედრო ბეგარიდან განთავისუფლებული ყოფილიყვნენ, გახლდათ ის, რომ, თუ ეს საქმე არ მოგვარდებოდა, ყოველ მობილიზაციის დროს უნივერსიტეტი უნდა დაკეტილიყო და პროფესორიდან მოყოლებული სტუდენტამდე უნდა წასულიყვნენ სამხედრო სამსახურში.“

რუსეთის დროებითი მთავრობიდან შეგატყობინეს, რომ პასუხს ფოსტით მიიღებთო და იგი თქვენ არ მიგიღიათ. რა მოიმოქმედეთ ასეთ ვითარებაში?

„ტფილისის ქართული უნივერსიტეტის ძირითად დებულებანი წარდგენილი იყო ჯერ რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროში დასამტკიცებლად და სამინისტროს მიერ მოწონებულიც იყო, მაგრამ რაკი რუსეთში ერთბაშად ცვლილება მოხდა და ეგრეთ წოდებული სახალხო კომისრები[1] გაბატონდნენ, პეტერბურგთან კავშირი შეწყდა და ჩვენს უნივერსიტეტს არ მიუღია იქითგან ამ საგნის შესახებ

[1] ივანე ჯავახიშვილი გულისხმობს 1917 წ. 25 ოქტომბერს (ახალი სტილით 7 ნოემბერს) ლენინის მეთაურობით განხორციელებულ ოქტომბრის გადატრიალებას.

რაიმე ცნობა. როდესაც ამის შემდგომ ამიერკავკასიის კომისარიატი[1] დაარსდა, ჩვენი უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულებანი ამიერკავკასიის კომისარიატში იყო წარდგენილი, რომელიც 1917 წ. 2 დეკემბერს დამტკიცებული იქმნა.“

პეტერბურგიდან დასტური ფოსტით არ მოვიდა. იქ კი ხელისუფლება გამოიცვალა, რომელსაც კავკასიაში შექმნილი პოლიტიკური ორგანო დაუპირისპირდა. თქვენ იმოქმედეთ ვითარების შესაბამისად და ახლა მას სთხოვეთ დახმარება. მანაც არ დააყოვნა, 2 დეკემბერს ხელი მოაწერა თხოვნას და უნივერსიტეტი იურიდიულად დაარსდა. მაგრამ ერთია უნივერსიტეტის იურიდიული დაარსება და მეორე მისი რეალური ამოქმედება. რა ნაბიჯი გადაიდგა საამისოდ?

„შეტანილი იყო ეროვნულ საბჭოში[2] განცხადება, რომ, აი, იხსნება კერძო სასწავლებელი, რაიმე ქონებრივი დახმარება მიეცით ამ უმაღლეს სასწავლებელსო. მე მახსოვს, რა გაცხარებული კამათი იყო მაშინ, საბჭომ უარყო – ჩვენ მაგისთვის ფული არ გვაქვსო[3], ფული არ აღმოჩნდა! მოწვეული იყო დამხმარე საზოგადოების[4] კრება. ამ დამხმარე საზოგადოების კრებაზე რომ გაიგეს, ასეთი უარყოფითი პასუხი იყო მიღებული ეროვნული საბჭოსაგან, დაფრთხნენ – ჩვენ საიდანღა გავიღოთ ფულიო. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ უნდა ჩაშლილიყო საქმე, ჩვენ არ ვკისრულობთო, პირდაპირ ნათქვამი იყო; ვერ ვიკის-

---

1 რუსეთში მომხდარი გადატრიალება საქართველოში და საერთოდ კავკასიაში არ ცნეს აქ მოღვაწე პოლიტიკურმა ძალებმა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ეს მოვლენა დროებითი იყო და მალე რუსეთში მოწვეული დამფუძნებელი კრება დაადგენდა რუსეთის და მათ შორის კავკასიის განვითარების ახალ წეს-წყობილებას. ამიტომ მათ ამიერკავკასიის დროებით სამართვად შექმნეს ამიერკავკასიის კომისარიატი ევგენი გეგეჭკორის თავმჯდომარეობით.

2 ეროვნული საბჭოს პირველი შეკრება შედგა 1917 წ. 22 ნოემბერს. მასში გაერთიანდა საქართველოში მოქმედი ყველა პოლიტიკური პარტია ბოლშევიკების გარდა. ამ დროიდან ქართველთათვის საჭირბოროტო საკითხებს ეროვნული საბჭო იხილავდა, თუმცა მას არ ჰქონდა რაიმე სახის სახელისუფლებლო ძალაუფლება და სტატუსი.

3 მოცემულ ვითარებაში პირველი მსოფლიო ომის დროს, როცა თურქები გამალებით უტევდნენ ჩვენს სამხედრო ძალებს და თბილისსაც ოკუპაციით ემუქრებოდნენ, ეროვნულ საბჭოს არ შეეძლო მეტი ყურადღება დეთმო უნივერსიტეტისთვის. მან მცირედენი თანხა კი გაიღო, მაგრამ ეს იმდენად მცირე იყო, რომ ივანე ჯავახიშვილი სახსენებლადაც არ თვლის.

4 უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოება, რომელიც შეიქმნა 1917 წ. ოქტომბერში, მოწოდებული იყო ეზრუნა უნივერსიტეტის ფინანსურ უზრუნველყოფაზე.

რებთ პასუხისმგებლობას, რომ უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნასო. ცოტა ფული, მართალია, იყო, მაგრამ ეს ფული მოხმარდებოდა მხოლოდ ჯამაგირს... შენობა იყო, მაგრამ თავისუფალი იყო მხოლოდ ზემოთა სართული. ამ ზემოთა სართულზე მოთავსებული იყო საავადმყოფო (ლაზარეთი). რასაკვირველია ლაზარეთი დაიშალა. დარჩა სრულიად ცარიელი, გაპარტახებული ზემოთა სართული. ამგვარად, შენობა პატარა სამოთახიანი ფართობისა იყო. ავეჯი არა გვქონდა, განათება არ იყო, არც გათბობა. მუშაობა უნდა დაგვეწყო იანვარში, ფული იყო საჭირო. ის ფული, რაც გვქონდა, ძლივს ყოფნიდა იმ ავეჯს და გათბობას, რაც აუცილებელი იყო. ასეთ პირობებში ადვილად შეიძლება ადამიანმა ყოველგვარი სასოება დაკარგოს. იმ დროს უმრავლესობა ფიქრობდა, რომ არ კმარა პასუხისმგებლობა ამ საზოგადოების გამგეობისა და, ამგვარად, საქმე უნდა ჩაშლილიყო. მაშინ პატარა ჯგუფმა[1] სთხოვა გამგეობას: თუ თქვენ ვერ კისრულობთ პასუხისმგებლობას, ნუ დაუშლით იმ ხალხს, რომელსაც უნდა თავისი პასუხისმგებლობით გახსნას უნივერსიტეტი, ის კისრულობს პასუხისმგებლობასო. ეს თანხმობა მიღებული იყო და, ამგვარად, გაიხსნა უნივერსიტეტი."

დღეს ყველასთვის ცნობილია, რომ პირველი ქართული უნივერსიტეტი 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალს) საზეიმოდ გაიხსნა ქართული გიმნაზიის შენობის მესამე სართულზე. ამდენად, უნივერსიტეტი აწი სრულფასოვანი დაწესებულება იყო, რომელსაც შეეძლო დაეწყო დასახული გეგმით მუშაობა. მაგრამ, როგორც ყველა ახალ წამოწყებულ საქმეს, ახალდაარსებულ უნივერსიტეტსაც ექნებოდა მრავალი დაბრკოლება. გვიამბეთ ამის შესახებ.

„საზეიმო სხდომის შემდეგ ჩვენ ლექციები არ დაგვიწყია იმიტომ, რომ განათება არ გვქონდა და არც ავეჯი იყო მზად. მხოლოდ პირველ თებერვალს დავიწყეთ ლექციების კითხვა. ლექციები საღამოობით მიმდინარეობდა. ჩაეწერა 500-მდე კაცი და ქალი, როგორც ახალგაზრდები, ისე ხანშიშესულები. რაც ყველაზე უფრო საინტერესო იყო, პირველ ქართულ უნივერსიტეტში ჭაღარა ხალხს ნახავდით, ნახავდით ისეთებაც, რომელთაც უნივერსიტეტი გათავებული ჰქონდათ, დიპლომიც მიღებული, მაგრამ უნდოდათ, რომ დედაენაზე მოესმინათ ლექციები. ეხლა უნდა ითქვას, რომ იმ დაბრ-

[1] ჯგუფი კი არა ერთმა კაცმა – თავად ივანე ჯავახიშვილმა ითავა ეს საქმე.

კოლების გარდა, რომელიც საქმეს ართულებდა, გაცილებით უფრო დიდი დაბრკოლება გვეღობებოდა წინ უნივერსიტეტის დაწყება-გაფართოებასთან დაკავშირებით. ის პირები, რომლებიც მოწვეულნი იყვნენ და რომელთაც დაიწყეს ლექციების კითხვა, კარგად იყვნენ მომზადებულნი იმდენად, რომ ქართულად თავისუფლად შეეძლოთ ლექციების წაკითხვა, მაგრამ შემდგომში როგორ იქნებოდა საქმე, სად იყო ის სამეცნიერო ტერმინოლოგია, ურომლისოდ ლექციების კითხვა არ შეიძლებოდა! აი, ეს დაბრკოლებები და, თუ გნებავთ, მთავარი საბუთი, რომელიც მოწინააღმდეგეებს ხელთ ჰქონდათ და პირში ბურთვივით სჩრიდნენ ყოველ ჩვენთაგანს! გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ უსაფუძვლო არ იყო ის შიში, რომელიც არსებობდა, და ადვილი საქმე არ იყო იმ პირველ სიძნელეზე უფრო ძნელი გადასალახი. რასაკვირველია, გულგრილობაზე საშინელი არაფერია და ეს გულგრილობა იყო მიზეზი იმისა, რომ ასე უცნაურად მოხდა ამ ქართული უმაღლესი საწავლებლის დაარსება: მარტო მხურვალე გულით არ კეთდება საქმე! ცოდნაა საჭირო მეცნიერებისა. უმაღლესი სასწავლებელი უნდა ჰგავდეს უმაღლეს სასწავლებელს. ის უნდა წარმოადგენდეს მართლაც მეცნიერების მწვერვალს და როგორ უნდა მოხერხებულიყო ეს, როდესაც ჩვენ საშუალო სასწავლებლისათვისაც არ გქონდა მომზადებული ტერმინოლოგია. ჯერ ტერმინოლოგია უნდა შეგვექმნა. როდის შეიქმნებოდა ტერმინოლოგია? ამას შეიძლება ორი ათეული წელიწადი მოსდომებოდა. თუ მეცნიერები თავმოყრილი არ იქნებოდნენ, ვის უნდა გაეკეთებინა ეს საქმე? აი, სიძნელე მეორე, რომლის გადალახვაზე იყო დამოკიდებული მთელი საქმის ბედ-იღბალი. ამას ყველა მონაწილე გრძნობდა, ამის პასუხისმგებლობას გრძნობდნენ ჩვენი მსმენელებიც. წინადადება მივეცით მათ, შესდგომოდნენ მუშაობას (უასაყიდლოდ, იმიტომ რომ სხვა საშუალება არ გვქონდა), რომ ფიზიკაში, ქიმიაში რაც კი რამ არსებობდა, ტერმინოლოგია ამოეკრიბათ. ჩვენ ეს საშუალებას გვაძლევდა, გვესარგებლა იმით, რაც თავისთავად კარგი იყო, უარგვეყო ის, რაც უვარგისი იყო. მთელი სემესტრის განმავლობაში ორ ათეულზე მეტი უმაღლეს სასწავლებელდამთავრებული მუშაობდა ამ მიმართულებით. არდადაგების დროს საშუალო სასწავლებლებს საგანგებო კურსები ჰქონდა. მთელი უნივერსიტეტის პროფესორ-ლექტირთა შემადგენლობა ჩაბმული იყო აქ საგნების მიხედვით; ლექციები ეკითხებოდათ მათ თვითეულ დარგში. ყოველ დარგში

დამზადებული სატერმინოლოგიო მასალა ყოველი ლექციის შემდეგ სხდომაზე განიხილებოდა. ასე შეიქმნა სახელდახელო შეთანხმებაზე დამყარებული ტერმინოლოგია. უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როდესაც სამეცნიერო ტერმინოლოგია ერთგვარია ყველგან – საშუალო სასწავლებელშიც და უმაღლეს სასწავლებელშიც. ბოლოს და ბოლოს, შესაძლებელია ადამიანს ეთქვა, რომ – რა საქმეა საშუალო სკოლის ამ საგნების კურსებზე უმაღლესი სასწავლებლის პროფესორებისა და ლექტორების ზრუნვაო, მაგრამ ამ შემთხვევაში ის ღრმა რწმენა ჰქონდათ, რომ საერთო ტერმინოლოგია იყო შესაქმნელი, რომ როცა საშუალო სკოლიდან შემოვლენ უმაღლეს სკოლაში, მათთვის უცნობი არ ყოფილიყო ეს ტერმინოლოგია. შემდეგში დაარსდა სატერმინოლოგიო კომიტეტი, სამეცნიერო საბჭოები სხვადასხვა სახელწოდებებით, მუშაობა გაგრძელდა, სატერმინოლოგიო საქმე თანდათანობით უმჯობესდებოდა და ჩამოყალიბდა სამეცნიერო ტერმინოლოგია, რომელმაც როგორც საშუალო სკოლას, ისე უნივერსიტეტს უშუალოდ მისცა თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულების შესაძლებლობა.“

ამბობენ, რომ თქვენ გერმანულ ყაიდაზე მოაწყვეთ თქვენი უნივერსიტეტი? რამდენად მართალია ეს?

„ჩვენი უნივერსიტეტის საწინააღმდეგო მოხსენებაში (რუსეთში რომ იყო)[1] ნათქვამია, რომ ჩემულობენ გერმანული უნივერსიტეტის მსგავს პროგრამებსო და, აბა, მაგისთანა უნივერსიტეტს როგორ შექმნიანო! მე უნდა მოგახსენოთ, რომ არავითარი კავშირი ამ გერმანული უნივერსიტეტის პროგრამებთან არ ყოფილა. არსებითად ეს გამოწვეული იყო მიზანშეწონილობით. ჩვენ ცალკე ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის, ფიზიკა-მათემატიკური და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შექმნა არ შეგვეძლო. ხალხი არ გვყავდა და ერთი გაერთიანებული ფაკულტეტის შექმნიასთვის კი ძალა მოგვეპოვებოდა. სისულელე იქნებოდა, რომ ჩვენ სამი ფაკულტეტი შეგვექმნა, გამოგვეცხადებინა, რომ სამი ფაკულტეტი გვაქვსო, და სისულელის გარდა მოტყუება იქნებოდა. სამაგიეროდ, ამ ფაკულტეტს რაიმე სახელი ხომ უნდა ჰქონოდა! რა უნდა გვეწოდებინა? „სიბრძნისმეტყველება“ ვუწოდეთ და მერმე, როდესაც გაფართოვდა, ფაკულტეტი გა-

[1] იგულისხმება ნ. მარის მოხსენება.

იყო. ასე რომ, ჩვენ ამ შემთხვევაში მარტო გერმანიის უნივერისტეტის მაგალითით არ ვხელმძღვანელობდით. იმ დროს, უნდა მოგახსენოთ, გერმანიის უნივერსიტეტი ყველაზე მაღლა იდგა, – რომ მიგვებაძა, არაფერს სასირცხოს არ წარმოადგენდა, მაგრამ როდესაც შემდეგში დაგვჭირდა აგრონომიული ფაკულტეტი და პოლიტექნიკური, ასეთი გერმანიას არ მოეპოვებოდა, ამერიკის გარდა, შეიძლება ადამიანს ეთქვა, ამერიკას ბაძავთო. არაფერი მიმბაძველობის მსგავსი არ ყოფილა მაშინ, მიზანშეწონილობის გარდა."

ბატონო ივანე! გამოდის რომ თქვენს მიერ დაარსებული უნივერსიტეტი განსაკუთრებულ მიზანს ისახავს, რომელიც გამოარჩევს მას მსოფლიოს სხვა უნივერსიტეტებისაგან.

„ჩვენს უნივერსიტეტს თავის მოქმედებისთვის იგივე სამეცნიერო მიზანი აქვს დასახული, რაც საზოგადოდ ყველა სხვა ქვეყნებისა და ერთა უნივერსიტეტბს აქვთ, მაგრამ ამასთანავე თავის უპირველეს და უსაკუთრეს მოვალეობად მას საქართველოს, კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთის წარსულისა და აწმყოს, ადამიანისა და ბუნების ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა აქვს და მუდამ ექმნება მიჩნეული."

რაში და როგორ გამოვლინდება ეს გარემოება?

„უნივერსიტეტის სალექციო პროგრამა შესაფერისად ვრცელი იქმნება ზემოაღნიშნულ დარგებში და ისეთს საგნებს უნდა შეიცავდეს, რომელთა ამ სახით და ამ თვალსაზრისით ერთად შესწავლა ჯერ არც ერთს სხვა უნივერსიტეტში განზრახული არ არის".

კერძოდ?

„განსაკუთრებით ფართოდ იქმნება დაყენებული საქართველოსა და ქართულის შესახებ მეცნიერებათა შესწავლა. მაგ. საზოგადო და შედარებითი ინდოევროპულ ენათმეცნიერების გარდა შემოღებულია და თანდათან უფრო და უფრო გაფართოვდება ქართული ენის ისტორიული გრამატიკისა და თანამედროვე კილოკავებისა და კავკასიის მთიულთა ენების შესწავლა. ... უკვე პირველ სემესტრითგან შემოღებული იყო [სალექციო კურსები] ქართული ეპიგრაფიკისა და პალეოგრაფიისა, საქართველოს ეკონომიურ ისტორიისა, საქართველოს და ამიერკავკასიის თანამედროვე ეკონომიურ ვითარებისა და მიწათმფ-

ლობელობის შესახებ, ქართული ხელოვნების ისტორიისა და ქართული საეკლესიო ისტორიის შესახებ. ჩვეულებრივ სალექციო საგნებს გარდა განზრახულია აგრეთვე ქართულ-სპარსულისა, ბერძნულ-ქართულისა, სომხურ-ქართულისა და თურქულ-ქართულის მწერლობისა და ისტორიის ლექციები და სხვა“.

კი მაგრამ რატომ? არ ჯობდა უნიფიცირებული პროგრამა აგვერჩია, როგორც სხვა უნივერსიტეტებშია და თავი არ გვემტვრია ახლის გამოგონებისთვის? რისთვის კეთდება ყოველივე ეს?

„სამეცნიერო ძიებისა და ცოდნისმოყვარეობის გარდა, რომელიც ქართულ მეცნიერებას ამ საგნებისა და ენების კვლევისადმი იზიდავს, პროფესორთა საბჭო დარწმუნებულია, რომ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ენებისა, ისტორიისა, ადამიანისა და ბუნების შესწავლა, ამ დარგებში თაოსნობის გამოჩენა და ღირსეული სამეცნიერო შემოქმედებითი მოღვაწეობა ქართველ ერს მომავალს სახელმწიფოებრივს საკულტურო და ეკონომიურს აღორძინებას და წარმატების მტკიცე საფუძველს შეუქმნის. ამასთანავე ქართველს ერს მეზობლებთან მეგობრული კავშირი და ურთიერთობაც მაშინ შეეძლება და მაშინ განამტკიცებს, როდესაც მის მეცნიერებსა და მოწინავე წრეებს ამ მეზობლების ენებისა, ზნეჩვეულებებისა და წარსულ-აწმყოს ღრმა ცოდნა ექმნებათ“.

ამით ამოიწურება თბილისის უნივერსიტეტის თავისებურება თუ კიდევაა სხვა რამ დაგეგმილი?

„იურიდიულ ფაკულტეტზე ... ჩვეულებრივ რომაულ სამართლის დოგმისა და ისტორიის ლექციის გარდა შემოღებულ იქნება ბიზანტიის სამართლის ისტორიისა, მაჰმადიანურ სამართლის ისტორიისა და ქართულ დ კავკასიის მთეულთა ადათების შესახებ ლექციები. საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე განსაკუთრებული ყურადღება საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ბუნების ყოველმხრივ შესწავლას მიექცევა. ამგვარადვე სამკურნალო ფაკულტეტზე საქართველოსა და კავკასიის და მახლობელ აღმოსავლეთის მკვიდრთა ჯანმრთელობისა და ავადმყოფობა-სნეულებათა, სამხრეთისა და ტროპიკულ ქვეყნებისათვის დამახასიათებელ გადამდებ მოარულისა და ავადმყოფობათა შესწავლა და სამეცნიერო გამოკვლევა მუდმივ მისწრაფების საგანი უნდა იყოს. ყველა ზემო აღნიშნულ მოსაზრება-

თა გამო, ცხადია, რომ ჩვენს უნივერსიტეტს განსაკუთრებული თავისებურება და ღირებულებაც ექმნება“.

რაც თქვენ ჩამოთვალეთ ფუნდამენტურ სამეცნიერო დარგებს წარმოადგენს, მაგრამ საქართველოს ხომ მრავალი სხვადასხვა გამოყენებითი პროფესიის ადამიანი სჭირდება?

„რაკი საქართველოს რესპუბლიკას პირველ ხანებში შედარებით პატარა ბიუჯეტი ექნება და რამდენიმე უმაღლეს სასწავლებლის ერთად შენახვას ვერ შესძლებს (როგორც ეს ვერ შესძლო ბულგარეთმა, სერბიამ და სხვებმაც) ამიტომ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო ჰფიქრობს, რომ სასოფლო-სამეურნეო და სხვაგვარი ჩვენთვის საჭირო უმაღლესი ტეხნიკური ცოდნის შეძენა და გავრცელება უნივერსიტეტთან შესაფერის ინსტიტუტების შექმნით შეიძლება (სააგრონომიო ინსტ. და სხვა). ამ დარგის სტუდენტები და მსმენელნი საზოგადო საგნებს სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და საფილოსოფიო ფაკულტეტებზე მოისმენენ. თავიანთ სპეციალურ დარგის მეცნიერებას კი ინსტიტუტებში შეისწავლიან. ამ საშუალებით ხარჯებიც შესამჩნევად შემცირდება და თვით ტეხნიკური ინსტიტუტებშიც იმგვარსავე სამეცნიერო დონეზე იქნებიან დაყენებული, რა უმაღლეს დონეზეც სდგას მეცნიერება უნივერსიტეტში“.

კიდევ რა თავისებურება შეგიძლიათ დაასახელოთ?

„ქართულ უნივერსიტეტის არსებითი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ იქ ლექციები და ყოველგვარი სამეცნიერო სწავლა ქართულად იქმნება“.

გენდერული თანასწორობა თუ იყო გათვალისწინებული?

„ქართული უნივერსიტეტის წესდებაში აღნიშნულია, რომ „სტუდენტებად შეიძლება ორთავე სქესის პირნი იყვნენ, რომელთაც საშუალო სასწავლებელი უნდა ჰქონდეთ გათავებული“ (§ 13). ამათ გარდა „ორთავე სქესის თავისუფალ მსმენელნიც არიან“ (§ 14). მაშასადამე, ორთავე სქესს ქართულ უნივერსიტეტში შესვლის უფლება აქვს თანასწორად“.

ბატონო ივანე ზემოთ თქვენ კავკასიის ხალხები და მათი ენები ახსენეთ. ცოტა უფრო ვრცლად ხომ არ მოგვახსენებდით ამის თაობაზე?

„რაკი ამჟამად ჩვენი პოლიტიკური მომავალი და იმედი უკვე ნათლად გამორკვეული გვაქვს და ჩვენი ერის მდგომარეობაც მომავალ საარსებო ბრძოლაში უფრო მკაფიოდ გათვალისწინებადია, გარემოება გვავალებს ეს ერთი დასახული მიზანთაგანი ეხლავე მთელის თავისი სიღრმე-სივრცელით განვიხილოთ და საფუძვლიანი შესწავლის შემდგომ წინასწარ შემუშავებული გეგმისდა მიხედვით მის განხორციელებას შევუდგეთ. ... ჩვენი მთელი მომავალი და გონივრულად გათვალისწინებული ეროვნული პოლიტიკა გვავალებს, რომ კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთის ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა ჩვენ, ქართველებმა, ქართულმა მეცნიერებამ და ჩვენმა უნივერსიტეტმა იკისროს.“

კერძოდ რა? ამ მიმართულებით რა უნდა გავაკეთოთ?

„ჩვენ ქართველთა დაუცხრომელი ცდა ერთ მიზნისკენ უნდა იყოს მიპყრობილი, რომ ჩვენ კავკასიის მთეულებს, ჩვენს მეზობლებს ეროვნული შემეცნება და სიყვარული გავუღვიძოთ და გულის სიღმემდე ვაგრძნობინოთ... ყოველ საღს ეროვნებას, თუნდაც ჩამორჩენილს, სტიქიური ეროვნული სიყვარული აქვს. ამ მხრივ კავკასიის მთეულნიც თავიანთ სტიქიურ თავისებურების მოტრფიალენი და დამცველნი არიან... მათი ენისა და ზნე-ჩვეულებათა ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა და ჩვენი მეზობლების განათლება უნდა იყოს ჩვენი მიზანი... ეს დიდი და პასუხსაგები საქმე ქართულმა მეცნიერებამ და ქართველობამ უნდა იკისროს“.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ გვყავს კი სათანადო კადრები?

„ქართველ ერს საკმაოდ მოეძებნებიან სხვადასხვა დარგის მეცნიერნი, რომელთაც რუსეთის უნივერსიტეტებში და უცხოეთშიც სამეცნიერო ხარისხი მიღებული აქვთ, ლექციებსაც კი კითხულობენ ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებლებში, პროფესორები ან დოცენტები არიან და თავიანთ დარგში სახელიც მოხვეჭილი აქვთ. ისეთი ფაკულტეტიც კი, როგორიც სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოა ქართველ მეცნიერთა საკმაო რიცხვით თითქმის სრულებით უზრუნველყოფილია; ზოგადი საგნებისათვის ორ-ორი და სამი სწორუფლებიანი მეცნიერიც კი მოიძებნება... ამის გარდა სხვა და სხვა უნივერსიტეტებთან არიან საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვებულნი ქართველები, რომელნიც მოემზადებიან იმ მცირეოდენ დარგებისათვის, რომელ-

თა წარმომადგენელი ამჟამად ქართველთა შორის არ მოიპოვებიან. დროებით ამ საგნებისათვის უცხოელ მეცნიერთა მოწვევა არის განზრახული, იმ პირობით რომ ან ქართული შეისწავლონ ან ქართველი მოწაფე და მოადგილე მოამზადონ“.

თქვენი გეგმით, ასე გადაიჭრება კადრების საკითხი?

„უნდა მოგახსენოთ, კადრების მომზადების შესაძლებლობა მარტო მასწავლებლის საკითხი არ არის, თითონ ... [სტუდენტებმა] უნდა შეიგნონ ის პასუხისმგებლობა, რომელიც მათ აწევთ, – უნდა ესმოდეთ, რომ მხოლოდ საფუძვლიანი ცოდნა მისცემს მათ შესაძლებლობას ღირსეული ადგილი დაიკავონ საზოგადოებაში. უნდა ახსოვდეთ, რომ სიყვარულის გარეშე არ გაკეთდება არასოდეს დიდი საქმე, გულცივი, გულგრილი ადამიანი ვერ გააკეთებს ვერასოდეს დიდ საქმეს. უნდა უყვარდეს ყოველ მათგანს თავის ხალხი, უნდა უყვარდეს მეცნიერება, უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას, რომ შეალიოს თავის ძალა მეცნიერებასაც და ხალხსაც. სამეცნიერო მუშაობა ბედნიერებაა. ეს ისეთი ბედნიერებაა, რომელიც ყველას ხვედრს არ წარმოადგენს და, ვინც ისეთი ბედნიერია, რომ ბუნებისაგან დაჯილდოებულია ნიჭით, რომ მას აქვს ნებისყოფა, აქვს აგრეთვე გატაცება, ის უნდა გრძნობდეს, რომ ვალდებულია სამაგიერო გადაუხადოს იმ ერს, რომლისგანაც ის წარმოშობილია. აი, ამ გრძნობას, შეგნებას არ დაივიწყებს ის ახალგაზრდობა, რომელიც უმაღლესი მეცნიერების შესათვისებლად ემზადება.“

ბატონო ივანე, დღეს ბევრს საუბრობენ განათლების რეფორმაზე. რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ უნივერსიტეტის საქმეებში თანამდებობის პირთა ჩარევა? აკადემიური ცენტრის თავმჯდომარე ითხოვს უნივერსიტეტის რეფორმას.

„აკადემიური ცენტრის თავმჯდომარის[1] მიერ აღნიშნული წინანდელი უმაღლესი სასწავლებლების ზოგიერთი ნაკლი სამართლიანია, მაგრამ იგი ეხება განსაკუთრებით რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებს. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლის გეგმა იმ თავითვე სხვანაირად იყო შედგენილი და სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სასწავლო გეგმა სპეციალობისდა მიხედვით დარგებად იყო დაყოფილი, ეს გარემოება სტუდენტებს საქმეს უადვილებს და მის სპეციალო-

[1] საუბარია საბჭოთა წლებში შექმნილ ორგანოზე, რომელიც ხშირად ერეოდა უნივერსიტეტის მართვა-გამგეობაში.

ბასთან დაკავშირებული საგნების შესწავლას უკარნახებს. ამ გზით თავითგან აცდენილია ის მრავალსაგნიანობა რომელსაც აკადემიური ცენტრის თავმჯდომარე უჩივის.“

კერძოდ, როგორაა ეს დარგები წარმოდგენილი? ვთქვათ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სოციალურ და ჰუმანურ მეცნიერებებში?

„საუნივერსიტეტო საგნების სივრცე და მრავალფეროვნება სამეცნიერო დარგებისდა მიხედვით სპეციალობას აუცილებელ საჭიროებად ხდის. ამის გამო რუსეთის უნივერსიტეტებში განსაკუთრებული განყოფილებანი არსებობენ (კლასიკური, საისტორიო, რომანულ-გერმანული, რუსული და სლავური). რაკი ამგვარი დანაწილება მხოლოდ პრაქტიკულ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არის შექმნილი და მკვიდრ სამეცნიერო საფუძველზე აგებული არაა, ამიტომ ამგვარი დანაწილება ტფილისის უნივერსიტეტში უარყოფილია. ამის მაგიერ სტუდენტების სახელმძღვანელოდ შედგენილია მხოლოდ სანიმუშო სამეცნიერო-სამოსწავლო გეგმა, რომელიც იმ საზოგადო დებულებაზეა დაფუძნებული, რომ ჰუმანურ ცოდნის შეძენა და მეცნიერების შესწავლა შეიძლება ან 1. ფილოსოფიურის თვალსაზრისით, ან 2. ფსიქოლოგიურად, ან 3. ენათმეცნიერების მხრით, ან 4. ხელოვნების თვალსაზრისით (სიტყვიერების დარგი და ხატოვან-ნივთიერი ხელოვნება), ან 5. ისტორიულად, ან 6. სოციალ-ეკონომიურ თვალსაზრისით. ამ საზოგადო დებულებისდა თანახმად ქვემოთ ჯერ-ჯერობით შემდეგი სამეცნიერო დარგების გეგმა იქმნება მოყვანილი: 1. ფილოსოფიის დარგისა, 2. ფსიქოლოგიის დარგისა, 3. ენათმეცნიერებისა, 4. სიტყვიერებისა, 5. საისტორიო, 6. საეკონომიო. ამ დარგების გარდა სხვაც შეიძლება იყოს და სტუდენტს, ან მსმენელს თითონაც უფლება აქვს, თავის სამეცნიერო მისწრაფებისა და სურვილის მიხედვით სხვა საკუთარი გეგმა შეადგინოს და ამ გეგმისდა თანახმად შეიძინოს უნივერსიტეტში სამეცნიერო ცოდნა.

სამეცნიერო დარგების სხვაობისდა მიუხედავად, ისეთი საგნებია, რომელთა ცოდნა ყველასათვის არის საჭირო და ამის გამო ყველა დარგებისათვის არის სავალდებულო. ასეთ ყველასათვის სავალდებულო საგნებად 1. ლოღიკა, 2. ფსიქოლოგია. 3. ფილოსოფიის შესავალი, 4. საქართველოს ისტორია (დროებით) და 5. ერთ-ერთი თანამედროვე ევროპული ენათაგანი ითვლება.

ამ ყველასათვის სავალდებულო საგნებს გარდა თვითეულ დარგისათვის განსაკუთრებული საგნებია საჭირო, რომელთა სია ქვემოთ არის მოყვანილი. სანამ სტუდენტი, ან მსმენელი ამ სიების გადაკითხვას შეუდგებოდეს, უნდა გაითვალისწინოს, რომ თვითოეული დარგის შესწავლა ან საზოგადო თეორიის მხრივ, ან ამასთანავე ერთ-ერთ ეროვნების, ან ქვეყნის, ან მეცნიერების საგანგებო შტოისა (მაგ. ისტორიკოსმა შეიძლება ან ისტორიის ფილოსოფია (თეორია და მეთოდოლოგია) აირჩიოს, ან ძველ აღმოსავლეთის, ან ძველ საბერძნეთის ან რომის, ან საქართველოს, ან სომხეთის, ან სპარსეთის, ან დასავლეთ ევროპის ისტორია. ამგვარადვე ენათმეცნიერმა თავის ცოდნის განსაკუთრებულ საგნად შეიძლება ან ქართულებრივი აიღოს, ან ინდოევროპული, ან სემური ენათმეცნიერება, ან არადა მხოლოდ ცალცალკე ენა და სხვა-კი არა). ამისდა გვარად სხვადასხვა საგნებს სხვადასხვა მნიშვნელობა ექმნება: ზოგისათვის ერთი ჯგუფი საგნებისა იქმნება საჭირო, ზოგისათვის მეორე, ზოგისათვის მესამე."

ბატონო ივანე, თქვენ უკვე აღნიშნეთ, რომ ქართულ უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევა-ძიების უპირველეს მიზანს უნდა შეადგენდეს საქართველოს და კავკასიის წარსული და აწმყო, მისი ბუნება და ადამიანი. ხომ არ წარმოგვიჩენთ უფრო სიღრმისეულად რა არის უმთავრესი ამ თვალსაზრისით?

„ჩვენი უნივერსიტეტის მთავარ მიზანს საზოგადო სამეცნიერო კვლევა-ძიების გარდა განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის მეცნიერული შესწავლა შეადგენს. ვინ არ იცის, რა ძვირფასი განძია შენახული ენათმეცნიერებისათვის კავკასიის მრავალ ფეროვანს ენებში და ქართულს მრავალსაუკუნოვან სამწერლო ენაში და კილოებში. ამიტომაც არის, რომ უკვე კარგა ხანია რაც ევროპიელ მეცნიერთა გულისყური ამ საგნისაკენ იყო მიპყრობილი და მხოლოდ ჩვენი ენების სრული თავისებურობით აიხსნება რომ მათ ენათმეცნიერების ამ დარგის სიძნელე ჯეროვნად ვერ სძლიეს. ვინ არ იცის რამდენად საგულისხმიეროა, ჩვენი ქვეყნის წარსულიც. არც გასაკვირველია, რომ ჩვენი უნივერსიტეტის არსებობას სწორედ ჰუმანურ მეცნიერებათა დარგის გახსნით ეყრება საძირკველი. მაგრამ მარტო ამ მხრივ ხომ არ არის საყურადრებო ჩვენი ტურფა საქართველო? მისი ბუნებაც იმოდენად არის მიმზიდველი მეცნიერისათვის თავის წიაღში შენახულ საიდუმლოებით, რაოდენადაც იგი მიმზიდველია თავის გარეგან სილამაზითაც. ჩვენ-

ში ბევრი ისეთი მცენარეა შენახული, ეხლაც ცოცხლობს და ხარობს, რომელნიც ევროპაში დიდი ხანია უკვე აღარ არსებობენ. მაშასადამე, ჩვენი ქვეყნის ბუნება მეცნიერისათვის თავისებური ბუნებისმეტყველების ცოცხალი წიგნია, რომელშიაც მრავალ საუკუნოვან წარსულის ამოკითხვა შეიძლება, უხვად არის ჩვენი სამშობლო სამკურნალო წყაროებითაც შემკული, რომლითაც თვით ბუნება დაავადებულს ადამიანს ჯანმრთელობას უბრუნებს და სიკვდილის კლანჭებისაგან იხსნის ხოლმე. მაგრამ მომეტებული მათგანი ჯეროვნად მეცნიერულად შესწავლილი არ არის არც შემადგენლობის მხრივ, არც მოქმედების მხრივაც. ყველაფერი თითქმის ღვთისანაბარად არის მიტოვებული და ადამიანს ჩვენში ბუნების ეს განძეულობა უფრო წაუხდენია ვიდრე შესაფერისად გამოუყენებია. აი, აქაც ბევრი რაიმე არის გასაკეთებელი როგორც ქიმიკოსებისა, ისევე მკურნალებისათვის.“

რას იტყვით უნივერსიტეტის თანამშრომლებზე? მათ ამოცანაზე?

„ქართულ უნივერსიტეტი ერთსა და იმავე დროს სამეცნიერო კვლევა-ძიების და ცდის დაწესებულებაც უნდა იყოს და უმაღლესი სამეცნიერო სასწავლებელიც, სადაც მეცნიერების შესწავლა და სამეცნიერო მუშაობის მეთოდებისა და პრაქტიკის შეთვისება შესაძლებელი იქმნება. ამ უნივერსიტეტის პროფესორები და ხელმძღვანელნი მარტო ლექციების მკითხველნი-კი არ უნდა იყვნენ, არამედ უპირველესად ყოვლის მეცნიერნი და მკვლევარნი, რომელნიც თავიანთ ნაშრომებით მეცნიერების წარმატებას უნდა ხელს უწყობდენ და მეცნიერებაში ცხოველ მისაბაძავ მაგალითადაც იყვნენ მოზარდ თავობისათვის.“

ბატონო ივანე, თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს მეცნიერი?

სამეცნიერო მუშაობისათვის, ნიჭის გარდა, ცოდნისმოყვარეობის დაუშრეტელი სიყვარული, კვლევა-ძიების წყურვილით თავდავიწყებამდე გატაცება და შეუდრეკელი ნებისყოფაა საჭირო. უსიყვარულოდ და უნებისყოფოდ, თავგანწირულების მზაობის გარეშე, არცერთი დიდი საქმის გაკეთება არ შეიძლება, მით უმეტეს მეცნიერებაში, რადგან მეცნიერის ზნეობრივი პასუხისმგებლობა დიდია და ნივთიერი კეთილდღეობის თვალსაზრისით, მძიმე. ამიტომაც მას ყველა ამ სიძნელეთა დასაძლევად ხასიათის განსაკუთრებული სიმტკიცე ესაჭიროება.“

ბატონო ივანე, ახლა ხშირად გაიგონებთ, რომ უნივერსიტეტი სტუდენტებისაა და ამიტომ ისინი უნდა იყვნენ იმ ორგანოებში წარმოდგენილნი, რომლებიც უნივერსიტეტს მართავენ. რას ფიქრობთ ამის შესახებ?

„უმაღლესი სასწავლებლის რთული და პასუხსაგები საქმე დიდ ცოდნასა და ხანგრძლივ გამოცდილებას მოითხოვს და რადგან იგი ერთსა და იმავე დროს უმაღლეს სამეცნიერო კვლევა-ძიების ტაძარიცაა და სასწავლებელიც, უმაღლესი სასწავლებლის მესვეურთ მეცნიერების წარმატებაშიც მუდმივი მონაწილეობა და მასწავლებლობაშიც შესაფერისი მომზადება სჭირდებათ. არცერთი ამ თვისებათაგანი არ შეიძლება იმ 16-21 წლის ყმაწვილკაცებს ჰქონდეთ, რომელთა უმაღლეს სასწავლებელში შემოსვლის მიზანი და მისწრაფება მხოლოდ სამეცნიერო ცოდნის შეძენა და სათანადო გამოცდილების მოპოვებაა. ხოლო რაკი დებულება უმაღლეს სასწავლებლის მართვა-გამგებლობაში მათ გადამწყვეტ ხმას ანიჭებს სრულად და უთუოობით ამ ნორჩსა და ჯერ განუსწავლელ ახალგაზრდობას ისეთი საკითხებისა და საქმეების განხილვა-გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღება მოუხდება, რომელთა არც ცნობა და არც გამოცდილება მას ჯერ არა აქვს მოპოვებული: ასეთ პირობებში სტუდენტთა წარმომადგენლები შეიძლება ან სხდომების უტყვი დამსწრენი იყვნენ, ან მსჯელობის აქტიური მონაწილენი. პირველი შესაძლებლობა მათთვის მხოლოდ დროს ტყუილი დაკარგვა იქნება, მეორე კიდევ შეიძლება მოზარდ თაობის წარმატებისათვის მავნებელი შეიქმნას, რათგან თანდათანობით და შეუმჩნევლად თავმომწონეობას შეაჩვევს და აფიქრებინებს, თითქოს უმაღლეს მეცნიერებისა და სასწავლებლის სვებედის გადაწყვეტისათვის მათ აღარაფერი სჭირდებოდეთ. ჩვენი ახლად აღორძინებული კულტურისათვის ყველაზე უფრო სახიფათო სწორედ ამგვარი ზერელობა და თავმომწონეობა არის.“

ბატონო ივანე, თქვენ ოპტიმისტი ბრძანდებით?

„მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართული მეცნიერების განვითარებას ვერაფერი შეაკავებს, მკვდრეთით აღდგა ის მეცნიერება და კულტურა, რომელიც მე-13 საუკუნის ბოლოთგან მიკვდინებული იყო. ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს შესაძლებელი იყო ისეთი მოკლე პერიოდში? განა შესაძლებელია, რომ ეს მომხდარიყო? ცხადია არა, მაგრამ მო-

მავალში თანდათანობით გამოსწორდება ყველა ნაკლი, თუ კი სიყვარული და შეგნება არ უღალატებს არასოდეს იმ ახალგაზრდას, რომელმაც ძველი თაობისაგან უნდა მიიღოს მემკვიდრეობა და თვითონ ჩაუდგეს სათავეში ამ ჩვენს უმაღლეს სასწავლებელს.“

ბატონო ივანე, რამდენად დაძლევადი იქნება ყოველივე ეს?

„უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო კარგად ჰგრძნობს რა მძიმე ტვირთი და საპასუხისმგებლო შემოქმედებითი მუშაობა არგუნა მას ბედმა საქართველოს ამ აღორძინების ხანაში, მაგრამ იგი დარწმუნებულია, რომ საქართველოსა და ქართველ ერისადმი ღრმა სიყვარული, რომლითაც თვითეულ უნივერსიტეტის წევრი გამსჭვალულია ამ მოვალეობის პირნათლად შესრულებას შეაძლებინებს. უნივერსიტეტის საბჭოს სრული იმედი აქვს, რომ საქართველოს მთავრობამაც თავის დახმარებით მას ამ მოვალეობის აღსრულებას გაუადვილებს“.

ბატონო ივანე, თქვენ მთავრობის იმედი გაქვთ, რომ ისინი გაითავისებენ თქვენეულ სულისკვეთებას და ხელს შეგიწყობენ მუშაობაში?

„როდესაც ამბობენ, რომ ხელშემწყობი გარემოება არ არის და ვერ ვმუშაობთო, უნდა მოგახსენოთ, არ მჯეროდა და არც ეხლა მჯერა; ვისაც საქმე უყვარს, ვისაც სურს მუშაობა, ავადმყოფობის დროსაც იმუშავებს. მე მინახავს ადამიანი, რომელიც მწოლიარე ავადმყოფი იყო და კალამი არ გაუგდია ხელიდან უკანასკნელ წუთამდე. ეს შეგნება უნდა ჰქონდეს იმ პირს, რომელიც გადაწყვეტს – მეცნიერებას შესწიროს მთელი თავისი ძალღონე და გადაუხადოს სამაგიერო იმ ქვეყანას, იმ სახელმწიფოს, რომელმაც შეუქმნა მას შესაფერისი პირობები მეცნიერული მუშაობისათვის.“

ბატონო ივანე, გთხოვთ მიმართოთ ჩვენს სტუდენტობას.

„ის მხურვალე სიყვარული მეცნიერებისადმი, რომლითაც ყოველი ჩვენგანი განსჭვალულია როდესაც ამ დიად საქმის განხორციელებისათვის იღწვის და ის აღფრთოვანება, რომელიც ქართველ საზოგადოებას ეტყობა, იმის თავმდებია, რომ ჩვენი უნივერსიტეტი წარმატების გზას დაადგება, მისი დღეგრძელობა უზრუნველყოფილი იქმნება და მომავალში აყვავდება კიდეც. მე იმედი მაქვს, რომ ამას ხელს შეუწყობენ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები და მსმენელებიც თავიანთი მხნე და მუდმივ ნაყოფიერი მუშაობით“.

„სახელმწიფო მოღვაწის სიბრძნე და უმანკო, ყოვლად მოწყალე, განურისხებელი გული“

ბატონო ივანე! საზოგადოებას ყოველთვის აინტერესებდა და აინტერესებს ცნობილი საზოგადო მოღვაწეების ცხოვრება, რომლებსაც ამა თუ იმ ხალხის ისტორიაში განსაკუთრებული წვლილი შეუტანიათ. ზოგიერთ მათგანს არა მარტო თავიანთი ხალხის, არამედ კაცობრიობის ბედზეც მოუხდენია გავლენა, ზოგს ავად და ზოგს კი კარგად. ამიტომ ისინი ისტორიის კუთვნილება გამხდარან და მათდამი ინტერესი ყოველთვის დიდი იყო და მომავალშიც დიდი იქნება. მათ შესახებ ჩვენ თქვენი შეხედულებების მოსმენა გვაინტერესებს. გთხოვთ, დაგვიხასიათოთ ცნობილი ისტორიული პიროვნებები. მათ რაიმე ნიშნით, ეროვნების თუ ისტორიული ეპოქის მიხედვით, ნუ დავყოფთ. როგორც სიტყვამ მოიტანოს, ისე შევეხოთ და შევაფასოთ მათი ავკარგი. მოდით, დაგვისახელეთ ყველაზე გამორჩეული ქართველი, ვინც უცბად გაგახსენდებათ.

„იმ მოღვაწეთა შორის, რომელთა ღვაწლი და შემოქმედება ქართველთათვის სამარადისოდ დაუვიწყარი დარჩება, რომელთა ქმნილებისათვის ვერც დროთა ცვალებადობასა და ვერც სიგრძეს ვერაფერი დაუკლია, ერთი პირველი ადგილთაგანი, უეჭველია, შოთა რუსთაველს ეკუთვნის. არამცთუ მას თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა თანამედროვეთადმი ბრწყინვალედ აქვს მოხდილი, არამედ მისი ღვაწლი მთელი ქართველი ერის წინაშე განუზომელია და სამარადისო უკვდავებით არის შემოსილი...”

რაში მდგომარეობს შოთა რუსთაველის სიდიადე?

„შოთა რუსთაველის პოემა ყოველთვის გვიტაცებდა თავისი პოეტური ღირსებებითა და ცხოვრების სიბრძნით. მაგრამ მე ვფიქრობ, პოეტური ღირსებებისა და ცხოვრების სიბრძნის გარდა ამ პოემაში ოქროსავით მიმობნეულია სოციალური ხასიათის სიბრძნე იმ საკითხებზე, რომლებიც მაშინ მოწინავე ქართველ საზოგადოებას აღელვებდა. შოთა რუსთაველი არა მარტო თავისი საზოგადოებისათვის იყო მოწინავე, არამედ იგი იცავდა ისეთ იდეალებს, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ შვიდსაუკუნე-ნახევარი[1] გავიდა, ძვირფასია

[1] ეს სიტყვები იწერებოდა 1937 წ.

ჩვენთვის... [ჩვენი] მოქალაქეთათვის, სადაც ეროვნებათა თანასწორუფლებიანობა განხორციელებულია და თანასწორუფლებიანობის პრინციპი უცილობელ დოგმად არის მიჩნეული.“

ბატონო ივანე, თქვენი სიტყვები ისე უნდა გავიგოთ, რომ პოეტს თავისი დროინდელი საქართველოს საზოგადოებრივი მდგომარეობა პოეტურ ნაწარმოებში გადაჰქონდა?

„რა თქმა უნდა, გენიალური პოეტის ქმნილება პოლიტიკური ტრაქტატი როდია და როდესაც შოთა რუსთაველი წერდა, მას არ ჰქონია განზრახვა მოეცა ჩვენთვის ყოველივე იმის ამომწურავი ახსნა, რაც იმ დროის ქართველი საზოგადოების მოწინავე ფენებს აღელვებდა. მაგრამ, ქმნიდა რა დიდი მხატვრულ პოემას, იგი, თავისი სამშობლოს მწვავე საკითხებით აღელვებული, თავის უკვდავ ნაწარმოებში გადმოგვცემდა ყველა თავის აზრს, ყველა თავის მისწრაფებას, ყველა იმ იდეალს, რომელთა გამარჯვებაც მას სურდა ეხილა მაშინდელ საქართველოში.“

და რა იყო ეს ძირითადი იდეალი?

„მე მგონია, სავსებით უეჭველია, რომ ... იდეა ძმობისა, ამა თუ იმ ეროვნებისადმი, ამა თუ იმ სარწმუნოებისადმი კუთვნილების დამოუკიდებლად, წარმოადგენს ძირითად იდეას, რომლის გულისთვისაც დაიწერა შოთა რუსთაველის ეს გენიალური პოემა.“

საინტერესოა თქვენი აზრი, თუ როგორ მოხერხდა ამ იდეის ხორცშესხმა?

„პოემაში მოცემულია სამხედრო ძალის ორი ტიპი. ერთი მხრით, უხეში ფიზიკური, სამხედრო ძალა, პირადი ვაჟკაცობა, პირადი სიმამაცე წარმოადგენს ერთადერთ ნორმას, რომელიც განაგებს სახელმწიფოს. ასეთი მიმდინარეობის წარმომადგენელია „ვეფხისტყაოსნის“ გმირი ტარიელი. იგი თვით მამაცია. იგი იბრძვის, მაგრამ მის ბრძოლას არა აქვს იდეური ხასიათი. მეორე მიმდინარეობის წარმომადგენელია ავთანდილი, რომელიც თუ იშიშვლებს ხმალს, იშიშვლებს მხოლოდ იმისთვის, რომ დაეხმაროს შეურაცხყოფილთ, იმისთვის რომ გაანთავისუფლოს ჩაგრულნი. ეს გარემოება შემთხვევითი როდია. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ შოთა რუსთაველმა ორი სავსებით საწინააღმდეგო ტიპი წარმოგვიდგინა. აქ ჩვენ გვაქვს ორი სისტემის,

ორი მიმდინარეობის, ორი პოლიტიკური დოქტრინის ასახვა, რომლებიც საქართველოში იყო, და რომელთა შორისაც იმ ეპოქის საქართველოში სწარმოებდა ბრძოლა.“

საინტერესო მოსაზრებაა. უფრო ვრცლად ხომ ვერ გვეტყოდით ამ საკითხზე თქვენს აზრს?

„ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ შოთა რუსთაველი აღტაცებულია ტარიელით, რომ ტარიელი მისი საყვარელი გმირია. ეს შემცდარი აზრია. საკმარისია გავიხსენოთ ის დახასიათება, რომელსაც იგი ტარიელს აძლევს, რათა გავიგოთ, რომ იგი აღტაცებულია მხოლოდ მისი სიმამაცით, ტარიელის მხოლოდ პირადი ვაჟკაცობით. გაიხსენეთ ის ფრაზა, რომელიც მან იხმარა ტარიელის შესახებ: „მისმან თავისა წონამან.“ მე ვფიქრობ, რომ ეს არ არის სახარბიელო შედარება და ეს ვერ გვიმოწმებს, რომ შოთა რუსთაველის მთავარი გმირია ტარიელი და არა ავთანდილი. შემდეგ იქ მოცემულია მეორე საინტერესო სურათი: ხატაეთის სამეფოს წინააღმდეგ იგზავნება დამსჯელი ექსპედიცია, ხატაეთი დამარცხდა ბრძოლაში, სახელმწიფო მოისპო, თვით მეფე ტყვედ ჩავარდა. შოთა გადმოგვცემს, რომ გამარჯვებულმა დამარცხებული მეფე დიდსულოვნად მიიღო, მიუტევა ყველა შეცოდება, რაც მან ჩაიდინა, და დაუბრუნა სახელმწიფო ძალაუფლება, მხოლოდ ვასალური პირობებით. საინტერესო დეტალი: შოთა დასძენს, რომ ჭეშმარიტი სახელმწიფოებრივი სიბრძნე ასეც უნდა მოიქცეს. მე მგონია, ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ პოემაში აისახა ის პოლიტიკური ტენდენციები, რომლებიც იმ დროს საქართველოში არსებობდა.“

რა პოლიტიკური ტენდენციები იყო ეს? ვინ იდგა მათ სათავესთან?

„რუსთაველის ეპოქის საქართველოს სოციალური კულტურა დახასიათებული უნდა იქნას უწინარეს ყოვლისა იმ სახელმწიფოებრიობის ჩარჩოებში, რომელიც მაშინ იყო. ამ სახელმწიფოებრიობის მთავარი მიჯნები მოკლედ ასე შეიძლება მოიხაზოს: საქართველოს ერთიანი სახელმწიფოებრიობის შემქმნელი იყო ბაგრატ მესამე, რომელმაც არა მარტო გაერთიანა საქართველო, არამედ საძირკველი ჩაუყარა სოციალურ კულტურასაც, რამაც შემდეგ, XI და XII საუკუნეების განმავლობაში, შეუპოვარი ბრძოლის მეოხებით, უხვი ნაყოფი გამოიღო და მოგვცა შედეგები.“

თუ შეიძლება, დაგვიხასიათეთ ეს სოციალური კულტურა.

„უკვე წინა ეპოქაში, X-XI საუკუნეებში, საქართველოს სოციალური კულტურა გამსჭვალული იყო ფეოდალური და წოდებრივი პრინციპებითა და პრივილეგიებით. წოდებრიობა გაბატონებული იყო მაშინდელი ცხოვრების ყველა დარგში. არ იყო არცერთი დაწესებულება, რომელიც დამყარებული არ ყოფილიყო ამ პრინციპზე, არ იყო ცხოვრების არცერთი მოვლენა, რომელიც არ ხასიათდებოდა ამით. წოდებრიობა შეიჭრა ეკლესიაშიც. ეკლესიის მსახურები შეიძლება ყოფილიყვნენ მხოლოდ ის პირები, რომლებიც უმაღლეს წოდებას ეკუთვნოდნენ. ამ ეპოქაში თვით სამონასტრო ორგანიზაციასაც საფუძვლად მონარქიული პრინციპი ედო. მაგრამ ეს პრინციპი XI საუკუნის დასაწყისში, ამ ორგანიზაციის შიგნით მედგარი ბრძოლის შედეგად, შესცვალა რესპუბლიკურმა წყობილებამ არჩევითი პრინციპითა და მონასტრის ყველა წევრთა თანასწორუფლებიანი წარმომადგენლობით.“

თქვენი თვალთახედვით გამოდის, რომ შოთა რუსთაველის პოემა იმ დიდი გარდაქმნების ანარეკლია, რომელიც მაშინდელ საქართველოში მიმდინარეობდა. თუ ერთმა ადამიანმა ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ძირითადი ტენდენციების პოეტურად გარდაქმნა მოახერხა, და თანაც ისე, რომ თანამედროვეობასაც კარგად ეხმიანება, იგი მართლაც გენიოსი ყოფილა.

„მე ღრმად ვარ დარწმუნებული... მანამდე, სანამ ადამიანის ორგანიზმში ადამიანის კეთილშობილი გული ძგერს, მანამდე, სანამ კეთილშობილურ გრძნობებსა და სიყვარულს მიმზიდველი ძალა ექნება, არასოდეს არ მოკვდება რუსთაველი, არასოდეს არ მოკვდება ეს დიადი პოემა „ვეფხსიტყაოსანი.“

ბატონო ივანე, თქვენ ბრძანეთ, რომ ბაგრატ მესამის მიერ დაწყებულმა სოციალურმა გარდაქმნემა მოგვიანებით „უხვი ნაყოფი გამოიღოო“. ალბათ დავითისა და თამარის ეპოქა გქონდათ მხედველობაში. როგორ დაახასიათებდით დავით მეფეს?

„დავით აღმაშენებელი შესანიშნავი პიროვნება იყო, შორსმჭვრეტელი და ბრძენი პოლიტიკოსი, უებრო სარდალი და მეომარი, ქვეყნის კეთილდღეობისათვის მზრუნავი.“

კერძოდ? რა იყო დავითის პიროვნებაში ყველაზე ნიშნეული?

„დავით აღმაშენებელს თავისი თავი „უსწავლელ“ ... კაცად მიაჩნდა, მაგრამ რასაკვირველია ეს თავმდაბლობით მოსდიოდა, თორემ ნამდვილად იგი ნასწავლი და განათლებული ადამიანი ყოფილა... იგი ბუნებითაც უხვად ყოფილა დაჯილდოებული და მთელს თავის თავისუფალ დროს სიკვდილამდე წიგნების კითხვას და გონებრივ მუშაობას ანდომებდა... გასაოცარი ეს არის, რომ დავით აღმაშენებელს საუცხოოდ შესწავლილი ჰქონია მარტო ქართული მწერლობა კი არა, არამედ მაჰმადიან მეცნიერთა და პოეტების თხზულებებიც... მეფე დავითი ისლამის დიდი მცოდნე იყო და განჯის ყადის ხშირად იმაზეც კი ეკამათებოდა, თუ ყურანი როგორ და საითგან წარმოსდგაო... ჩვენს გვირგვინოსანს განსაკუთრებით საისტორიო თხზულებების კითხვა ჰყვარებია... დავით აღმაშენებელი ცდილობდა წარსულის ცოდნისდა მიხედვით ბრძნულად „გარდასულთა შემსგავსნი მომავალნი“ განეჭვრიტა, ისტორიულის მაგალითით და გამოცდილებით ესარგებლნა და იმისგვარად ემოქმედნა.“

როგორი განსწავლულიც არ უნდა ყოფილიყო მაშინდელი ადამიანი და მით უმეტეს მეფე, ქვეყნის წინამძღოლობა არ გამოუვიდოდა, თუ კი მკლავმაგარი არ იყო და თანაც სამხედრო საქმეში მოიკოჭლებდა. ამ მხრივ დავით მეფეზე რა ითქმის?

„დავით აღმაშენებელი მამაცი მეომარი და გულადი მხედართმთავარი იყო: მას მოულოდნელი და სწრაფი სამხედრო მოქმედება უყვარდა, მაგრამ ომში უშიშარი იყო და თავის ჯარს ყოველთვის თავგანწირულად წინ მიუძღოდა ხოლმე და პირადის მაგალითით ამხნევებდა და ჰხიბლავდა ყველას. ამიტომაც არის რომ მისი თანამედროვე ისტორიკოსი აღტაცებით ამბობს „თვით მეფე არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდგა სპათა თვისთა, ანუ შორით უზახებდა ვითარცა ერთი მთავალთაგანი ვინმე, არამედ უპირატეს ყოველთასა თვით წინა-უვიდოდა და ვითა ლომი შეუზახებდა ხმითა მაღლითა და ვითა გრიგალი მიდამო-იქცეოდა და თვით გოლიათებრ მიმართებდა და მკლავითა ძლიერითა დაამხობდა ახოვანთა, სვრიდა და დასცემდა წინადამთხუეულთა ყოველთაო.“

ასე ღმად განსწავლულ და ძლიერ მეფეს რომ წარმატება ჰქონოდა, გასაკვირიც არაა. რა შეიძლება მის წარმატებად პირველ რიგში დავასახელოთ?

„დავით აღმაშენებელის პირველ დიდ ღვაწლად საქართველოს სოციალური წარმატების წინაშე უნდა საეკლესიო წეს-წყობილების ის დიადი ცვლილება ჩაითვალოს, რომელიც მეფის თაოსნობით რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ განახორციელა. ხანგრძლივმა გამოცდილებამ მეფე დაარწმუნა, რომ საქართველოს ერთ-ერთ მთავარ ნაკლად იმდროინდელი საეკლესიო წესწყობილება იყო... წოდებრიობა იყო გაბატონებული და უმთავრესი მნიშვნელობა პირადს ღირსებას კი არ ჰქონდა, არამედ ჩამომავლობას... რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ... გადააყენა უღირსი მღვდელთმთავარნი მთავარ-წარჩინებულთა შთამომავლობისანი და ამით გვარიშვილობის მნიშვნელობა ეკლესიის მსახურთათვის უარჰყო, ხოლო პირადს ღირსებას შესაფერისი პატივი და უფლება მიანიჭა.“

ამ საეკლესიო რეფორმამ მხოლოდ ეკლესიაში დაამყარა წესრიგი თუ მან უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა?

„უეჭველია, რაკი საეკლესიო სფეროში პატრონყმური და წოდებრივი წესი ძლეული იყო, დავით აღმაშენებელს უფრო ადვილად შეეძლო მეორე დიადი ცვლილება შეეტანა საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივს წეს-წყობილებაში: სახელმწიფო ცხოვრებაში დიდგვარიან მემკვიდრეობით მოხელეთა თვითნებობა და ურჩობა აელაგმა.“

როგორც ცნობილია, დავითმა სამხედრო რეფორმაც ჩაატარა და მან ყივჩაღები მოიწვია საქართველოში და მუდმივი ჯარი შექმნა. რატომ გადადგა მეფემ ასეთი ნაბიჯი? მოლაშქრეთა სიმცირე იყო ქართულ ჯარში თუ რაიმე უფრო შორსგამიზნული ნაბიჯი იყო ეს?

„მუდმივი ჯარის შემოღება დავით აღმაშენებლისათვის მარტო გარეშე მტერთან საომრად არ იყო საჭირო, არამედ შინაურ მტერთან, ურჩ და თვითნება აზნაურებთან საბრძოლველად და ასალაგმავადაც. თავისი მუდმივი ჯარის დახმარებით მეფემ ქედფიცხელ და მოღალატე დიდგვარიან მოხელეებს შეერთების ნება არ მისცა და შეთქმულების მოწყობის საშუალება მოუსპო.“

თუ შეთქმულება წინასწარვე იქნებოდა აღკვეთილი, ქვეყანას მშვიდი განვითარების შესაძლებლობა მიეცემოდა ანუ ეკონომიკური აღმავლობა დაიწყებოდა. ამაზე როგორ ზრუნავდა მეფე?

„დავით აღმაშენებელი საქართველოს ეკონომიურს წარმატებაზეც დიდად ზრუნავდა და ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა, რომ აღებ-

მიცემობა გაცხოველებულიყო. იგი მფარველობას უწევდა არაბ და სპარსელ ვაჭრებს; მაჰმადიანებს საზოგადოდ ხომ საქართველოში ისეთი ხელშემწყობი პირობები შეუქმნა, რომ თვით მაჰმადიანთა მეფეებს არ გამოუჩენიათ თავიანთი ერთმორწმუნე ქვეშევრდომებისადმი იმოდენი პატივისცემა, რაოდენს მზრუნველობასაც იჩენდა და პატივისცემით ეკიდებოდა საქართველოს ქრისტიანე მეფე. პარასკევობით იგი ზოგჯერ თვით და შვილებითურთ მაჰმადიანთა მთავარ სამლოცველოში ჯამეში შედიოდა, ლოცვას, ყურანის კითხვას და ქადაგებას ისმენდა და მათ სამღვდელოებას ბევრს ოქროს უწყალობებდა ხოლმე... მიმოსვლა რომ გაეადვილებინა, დავით აღმაშენებელმა ააშენა მრავალი „ხიდი მდინარეთა სასტიკთა ზედა“ და „გზანი საწყინოდ სავალნი ქუაფენილ ყუნა“ და გზის პირას ქარვასლები და თავშესაფრები ააგო.“

ხიდები, ქარვასლები და სასტუმროები ვაჭრობის განვითარებისათვის იყო საჭირო. გამოდის, რომ ვაჭრობის გამო უქმნიდა საუკეთესო პირობებს მეფე უცხოტომელებსაც. მაგრამ მაჰმადიანთა ტაძარში სიარული მთელი ოჯახით, ხომ უფრო მეტს ნიშნავს. ჩანს, რომ დავით მეფე წიგნიერებასთან ერთად მეტად გულმოწყალეც უნდა ყოფილიყო. ამ მხრივ რა ითქმის დავით მეფეზე?

„დავით აღმაშენებელი კაცთმოყვარე და გულშემატკივარი ადამიანი ყოფილა. იგი ავადმყოფთა და დავრდომილთა შესახებაც ზრუნავდა და განუკურნებელი სენით შეპყრობილთათვის მან „აღაშენა ქსენონნი“ (საავადმყოფო)... და ამ სასნეულოში „მოუმზადა ყოველი სახმარი მათი უნაკლულოდ და უხუებით, განუჩინნა შესავალნი და საღუაწენი მათნი“, თანაც მომვლელები და „ზედამდგომლენი“ მიუყენა. სახელოვანი მეფე დიდ ყურადღებას აქცევდა ამ კაცთმოყვარეობით ნაკარნახევ დაწესებულებას, რომელიც დავით აღმაშენებელს შემოუღია გელათის მონასტრის აგების შემდგომ... იგი ხშირ-ხშირად მიდიოდა და ათვალიერებდა ხოლმე თავის დაწესებულებას: „მონახის თვისითა ხელითა ცხედრები (საწოლები), სამოსლები და საგებელი მათი, პინაკი (ჯამი) და ყოველი სახმარი მათი“, რომ ავადმყოფებს ყველაფერი სუფთა და შესაფერისი ჰქონოდათ და თავისი თვალით დარწმუნებულიყო სვინდისიერად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას „ზედამდგომელნი“ თუ არა. ყოველთვის, როდესაც მეფე ქსენონში მივიდოდა ხოლმე, ავადმყოფებსაც „მოიხილნის, მოიკითხნის და ამბორს უყვის თვითეულსა“, კეთილის სიტყვითა და თანაგრძნობით ანუგეშებდა და ამხნევებდა.“

ყოველივე ეს ცოტა არაა და ისიც მეფისათვის. დიდი თანამდებობის ადამიანებს უჭირთ ხოლმე მოკვდავთათვის თავის გატოლება. ავადმყოფის საწოლისა და ნივთების დათვალიერებასთან ერთად მათთვის ამბორყოფა ხომ წარმოუდგენელია? იქნებ კიდევ რაიმე ახასიათებდა ამ დიდებულ მეფეს?

„დავით მეფე კერძო ქველმოქმედებასაც ძალიან მისდევდა და ამისათვის განსაკუთრებული ქისა, „კისაკი მცირე“ ჰქონდა და მას „აღავსებდის...ხელითა თვისითა“, გავიდოდა და საღამოთი „ცარიელი მოაქუნდის იგი მხიარულსა სულითა და პირითა“. თუ ოდესმე მთელს ქისას ვერ დაურიგებდა... შეწუხდებოდა ხოლმე და ... დაურიგებელს ფულს მეორე დღისათვის დასარიგებლად შეინახავდა. საყურადღებო და საგულისხმიერო ის არის, რომ დავით აღმაშენებელი ქველმოქმედებას თურმე სახელმწიფო საჭურჭლითგან აღებულ ფულითგან კი არ ეწეოდა, არამედ „ხელთა თვისთა ნადირებულითა“, საკუთარის შრომით შეძენილ ქონებითგან.“

ცოტა ძნელი წარმოსადგენია, როგორ უთავსდებოდა ამ ერთ ადამიანში ესოდენ დიდი ფიზიკური სიძლიერე და მეორე მხრივ ესოდენ ასეთი გულჩვილობა.

„საზოგადოდ ეტყობა, რომ მეფე ზნეობრივად მეტად ფაქიზი, უმწიკვლო ადამიანი ყოფილა და უსამართლობის ჩადენასა და მიმძლავრებას ერიდებოდა. ამ მხრივ მეტად საგულისხმიეროა, რომ დავით აღმაშენებელი, საქართველოს სამხედრო ძლიერების შემქმნელი და მისი საზღვრების გამაფართოებელი, თავის მშვენიერს „გალობანი სინანულისანი“-ში ჰგოდებს: „ვერ მაძღარი სხუათა სოფლის კიდეთა ვეძიებდ დასაპყრობელად და ღმრთისა საზღუართა ვაბრალებდი ვითარცა... ბოროტად გარდავხედ საზღუართა და შევრთე სახლი სახლსა და აგარაკი აგარაკსა და უუძლურესთა მივხუეჭე ნაწილი მათი და ვიღუწიდ უმეზობლობასა. ვითარცა მარტოი მე ვმკვიდრობდ ქუეყანასა ზედა.“ იგი, მაშაადამე, სწუხს, რომ თავის სახელმწიფო მოღვაწეობაში მეზობელთა ქვეყნები დაიპყრა და თავის სამფლობელოს შემოუერთა. მეტად დამახასიათებელია ჩვენის სახელოვანის მეფის დიდებულის სულისა და ფაქიზის სვინდისისათვის, რომ ასეთს გმირსა და რაინდს-მეომარს გულის სიღრმეში თურმე ამგვარი ფიქრები აწუხებდნენ!“

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, რა ადგილს მიუჩენდით დავით მეფეს საქართველოს ისტორიაში?

„არსებობს მკაცრი და ულმობელი მსჯავრი შთამომავლობისა, ერისა და ისტორიისა, რომელსაც ვერ ასცდება ხოლმე ვერც ერთი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწე, და მან დიდი ხანია უკვე რაც თავისი პირუთვნელი განაჩენი გამოსთქვა: ქართველმა ერმა და ისტორიამ უკვდავჰყო დიდებული მეფე დავითის, საქართველოს გამაერთიანებლის და აღმაშენებლის, მისის პოლიტიკურისა და ეკონომიურის ძლიერების შემქმნელის, სოციალური სამართლიანობისათვის მებრძოლის სათაყვანებელი სახელი. ქართველი ხალხი დავით აღმაშენებელის სამარადისო ხსოვნას თავის გულის სიღრმეში ატარებს და შეჰხარის მას ვითარცა სრულიად საქართველოს ერთობის და ძლიერების სიმბოლოს.“

დავითის მერე, თამარის დროს საქართველო ხომ უფრო დიდი და ვრცელი სახელმწიფო შეიქმნა? მაინც დავითია სრულიად საქართველოს ერთობის და ძლიერების სიმბოლო? რას გვეტყოდით ამის შესახებ?

„მართალია, თამარის დროსაც საქართველომ ბევრი ახალი მიწები შეიძინა და შემოიერთა, დაიპყრო სამხრეთით მდებარე ხლათის სულტნისა, რუმის სულტნისა და კარის მფლობელის ქვეყნები, თურქ-სპარსელთა შეერთებული ჯარები მრავალგზის დაამარცხა, სპარსეთში რომ გურამდის გამარჯვებით ილაშქრა, მაგრამ ეს უფრო დავით აღმაშენებლისა და გიორგი III სამხედრო მოღვაწეობის ნაყოფიერი შედეგი იყო, ვიდრე თვით თამარ მეფის პირადი ღვაწლი: მუდმივმა ნაყივჩაღართა ჯარმა და საქართველოს მხედრობის გაწვრთნამ შეაძლებინეს მას და მის მხედართმთავრებს ქართველთა იარაღისათვის უძლეველის სახელი მოეხვეჭათ.“

როგორი პოლიტიკოსი იყო თამარი?

„თამარი პირადად შესანიშნავი იყო უპირველესად ვითარცა კარგი პოლიტიკოსი. შინაურსა თუ გარეულის მტრების წინააღმდეგ იგი გასაოცარ ხასიათის სიმტკიცეს და სიდინჯეს იჩენდა. თამარ მეფე ყოველთვის მოწინააღმდეგეთა შეთანხმებას და მშვიდობიანის მოლაპარაკებით დაყოლიებას ცდილობდა.“

რაც შეეხება პიროვნებას, რა თვისებებით იყო იგი შემკული?

„თამარ მეფე გულმოდგინე მართლმადიდებელი იყო და ... ყოველთვის წირვა-ლოცვას ესწრებოდა... ყურადღების ღირსია, რომ თამარ მეფე ამგვარი გარეგნული მორწმუნოებით არა კმაყოფილდებოდა და ქველმოქმედებას უმთავრესს ყურადღებას აქცევდა. დავით აღმაშენებელსავით ისიც ქველმოქმედებას საკუთარის შრომით შენაძენი ფულით ეწეოდა თურმე."

როგორ შეჯამებდით თამარის მოღვაწეობას?

„ბუნებამ გასაოცარის სილამაზით შეამკო დიდებული თამარ მეფე და ამ მხრივაც იგი ქართული განთქმული სილამაზის საუკეთესო, სწორუპოვარი წარმომადგენელი იყო. ქართველი ერისათვის მაშინაც და შთამომავლობისათვის დიდ თამარის სახელი იმიტომ იყო სათაყვანებელი, რომ ზესთაბუნებრივის ძალით მასში შეერთებული იყო ქალის მომხიბლავი მშვენიერება და ვაჟკაცური მამაცობა, სახელმწიფო მოღვაწის სიბრძნე და უმანკო, ყოვლად მოწყალე, განურისხებელი გული. ... თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში სრულიად საქართველოს საჭეთმპყრობელობითა და შორსგამჭვრეტელი პოლიტიკით, თამარმა ბრწყინვალედ დააგვირგვინა საქართველოს სახელმწიფო აღმშენებლობის ის დიადი საქმე, რომელიც მისი სახელოვანი წინაპრის დავით აღმაშენებლის მიერ იყო დაწყებული, მამაკაცის დაუღალავი დიდი ჭკუით, მხნეობით და სამაგალითო მამაცობით შექმნილი ეს ხელთუქმნელი ნაგებობა, ქალის სიბრძნითა და ნებისყოფით იყო დამთავრებული."

ბატონო ივანე, ახლა სხვა ქვეყნის ხელმწიფეთაც შევეხოთ. თემურ-ლენგზე რას იტყოდით? იგი ხომ ერთ-ერთი იმათგანია, რომელმაც საქართველო მრავალჯერ ააოხრა და გაანადგურა?

„თემურ-ლენგის არაჩვეულებრივი სამხედრო ნიჭი და ორგანიზაციის უნარი ცხადზე-უცხადესია. მართალია, ყველა მისი გამარჯვება მარტო მისი სტრატეგიული გენიოსობისა და მისი ლაშქრის თავგანწირული გულადობის შედეგი არ იყო: არაერთხელ მას მხოლოდ ცბიერებით, მოქრთამვითა და მოღალატეთა გამოყენებითაც ჰქონდა ძლევამოსილება მოპოვებული. მოწინააღმდეგის შინაური შუღლი და დაქსაქსულობაც უწყობდა მას ბევრჯერ ხელს. მაგრამ მაინც მისი

დიდი ძლიერების საფუძველს იმ დროისათვის სამაგალითო სამხედრო ორგანიზაცია და უცილობლად დიდი მისი ბუნებრივი სტრატეგიული ნიჭი წარმოადგენდა. უძლეველობის სახელი თემურ-ლენგს ამან მოუხვეჭა, ამანვე შეაძლებინა მას სივრცით უმაგალითო, მაგრამ მეტად დღემოკლე საბრძანებელი შეექმნა."

ბატონო ივანე, ცხადია, რომ დიდი სტრატეგოსობა გამარჯვებისთვის აუცილებელია, მაგრამ მაინც რა ძალას ემყარებოდა იგი თავის მოქმედებისას?

„თემურ-ლენგის სამხედრო ძალის მთავარ ბირთვს ჩაღატაი-ები შეადგენდნენ... მე-14 საუკუნეში ეს სახელი უკვე უბინადრო მომთაბარის გამოსახატავად იხმარებოდა. თემურ-ლენგმა თავისი ლაშქრის თავდაპირველი ნაწილი სწორედ ასეთი ჩაღატაიებისაგან შეადგინა, რომელთაც მონღოლური ლაშქრის ყოფაცხოვრებისა და სამხედრო წესწყობილების წინანდელი წესები შენარჩუნებული ჰქონდათ... მონღოლთა სამხედრო ძალის ასეთმა თვისებამ ჩინგიზ-ხანსაცა და მის მემკვიდრეებსაც, მოწინააღმდეგეებთან შედარებით, დიდი უპირატესობა მიანიჭა... მათი ლაშქრის უბინადრობისა და მთელი სახლობლობით გადასვლ-გადმოსვლის წყალობით, უაღრესად მოძრავი და დანაკლისის ადვილად შემვსები ჯარი იმყოფებოდა... რაკი ჩაღატაიები თავის მბრძანებელს ყველა ლაშქრობაში ახლდნენ ხოლმე და თანაც მომთაბარეები იყვნენ, მათ, რასაკვირველია, თავიანთი მოთხოვნილების ოდნავად მაინც დამაკმაყოფილებელი მეურნეობა შეუძლებელია რომ ჰქონოდათ. მართალია ... მათ შეეძლოთ თავიანთი საქონელი ყველგან ეძოვებინათ, სადაც მოისურვებდნენ და ... ყოველგვარი გადასახადისაგანაც განთავისუფლებულად ითვლებოდნენ, მაგრამ ჩაღატაიების მადას, რასკვირველია, მარტო ეს ვერ დააკმაყოფილებდა. ეს გარემოება მათ მუდამ ომის მონატრულად ხდიდა, რათგან მათი გამორჩენა-გამდიდრების მთავარ წყაროს სწორედ ბრძოლით მოპოვებული ნადავლ-ნაცარცვი წარმოადგენდა. თემურ-ლენგის დამპრობელობითი პოლიტიკისათვის ეს ფრიად ხელსაყრელი იყო: მას და მის ჩაღატაიებს ერთი და იგივე მიზანი ჰქონდათ და ამის გამოც ომის დროს თავგამომეტებით იბრძოდნენ ხოლმე."

ამ სამხედრო ძალას ხომ სწორი მართვა სჭირდებოდა. რა ხერხებს იყენებდა თემურ-ლენგი ამისთვის?

„თემურ-ლენგს, უსწავლელობისა და გაუნათლებლობისდა მიუხედავად, სარდლის თანდაყოლილი დიდი ნიჭი ჰქონდა, რომელიც თავისი ლაშქრის ორგანიზაციაშიც გამოიჩინა და სამხედრო მოქმედების დროს მარჯვედ მოფიქრებული და შეუდრეკელი ნებისყოფით განხორციელებული სამარი გეგმითაც გამოიხატებოდა. თავის მოლაშქრეებს უფრო მჭიდროდ შესაკავშირებლად, თემურ-ლენგმა მათ განსხვავებული თავსაბურავი მოუგონა, რომლითაც ერთმანეთის ცნობა ადვილად შეეძლოთ. ციხეებზე იერიშის მიტანის დროს, დიდრონ ფარებით აღჭურვილთ აბრძოლებდა ხოლმე. თოხთამიშ-ხანის ულუსის მრავალრიცხოვან ლაშქართან ბრძოლაში თემურ-ლენგმა მანამდე უცნობი დიდი შვიდნაწილიანი სამხედრო წყობილება გამოიყენა. მტრის შესაცდენად გამოსადეგ საომარ ცბიერებაში ხომ მას ბადალი იშვიათად თუ მოეძებნებოდა: გზების განზრახ აბნევისა და მოულოდნელი თავდასხმის ხერხი ისევე, როგორც მოწინააღმდეგის მოსყიდული თანამდებობის პირების, მაგალითად მთავარსარდლის მედროშისაც კი, გამოყენებით გამარჯვების მოპოვებას ის ისევე ხალისიანად მისდევდა, როგორც მტრის წინააღმდეგ პირისპირ უშიშრად შებმას.“

ბატონო ივანე, რა ნაკლს ხედავთ თემურ-ლენგის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში?

„რამდენადაც თემურ-ლენგი იშვიათი ნიჭის მხედართმთავარი იყო, იმდენადვე იგი ბეცი გამოდგა, როგორც ქვეყნის მმართველი და მხეცი იყო თავის ბუნების თვისებებით. სახელმწიფოებრივი შემოქმედებითი ნიჭი მას თითქმის არ გამოუჩენია, რათგან თავისთვისა და თავისიანებისათვის საუცხოო სასახლეების, ბაღ-წალკოტებისა და მიზგითების აგება, რა თქმა უნდა, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა არ არის. ორგან, გინდა ოთხგან აღდგენილი, თუ გაყვანილი არხის წყალიც ვერ წალეკავს იმ ცოდვას, რომელიც მან ყველგან, სადაც კი თავის ლაშქრითურთ ფეხი შეუდგამს, დაატრიალა და ვერც იმ ბარბაროსობას წარხოცავს, რომელიც მას მთელი თავისი სიცოცხლისა და მოღვაწეობის დროს აზიასა და აღმოსავლეთ ევროპაში ჩადენილი ჰქონდა და იმ ქვეყნებში მისი იქ ყოფნის ერთადერთ სახსოვრადღა დარჩა.“

ბატონო ივანე, როგორ დახასიათებდით თემურ-ლენგს, როგორც პიროვნებას, ადამიანს?

„თემურ-ლენგის ძლევამოსილებას მაშინაც მისი პირადი უარყოფითი თვისებები ამცირებდა და მისი სრულებით მხეცური მრისხანება

და გარეული ნადირისათვის კი გასაოცარი გაუმაძღრობა ადამიანის სისხლის ღვრაში ეხლაც უნებლიედ მისადმი ზიზღს იწვევს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ქვეყნის დამპყრობლების ბორგნეულობით (მანიით) გატაცებულმა ამ ხანმა ისფიზარის აღების შემდეგ 2000 ტყვედ ჩაგდებულ ცოცხალ მოწინააღმდეგეთა ერთმანეთზე დადებითა და თიხისა და აგურის ნაჭრების შუა-და-შუა ჩატყორცნით კოშკი ააგებინა, ხოლო სივასის აღებისას თემურ-ლენგმა 4000 ტყვე ჯარისკაცი ცოცხლივ დაამარხვინა, რომ ამ უმაგალითო მტარვალის მთელი საშინელება, მისგან ჩადენილი სხვა მსგავსი სიმხეცის მოუხსენიებლადაც, ნათლად წარმოგვიდგეს თვალებ წინ. უეჭველია, ყველა ეს თემურ-ლენგის ბუნებაში ანორმალური, შესაძლებელია ითქვას პათოლოგიური ნიშნების გამომჟღავნებად უნდა ჩაითვალოს."

ზემოთ თქვენ თემურ-ლენგის სამხედრო მოღვაწეობა ჩინგის-ხანისას შეადარეთ, როცა მათი დასაყრდენი ძალა – ჩაღატაიები ახსენეთ. ჩინგიზის დროსაც მონღოლები იგივე ველური ბუნების არ იყვნენ?

„ველური მეკობრე ადამიანისა და ტომის აზროვნება, ყაჩაღური სულისკვეთებისა და მარტივი ცხოველური მოთხოვნილების დაკმაყოფილება. გამარჯვებული მონღოლის მსჯელობით დამარცხებული მოწინააღმდეგე მთელი თავისი ნათესაობითა და ქონებით, საგნის მსგავსად, მისი განუსაზღვრელი საკუთრება იყო: მტრის ლამაზი ქალიშვილები და ცოლები, თუ მოისურვებდა მისი პირუტყვული ჟინის მსხერპლად უნდა გამხდარიყვნენ, მთელი მისი ქონებაც მას უნდა ჰრგებოდა. სხვა მიზანი მას არ ჰქონდა და ამიტომაცაა, რომ მონღოლთა მეთაურისათვის საქებურად ითვლებოდა, როცა ამბობდნენ: ცოლები, მსახურნი, ჯოგები და ფარები მას უთვალავი ჰყავსო." ... „კარგი სმა-ჭამა, ლხინი, მომთაბარეობის სიამოვნება და ომში ადამიანის სისხლის ღვრის წყურვილი, სანადირო გასართობის მსგავსად! ეს იყო მთელი ის ავლადიდება, რომლითაც ჩინგიზ-ხანი და მისი თანამებრძოლი მონღოლები მოევლინენ მაშინდელ კულტურულ ქვეყნებს!"

რადგან თემურ-ლენგის ვერაგობაზე ჩამოვარდა საუბარი, იქნებ მის მიერ საქართველოსათვის მიყენებული ვნებაზეც ითქვას რაიმე?

„მართალია, თემურ-ლენგის 1386 წ. საქართველოში პირველად შემოსევითგან მოყოლებული 1403 წლამდე, როდესაც გიორგი მეფემ მასთან ზავი დასდო, ბრძოლა განუწყვეტლივ არ სწარმოებდა,

მაგრამ ამ ჩვიდმეტი წლის მანძილზე მაინც საქართველოს მხოლოდ ორჯერ ჰქონდა საშუალება რამდენიმე წლის განმავლობაში ომის საშინელებისაგან დაეღწია თავი... საქართველოსათვის მარტო ის კი არ იყო საბედისწერო, რომ თემურ-ლენგის შემოსევამ ამოდენი ხალხის სიცოცხლე და კეთილდღეობა შეიწირა მსხვერპლად, რომ ერი სისხლით დაიწრიტა და აყვავებული ქვეყანა უდაბნოს დაემსგავსა, არამედ ამაზე უფრო მეტს საშიშროებას მისთვის ის გარემოება წარმოადგენდა, რომ საქართველოს ჩრდილოეთითაც, ქედს იქით, დიდი ცვლილება მოხდა. წინათ ქართველთა მონათესავე ჩრდილო-კავკასიელი ტომები, როგორც უკვე დავით აღმაშენებლის დროითგანვე საქართველოს ყმადნაფიცნი, სახელმწიფოებრივად ქართველობასთან იყვნენ დაკავშირებულნი და კულტურულად და სარწმუნოებრივადაც მათი ქვეყანა უცილობლად ქართული გავლენის სფეროსვე ეკუთვნოდა. ამის წყალობით საქართველოს ზურგი ჩრდილოეთითგან მაინც მაგარი ჰქონდა და სამხრეთითგან მომავალი მტრის წინააღმდეგ მოსაშველებლადაც იქ სამხედრო ძალის საკმაო მარაგსაც ყოველთვის დაუბრკოლებლივ შოულობდა. თემურ-ლენგმა იმდენი ქნა, რომ, მანამდე ჩრდილო კავკასიაში გავრცელებული საქართველოსთან დამაკავშირებელი ქრისტიანობის მაგიერ, მაჰმადიანობა ჩაათესლა. ამის შედეგად იქაურობასა და საქართველოს შორის წინანდელი კავშირი შესწყდა, მათ შორის განკერძოება დაიწყო და, მაჰმადიანობის იქ გაძლიერებისდა გვარად საქართველოს ზურგთ უკან უკვე სარწმუნოებრივად მოწინააღმდეგე და მტრულად განწყობილი სამყარო აღმოუჩნდა. საქართველოს ამ გარემოებამ საბედისწერო პოლიტიკური პირობები შეუქმნა. შესაძლებელია, იმ დროს ზემოაღნიშნული მოვლენის მთელი საშიშროება საქართველოში ჯერ გათვალისწინებული არც კი ჰქონდათ, მაგრამ მერმე თანდათანობით ეს სულ უფროდაუფრო საგრძნობი შეიქმნა.“

ბატონო ივანე, ეს ყველაფერი საქართველოს ისტორიის დიდი ხნის გარდასული ფურცლებიდანაა. მოდით ახლა იმ პერიოდზე გადმოვინაცვლოთ, როცა თანამედროვე დიდი მოღვაწეების გვერდით მოგვიწია ჩვენც ცხოვრებამ და მათ შესახებ საისტორიო მასალებიდან კი არ ვიგებთ, არამედ მათზე ჩვენი უშუალო დაკვირვებითაც ბევრი რამ ვიცით. ამ მრავალთაგან ერთი ავირჩიოთ. ილია ჭავჭავაძე იყოს. რას გვეტყოდით მასზე?

„ილია ჭავჭავაძე დიდებული იყო მარტო პოეზიასა და პუბლიცისტიკაში კი არა, ანდა კიდევ მარტო ვითარცა ახალი სალიტერატურო ქართულის შემქმნელიც კი არა, არამედ... საქართველოს ისტორიოგრაფიაშიც მას ისეთი ღვაწლი ... [აქვს] რომლის დავიწყების უფლება არც ერთს ქართველს არა აქვს.“

ისტორიოგრაფიაში ილიას ღვაწლი რაში გამოხატება? იგი ხომ ისტორიკოსი არა ყოფილა?

„ილიას არაერთხელ... უთქვამს: „როგორც კაცად არ იხსენიება ის მაწანწალა“, რომელსაც „აღარ ახსოვს, ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც... თავისი ისტორია არ ახსოვს“-ო... ამგვარად, ილ. ჭავჭავაძის ღრმა რწმენით, ყოველმა კულტურულმა ერმა თავისი წარსული კარგად და სრული შეგნებით უნდა იცოდეს. ქართველებსაც, თუ წარმატებული არსებობა სურდათ, ეს დებულება უნდა კარგად ჰქონოდათ შეგნებული.“

რა მიზანი უნდა ჰქონოდა ილიას აზრით ისტორიის ამ ცოდნას?

„ჩვენს დაუვიწყარ მოამაგეს საქართველოს ისტორია ეროვნული თავმომწონეობის თვალსაზრისითა და ეროვნული სიამაყის გრძნობის ჩასანერგავად კი არ უნდოდა და სჭირდებოდა, არამედ მას წარსულის მხოლოდ უტყუარი და დაუნდობელი, მაგრამ პირუთვნელი შეფასება აინტერესებდა... „რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორი ათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის... თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედვა. ეს ერთი მხრით, მეორე მხრით – რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ ... თუ მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას. რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელია სიფუყე და სისუსტე, ამას ახსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია. და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ დაგვიწყნია ჩვენის ცხოვრების სათავეც, ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი და თუ ესეა, რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი“-ო.“

იყო კი მაშინ საქართველოს ისტორია იმდენად გამოკვლეული, რომ ამ მთავარი საკითხის შესახებ დასკვნა გაკეთებულიყო?

„ისტორიის გაგება და სისწორით წარმოდგენა ახლაც ადვილი საქმე არ არის, მით უფრო ძნელი საქმე იყო მაშინ... როცა ილია ჭავჭავაძე ჩვე-

ნი კულტურის სწორუპოვარი ბელადი და ხელმძღვანელი იყო. როდესაც რომელიმე ერის ისტორია შესწავლილი არ არის, ისტორიის მაგიერ ხშირად, ერთი მხრით, უგეგმოდ წარმოებული კვლევა-ძიებაა ხოლმე გაბატონებული, მეორე მხრით კი მიმბაძველობასა და რწმენაზე დამყარებული სქემატიზმი იპყრობს ხოლმე ასპარეზს. პირველი დამაღონებელია თავისი უსისტემობითაც და თანაც არც გულსა და გონებას არას ეუბნება. მეორემ კი, თუმცა შესაძლებელია გამოუცდელი მკითხველი თავისი აღნაგობითა და გარკვეულობით უფრო მოხიბლოს, მაგრამ მავნებელია იმდენად, რამდენადაც, წარსული ცხოვრების ხორცშესხმული სურათის მაგიერ, რეალურ შინაარსს მოკლებული სქემა არის ხოლმე წარმოდგენილი. ასე იყო საქართველოშიც. ჩვენში წარსული საუკუნის[1] 90-იანი წლების დამლევამდე და შემდეგაც არსებითად უგეგმო, შემთხვევითი ხასიათის, ისტორიოგრაფია ბატონობდა, რომელიც, რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძეს ვერც მოეწონებოდა და ვერც დააკმაყოფილებდა... რაკი ილია ჭავჭავაძეს ისტორიის უაღრესი მნიშვნელობა კარგად ესმოდა და შეგნებული ჰქონდა, ცხადია, მას არ შეეძლო საქართველოს წარსულის შესწავლის სავალალო მდგომარეობისათვის ყურადღება არ მიექცია. და მართლაც, ჩვენს დიდებულს მგოსანსა და პუბლიცისტს... არა ერთხელ თავისი პირდაპირი მოვალეობისათვის თავი დაუნებებია და ისტორიული კვლევა-ძიების საკითხში ჩარეულა.“

გამოდის, რომ ილია ჭავჭავაძეს ისტორიოგრაფიაშიც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის. რა იყო ისტორიის გაგებაში მისთვის მთავარი და ამოსავალი?

ილია ჭავჭავაძისთვის „ისტორია მარტო ფაქტების გროვა არ იყო. მას ისტორიული პროცესის საფუძველი და ამამოძრავებელი ძალა აინტერესებდა, ხოლო შემდეგ მოვლენათა შეფასებაც. ამასთანავე მისი რწმენით მთავარი ყურადღება შინაგანს, ე.ი. სოციალ-ეკონომიურსა და კულტურული პრობლემებს უნდა მიჰქცეოდა.“

თავად როგორ ჰქონდა ილიას ეს საკითხი გააზრებული? მან მხოლოდ საკითხი დააყენა თუ შეეცადა პასუხიც გაეცა?

„ილია ჭავჭავაძის მიერ წამოყენებულ საკითხზე პასუხის გამცემი რომ მაშინ საქართველოში არავინ იყო, ეს მას სხვებზე უკეთ მოეხ-

[1] იგულისხმება XIX საუკუნე.

სენებოდა და, რაკი საქმე ასე იყო, თვითონვე სცადა შეძლებისამებრ ამ საგულისხმოსა და დიდმნიშვნელოვანი ამოცანის შესახებ თავისი მოსაზრება გამოეთქვა. თუმცა „ჩვენგან დიდი კადნიერება იქნებოდა, რომ ამ მძიმე საქმის გამოკვლევას შევსდგომოდით, ამისთვის არც მომზადება გვაქვს, არც საჭირო წყარო“-ო, ამბობდა იგი, და მხოლოდ „ფიქრად მოგვდის ორიოდე აზრი, ისიც ვარაუდობით ცნობილი... მკითხველსაც გავუზიაროთ“-ო“.

და რა იყო ის აზრი, რომელიც მანამდე სხვას არავის გამოეთქვა?

„მან პირველმა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი წარსულის ეკონომიური საფუძვლის გამორკვევის აუცილებლობა აღიარა. საქართველოს ისტორიოგრაფიას მის დროს არამცთუ ამ თვალსაზრისით ჩვენი ქვეყნის თავგადასავლის გაშუქება აზრადაც კი არ მოსვლია, ის მაშინ იმდენად უმწეო მდგომარეობაში იყო, რომ ასეთი საკითხის წამოყენების შემდგომაც, პასუხის გაცემა ვერავინ შესძლო.“

ბატონო ივანე, აშკარაა, რომ თქვენ არა მარტო დიდად აფასებთ ილიას, არამედ მის შემოქმედებაში მეტად ღირებულ სხვადასხვა მიმართულებებსაც ხედავთ. ამის დადასტურებაა ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე ილიას ღვაწლის თქვენეული დახასიათება. რას ურჩევდით მკითხველს, ამ დიდ მოღვაწეზე რომელი ავტორის ნაშრომი წაეკითხა?

ამ თემაზე ჯერ-ჯერობით დაწერილი ნაშრომები „ილიას დიდებულს ღვაწლს არ შეეფერება და მის სულიერს განვითარებას არ გვისურათებს...[1] საუბედუროდ ის ვისაც ყველაზე კარგად შეეძლო ილიას ბიოგრაფიის დაწერა, არჩილ ჯორჯაძე, სამარეში დევს!... ესეც ჩვენი ბედი...“

[1] ეს სტრიქონი დაიწერა 1913 წელს.

„ქართველი ხალხის ძირითადი ზნეობრივი შეხედულება სახარების მოძღვრებაზე იყო დამყარებული“

ბატონო ივანე! თქვენ ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის სხვადასხვა მხარე კარგად გაქვთ შესწავლილი. ცნობილია, რომ ერი ცალ-ცალკე არ ქმნის პოლიტიკურ ისტორიას და ცალკე ეკონომიკურს თუ კულტურულს. იგი ერთიანია. ეს ჩვენ, ადამიანები, როცა რაიმე საკითხი გვაინტერესებს, ამ ერთიანი თავგადასავლიდან რომელიმე მხარეს გამოვყოფთ. ამჟამად ჩვენს ინტერესის სფერო ერის ზნეობრივი შეხედულებებია. საინტერესოა თუ რას ემყარებოდა იგი, რას მიიჩნევდა ქართველი კაცი ავად და რას კარგად. რას გვეტყვით ქართველი ხალხის ზნეობაზე? რას ემყარებოდა მისი ყოფა?

„ქართველი ხალხის ძირითადი ზნეობრივი შეხედულება სახარების მოძღვრებაზე იყო დამყარებული; ხოლო სახარების ზნეობრივი იდეალი იმაში მდგომარეობდა, რომ ადამიანი ისეთივე სპეტაკი და უნაკლულო ყოფილიყო, ვითარცა მამა ზეციერი, და დაუშრეტელ სიყვარულითა და სათნოებით მოპყრობოდა თავის მოყვასს, მეტადრე უძლურს და გლახაკს: მშიერს, მწყურვალს, შიშველს, სნეულს და სხვა.“

მაინც რაში გამოიხატებოდა ეს ზნეობრივი იდეალი?

„სახარებიდან ჩანს, რომ ქრისტეს უმთავრეს ზნეობრივ მცნებას ქველმოქმედება შეადგენდა. მერე ვინ ჩაითვლებოდა გლახაკად, – ყველა მშიერ-მწყურვალისათვის უნდა მიეცა კაცს ქველისსაქმარი თუ არა? სახარებაში, რამდენადაც მახსოვს, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, მხოლოდ პავლე მოციქულის მეორე ეპისტოლეში თესალონიკელთა მიმართ ერთი წინადადება მოიპოვება, რომელიც სწორედ ამ საკითხზე გვაძლევს პასუხს. „რაჟამს იგი ვიყავ თქვენთანა, – სწერს დაუღალავი მოციქული, – მასვე გამცნებდი თქუენ, ვითარმედ უკეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცა ჰსჭამნ, რამეთუ მესმის ვიეთთვისმე, რომელნი იქცევიან თქვენ შორის უწესოდ: არა რას იქმენ, არამედ მიმოიწულილვენ ესე ვითარცა უკუე მათ. ვამცნებთ და ვლოცავთ უფლისა ჩუენისა მიერ იესო ქრისტესა, რათა მყუდროებით ჰშრუებოდენ თვისსა პურსა ჰსჭამდენ.“ პავლეს სიტყვებიდან ჩანს, რომ ყველას ვისაც კი შრომა და მუშაობა შეეძლო, მოვალე იყო ემუშავნა და ისე

გამოეკვებნა თავისი თავი. მაშასადამე, იმ პირებს, რომელთაც მათხოვრობა ხელობად აქვთ არჩეული და მათხოვრობით ცხოვრობენ, არავითარი ზნეობრივი უფლება არა აქვთ ქველმოქმედების იმედი ჰქონდეთ, იმიტომ რომ „უკეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცა ჰსჭამნ.“

ქველმოქმედება ხომ ვინმეს სასარგებლოდ რაღაც ნივთის, ქონების თუ ფულის გაღებაა. გამოდის რომ მათხოვრობას პავლე მოციქული სათნო საქმედ არ მიიჩნევდა. მითუმეტეს თუ მათ მუშაობა შეეძლოთ. ამ ადამიანებს სხვისი დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდათ.

„დახმარების ღირსი იყო მხოლოდ უძლური, სნეული ან ბუნებითი ნაკლის პატრონი. ამ ჯგუფის გარდა ქველმოქმედების მიღების ზნეობრივი უფლება იმ პირებსა ჰქონდათ, რომელნიც, თუმცა სინდისიერად შრომობდნენ, წელებზე ფეხებს იდგამდენ, მაგრამ მაინც ხელმოკლედ, ღარიბად იყვნენ წვრილ შვილებისა გამო, ან არადა ქადაგება და მოძღვრება ქრისტიანეთა კრებულში იმდენ დროს ართმევდათ, რომ ლუკმა პურის საშოვნელად მუშაობისათვის მოცალეობა აღარა ჰქონდათ. თვით იესომ ამცნო თავის მოწაფეებს, რომ მქადაგებელსა და მახარობელს ზნეობრივი უფლება აქვთ დახმარების მიღების, მართალია, მოძღვარმა აუკრძალა თავის მოწაფეებს, რომ ქადაგებაში რაიმე საფასი გამოერთმიათ, მაგრამ დაავალა, ნუ წაიღებთ, – „ნუცა ვაშკარანგსა გზასა ზედა, ნუცა ორსა სამოსელსა, ნუცა ხამლთა, ნუცა კუერთხსა, რამეთუ ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვისისა.“

თავად პავლე მოციქული თავისი ცხოვრებით თუ გვაძლევდა მაგალითს?

„პავლეს ერთ სხვა ეპისტოლეში მოყვანილი აქვს ის მოსაზრება, რომლის გამოისობითაც მას არ სურდა, რომ სხვისაგან გამოსაკვები აეღო. „თქვენ უწყით, – ამბობს იგი, – ვითარ იგი ღირს ბაძვად ჩუენდა, რამეთუ არა რაი უჯერო ვჰყავით თქვენ შორის, და არცაღა ცუდად პური ვისგანმე ვჰსჭამეთ, არამედ შრომითა და რუდუნებითა ღამე და დღე ვიქმოდით, რათა არავის თქუენგანსა დაუმძიმოთ... რამეთუ რაჟამს იგი ვიყავ თქუენთანა, ამასვე გამცნებდი თქვენ, ვითარმედ უკეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცა ჰსჭამნ.“ პავლეს ამ სიტყვიდან შეიძლება ადამიანმა დაინახოს, რომ დაუღალავ მოციქულს არ უნდოდა „სახარებისაგან ცხოვრებაი“, ე. ი. ქადაგების გამო სასყიდელი აეღო ხალხისაგან ერთის მხრით იმიტომ, რათა არავის „დაუმძიმო-

თო“, არავინ შევაწუხოო, – ეს რასაკვირველია პირადი ზნეობრივი მოსაზრებაა; მეორეს მხრით იმის გამო, რომ „უკეთუ ვისმეს არა ჰნებავს საქმის გაკეთება და მუშაობა, უფლება არა აქვს, რომ ლუკმა პური ჭამოსო“. – ეს, რასაკვირველია, ობიექტური, ზოგადი ზნეობრივი მცნებაა. მართლაც როცა კი პავლე ქადაგებისაგან მოიცლიდა ხოლმე, მაშინვე თავის ხელობას შეუდგებოდა და კარვებს აკეთებდა ხოლმე; აკი ამიტომ შეეძლო მას მიტენილელთა მიმართ თამამად ეთქვა: „თქუენ თვით უწყით, რამეთუ სახსარსა მას ჩემსა და რომელი იყუნეს ჩემთანა ხელნი ესე ჩემნი მსახურებდესო.“ ამგვარად, თუმცა პავლე მოციქული იმ აზრისა იყო, რომ მქადაგებელსა და მოძღვარს უფლება ჰქონდა კრებულისა და სამწყსოსაგან სასყიდელი და დახმარება მიეღო, მაგრამ პირადად მას უკეთესად მიაჩნდა რომ, სამღვდელოებას უსასყიდლოდ და უანგაროდ ემსახურნა სამწყსოსათვის; მაშასადამე, მწყემსს მხოლოდ განსაკუთრებულ გაჭირვების დროს უნდა მიემართნა კრებულისათვის. კვიპრიანე ეპისკოპოზის (მე-III საუკ.) წერილებიდან ჩანს, რომ უძველეს ხანაში, ქრისტიანობის პირველ საუკუნეების განმავლობაში, სწორედ ამ მცნებას მისდევდენ და მწყემსნი ცდილობდენ თავიანთი შრომით გამოეკვებათ თავიანთი თავი. ამიტომ თითქმის ყველაფერი, რასაც კი მორწმუნენი სწირავდნენ ხოლმე კრებულს საქველმოქმედოდ, განსაკუთრებით ღარიბ-ღატაკსა და გლახაკს ახმარდნენ ხოლმე.“

გამოდის რომ თავდაპირველად ქველმოქმედებით მხოლოდ მუშაობის ვერ შემძლე ღარიბ-ღატაკნი სარგებლობდნენ და ზოგჯერ, მხოლოდ გამოუვალ ვითარებაში სასულიერო პირებიც. მაგრამ ეს პავლე მოციქულის მოღვაწეობის ხანაში. შემდეგაც ასე გაგრძელდა და ეს მცნება მუდმივად დაცულიქნა?

„თანდათან საქმის მდგომარეობა იცვლებოდა; მღვდლებსა და დიაკვნებს იმდენი საქმე დააწვათ თავზე, როცა ქრისტიანობა საყოველთაოდ გავრცელდა და ნებადართულ სარწმუნოებად იქნა აღიარებული, რომ ლუკმა პურის საშოვნელად აღარ სცალოდათ და ხელობისათვის თავი უნდა დაენებიბნათ. ამის გამო თანდათან სამღვდელოება იძულებული გახდა სამწყსოს ქველმოქმედებისათვის მიემართნა და იქიდან მიეღო სასყიდელი და გამოსაკვები. მაშინ შემოიღეს გლახაკებისა და სამღვდელოების სიების შედგენა და ამ სიების მიხედვით, რომლებსაც ლათინურად ... „მატრიკულა“ ანუ „კანონი“ ერქვა, უნაწი-

ლებდენ ხოლმე კრებულის შემოწირულებას. კრებულის ანუ ეკლესიის ქველმოქმედებით, მაშასადამე, პირველ ხანაში მხოლოდ გლახაკნი და სამღვდელოება იკვებებოდა: გლახაკები სინანულისა და ქრისტეს მიერ სიყვარულის გამო იღებდენ დახმარებას, სამღვდელოება – ვითარცა შრომის გასამრჯელოს."

გლახაკებისა და სამღვდელობის გარდა ხომ საზოგადოებაში სხვებიც იყვნენ, რომლებიც ალბათ ვერ მოიცლიდნენ საზრდოს მოსაყვანად. ყველა ხომ ყანას ვერ დაამუშავებდა ან ხელოსნობას ვერ შესძლებდა. ასეთ მკაცრად ჩამოყალიბებული მცნებების გამო ისინი ამ სიებში ხომ ვერ მოხვდებოდნენ? მათ რა ბედი ელოდათ?

„უძველეს დროსვე ქრისტიანეთა კრებულებში ისეთი პირებიც იყვნენ, რომელთაც ქალწულობისა და და სიგლახაკის აღთქმა ჰქონდათ დადებული და ზნეობრივ სისპეტაკის დაცვა სურდათ. სოფლიდან სოფლად, ქალაქიდან ქალაქად დადიოდნენ ისინი და ქადაგებასა და ეკლესიის საქმეებს ემსახურებოდნენ. მიმოსვლისა და ქადაგების დროს სახარების მცნებისამებრ მათ თან არაფერი არ მიჰქონდათ ხოლმე საგზლად და მხოლოდ ქრისტიანეთა დახმარებით იკვებებოდნენ. მაგრამ თანდათან, როცა მღვდლობა მხოლოდ ხელდასხმულებს შეეძლოთ მიეღოთ, ხოლო მოძღვრების უფლება მარტოოდენ განსაკუთრებულ ცოდნით აღჭურვილ პირებსღა ჰქონდათ, ამ ორივე სქესის ქალწულების აღმთქმელთ ქრისტიანეთა კრებულსა და საზოგადოებაში საქმე აღარაფერი ჰქონდათ, მათს მიმოსვლასა და მოღვაწეობას ერში მნიშვნელობა და მიზანი დაეკარგა. მით უმეტეს, [ისინი] რომ ხალხში სიარულისა და ტრიალის დროს ბევრჯელ ჩავარდებოდენ ხოლმე განსაცდელში და ქალწულობის აღთქმის ასრულება და დაცვა უძნელდებოდათ. კვიპრიანე ეპისკოპოსის წერილებიდან ჩანს, რომ მე-III საუკუნეში ეს ქალწულნი ხშირად ერისკაცებზე უარესად იქცეოდნენ და მრუშობდენ. მაშინ კი ერთმა ჯგუფმა, დაინახა რა ის განსაცდელი, რომელიც ქალწულობის მისწრაფების გაქარწყლებას უქადდა ... უდაბნოში გაიხიზნა, რომ მაცდური ქვეყანა თვალიდან მოეშორებინა. ამნაირად გაჩნდენ მეუდაბნოენი."

ეს ერთეული შემთხვევა იყო თუ უფრო ფართო მოვლენა?

„ამ ახალმა მოღვაწობამ დიდი გავლენა იქონია ქრისტიანეთა საზოგადოებაზე და ბევრი მიმბაძავიც გამოუჩნდა. მეუდაბნოენი სტო-

ვებდენ კერძო საკუთრებას, მიწა-წყალს და მხოლოდ ახლომახლო ადგილების მცხოვრებნი აწვდიდნენ ხოლმე ცოტაოდენ სურსათს. მართალია, მეუდაბნოენი ცდილობდნენ, რომ მწვანილეულობით და ხილით, რასაც კი მიდამოებში იპოვნიდენ, წასულიყვენ იოლად, – ასეთ ბერებს მოძღვრებს ეძახდენ კიდეც, – მაგრამ ერისკაცთა ქველმოქმედებას და თანაგრძობას რომ მოკლებულნი ყოფილიყვნენ, ისინი ვერ გასძლებდენ; ერთის სიტყვით მეუდაბნოენი და მონაზნებიც მიემატნენ იმ ჯგუფს, რომელიც საზოგადოების ქველმოქმედებით სარგებლობდა; სამღვდელოებას შემდეგში გაუჩინეს განსაზღვრული მუდმივი საზრდო, ჯამაგირი, გლახაკები და მონაზნები კი წინანდებურად ქრისტიანეთა ქველმოქმედებით იკვებებოდენ. გლახაკებსა და მონაზნებსაც ქველმოქმედებას იმიტომ აძლევდა საზოგადოება, რომ ორივენი უსახსრო და ღარიბები იყვენ.“

რამდენად სამართლიანი იყო ამ ორი ჯგუფისთვის ერთგვარად ხელის გამართვა?

„ეს კი უნდა სთქვას კაცმა, რომ ამ ორ ჯგუფის მდგომარეობის შორის დიდი განსხვავება არსებობდა. ოღონდაც, გლახაკები თავიდაც უნებლიედ იყვნენ ღარიბი და უსახსრო: ან რაიმე სხეულის ნაკლის გამო, ან არადა წვრილშვილობის მიზეზით; მონაზნები კი თავიანთ ნებაყოფლობით, საკუთარის სურვილით იყვენ ღარიბი და უსახსრო: მათ შეძლება ჰქონდათ, მაგრამ თვითონვე აირჩიეს სიგლახაკე და სიღარიბე იმიტომ, რომ ამნაირად, მათის აზრით, ზნეობრივად სრულნი და უმანკო გამხდარიყვენ. ამისდაგვარად გლახაკებს მთელი ქრისტიანეთა კრებული, ეკლესია ეხმარებოდა ხოლმე, მონაზნებს კი კერძო პირები, თითოეული გულშემატკივარი და თანამგნრძობელი.“

ადამიანთა საზოგადოებას ანუ როგორც მაშინ ამბობდნენ მაცდურ სოფელს მოშორებული მეუდაბოენი მცირედ იღებდნენ დახმარებას და ამას სჯერდებოდნენ?

„მეუდაბნოეთათვის სულ მცირედი საკვებავიც საკმარისი იყო რასაც დედამიწა აღმოაცენებდა ხოლმე, იმისიც კმაყოფილნი იყვენ; ზოგნი ხელობას კიდევ მისდევდენ და ამით ირჩენდენ თავიანთ თავს. საზოგადოების დახმარება საჭირო იყო ისეთ მეუდაბნოეთათვის, რომელნიც „პურსა სჭამდენ“ ხოლმე. ისინი ცდილობდენ, რომ არავინ შეეწუხებიათ და თავიანთი თავი თვითონვე გამოეკვებათ.“

საქართველოში თუ გვაქვს ამგვარი მაგალითები?

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მოთხრობილია, მაგალითად – ერთმა, მოხუცმა მეუდაბნოემ, როცა ახალგაზრდა გრიგოლი შეეხვეწა, დაბერებული ხარ და ახლა მე გემსახურებიო, უარი უთხრა: მე მინდა „ნებითა ღმრთისაითა ვიდრე სკუდილამე თვით ვმსახურო თავსა ჩემსა“-ო, რომ დადებული აღთქმა პირნათლად ავასრულოო. ერთი სიტყვით მეუდაბნოენი ბეჯითად ასრულებდენ ქალწულებისა და სიგლახაკის აღთქმას: ისინი სოფელს გაექცენ და უდაბნოში სრულს სიღარიბეში, ყოველგვარს სარჩო-ქონებას მოკლებულნი ცხოვრობდენ, რომ ზნეობრივად სპეტაკი და სრული ყოფილიყვენ. მათ ნებაყოფილობით აირჩიეს უპოვარება და სიღარიბე და სინდისიერადაც ასრულებდენ დადებულ აღთქმას და, რამდენადაც შეიძლებოდა, თავის შრომით ცხოვრობდენ. ოღონდაც, – მათ უფლება ჰქონდათ, თავიანთ თავისათვის „გლახაკი“ დაეძახნათ. მხოლოდ იშვიათად მოჰმართავდენ ხოლმე ქველმოქმედებას.“

ამგავრი შრომა და ცხოვრება ხომ არცთუ ადვილი ასატანი იქნებოდა? ალბათ სარწმუნოების დიდი სიყვარული აძლევდათ ძალას. მაგრამ ყველაფერი რაც მეუდაბნოეთ სჭირდებოდათ სამონასტრო ცხოვრების დასაფუძნებლად ჰქონდათ? ან მარტონი სხვების დაუხმარებლად შესძლებდნენ საკუთარი მისიის შესრულებას?

„უმიწაწყლოდ, რაკი კერძო საკუთრება არა ებადათ რა, მეტად ძნელი იყო ცხოვრება: ხელსაქმარით თავიანთი თავი გამოეკვებნათ თუ სამონასტრო შენობები და ეკლესიები აეგოთ? ცალ-ცალკე ცხოვრების დროს, როცა მეუდაბნოებს არც საერთო თავშესაფარი მოეპოვებოდათ, არც სამლოცველო, კერძო საკუთრების უქონლობა და სიღარიბე ისე საგრძნობელი არ იყო, როგორც შემდეგში, როცა მონაზვნები ერთად იყვენ შეკრებილნი და მოთხოვნილებაც შესაფერისად გართულდა. სამონასტრო შენობის აგების დროს მონასტრების დამფუძნებელნი იძულებული იყვენ საერო კაცებისათვის დახმარება ეთხოვნათ; ლუკმაპურის და სურსათის საშოვნელადაც მონაზვნებისათვის საჭირო ოყო, რომ მონასტერს ერთი ნაჭერი მიწა მაინც ჰქონოდა, რომ ბერებს მოეხნათ, დაეთესათ, მოემკათ და თავის ოფლით გამოეკვებნათ თავიანთი თავი. ჩვენ ვხედავთ, მართლაც, რომ გრიგოლ ხანძთელი ერთ მახლობელ დიდებულ აზნაურს სთხოვს, მონასტერს სახნავი მიწები შესწირეო. ასეთივე თხოვნით ხანძთელმა

მამამ ბაგრატ კურაპალატსაც მიჰმართა. ერისკაცები მონასტრების დამაარსებლების თხოვნას სიამოვნებით ასრულებდენ. თანდათან მონასტრებს ნაჩუქარი მამულები ემატებოდათ და სამონასტრო საკუთრება გაუჩნდათ. ერთი სიტყვით, ჩვენ ვხედავთ, რომ, როცა მეუდაბნოება სამონასტრო წესად შეიცვალა, მონაზნები იძულებული იყვენ სრულ სიგლახაკისა და სიღარიბის ცხოვრების იდეალის განხორციელებისათვის თავი დაენებებინათ და საზოგადო სამონასტრო საკუთრება, მამული შეეძინათ. მაგრამ ძირითად ზნეობრივ მოძღვრებას არ ივიწყებდენ: მონაზნები თითონ მუშაობდენ ხოლმე სამონასტრო მამულებში ვენახსა და ბაღჩებში, ხე-ტყეს თითონ სჭრიდენ და მოჰქონდათ. ასე იყო ათონის ქართველების მონასტერშიაც ვენახებში და მინდვრად ცელვისა და მკის დროს, სახელოსნოებში და ბოსელში. ერთი სიტყვით, ყველგან თითონ ბერები მუშაობდენ. გიორგი მთაწმინდელი მოგვითხრობს: „ყოველსა ძმანი შურებოდიან და ვინაჲთგან ყოველნი იქმოდეს, არა უმძიმდა, არამედ უდრტვინველად და სიხარულით იქმოდესო.“ მონაზნები, მაშასადამე, ცდილობდენ, რომ პავლე მოციქულის ზნეობრივი მცნება „ვისაც არა უნებნ საქმის, ნუცა ჰსჭამნ“ – სვინდისიერად აესრულებინათ. ისინი წინანდებურად თავიანთ თავს „გლახაკს“ ეძახდენ.“

მეუდაბოენი თავის თავს კი ეძახდნენ გლახაკს, მაგრამ ისინი თანდათანობით რომ იძენდნენ მამულებს და ქონებას აგროვებდნენ, რამდენად შეეფერებოდათ ასეთი სახელი?

„მონაზვნები ცდილობდენ როგორმე შეენარჩუნებინათ თავიანთი უმთავრესი და ძლიერი და ძირითადი აღთქმა, სრული სიგლახაკე და თავისი ოფლით ლუკმა პურის ჭამა, სამონასტრო წესწყობილობის დროს სრულ სიგლახაკეზედ ლაპარაკი აღარ შეიძლებოდა, მონასტერს თავისი საკუთრება ჰქონოდა, – მოძრავიც და უძრავიც. მართალია ეს ქონება თითოეული ერის კერძო კუთვნილება არ იყო, კერძო საკუთრებას კი არ ადგენდა, არამედ საზოგადოს, მაგრამ მაინც ხომ საკუთრება იყო და თითოეულ მონაზონს წილი ედო ამ ქონებაში, ერთი სიტყვით ჩვენ ვხედავთ, რომ მამულის საკუთრება, სწორედ ის, რასაც ასე გაშმაგებით გაურბოდნენ და თავიდან იშორებდენ ხოლმე მონაზნები, როცა სიგლახაკისა და ქალწულობის აღთქმასა სდებდენ, მათთვის მაინც საჭირო გახდა, უიმისოდ არსებობა აღარ შეეძლოთ. ახლა მონასტერი სამეურნეო ძმობას წარმოადგენდა რომელსაც სა-

ზოგადო საკუთრება ჰქონდა და საერთოდ აწარმოებდა საქმეს. მართალია, სიგლახაკის აღთქმა, მონაზნობის უმთავრესი მცნება ირღვეოდა, მხოლოდ ზნეობრივი მცნება საკუთარი მუშაობით ლუკმა პურის შოვნის შესახებღა იყო შერჩენილი, მაგრამ ესეც უნდა სთქვას კაცმა, რომ არც იმ წვლილსა და შესაწევარს, რომელსაც მაშინდელი ქართველი საზოგადოება მონასტრებს აძლევდა ხოლმე, ჩვენის ერისათვის უნაყოფოდ და ამაოდ არ ჩაუვლია. პირიქით, მეუდაბნოენი თავის ერისათვის თითქმის სრულებით გამოუდეგარნი იყვენ, ხალხზე დაშორებულთ, ყოველგვარ ადამიანურ ცხოვრების პირობებს მოკლებულთ, მუდმივ მშიერ-მწყურვალთ რის გამეტება შეეძლოთ? ისინი მხოლოდ პირად ზნეობრივ წარმატებასა და სისრულეზე ზრუნავდენ და „ცოდვილ“ ქვეყნისა არა უნდოდათ რა; მონასტრების დაარსების შემდეგ კი, როცა მონაზონი დარწმუნებული იყო, რომ მას მცირედი საჭმელ-სამელი მაინც ექნებოდა მუდმივ, ვისაც ძალი და ღონე შესწევდა მთელ თავის დროს გონებითს მუშაობას შეალევდა, – მწერლობა იყო თუ მხატვრობა, საეკლესიო გალობა იყო თუ სჯულთ მეცნიერება. ოღონდაც დიდი კულტურული ღვაწლი მიუძღვით ამ მონასტრებს სამშობლოს წინაშე; განა მდიდარი საეკლესიო მწერლობა და მრავალმხრივი ხელოვნება სულ მათი შექმნილი და აღორძინებული არ არის? მაშინდელი მონასტერი სავანე იყო უმაღლეს გონების განვითარებისა.“

ერისკაცნი თავიანთი სულის საცხონებლად უშურველად სწირავდნენ ქონებას მონასტრებს და ასაჩუქრებდნენ გლახაკებსა და მათხოვრებს, მაგრამ რომელი ქონების გაღება ითვლებოდა ზნეობრივ საქმედ?

„საყურადღებოა სწორედ, რომ იმ დროს, როცა მონაზნები დარწმუნებული იყვენ, ვითომც ზნეობრივ სიფაქიზის დასაცველად საჭირო იყოს, რომ ადამიანს არაფერი ქვეყნიური საზრუნავი და სამუშაო არ აწუხებდეს და ყველაფერი მზა-მზარეული სხვისი ნამუშევარი მოსდიოდეს, ამავე დროს ქართველი განათლებული საზოგადოება იმის სჯაში იყო, თუ რა გზით უნდა იყოს ნაშოვნი ის ფული, რომელსაც საქველმოქმედოდ მოიხმარებდენ. მერე რა საკვირველი, ზნეობრივად ფაქიზი აზრი ტრიალებდა საზოგადოებაში ამის თაობაზე! **მხოლოდ იმ ფულის და ქველსაქმარის მიცემა შეიძლებოდა, რომელიც ადამიანს თავისი ოფლით და სინდისიანად ნაშოვნი და შეძენილი ჰქონდა. წარმოიდგინეთ, აზნაურს საქველმოქმედოდ არ უნდა**

მოეხმარა საპატრონო და საბატონო მამულის შემოსავალი, მეფეს – სახელმწიფო სარგო. დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი მოგვითხრობს, მეფე გლახაკებს რომ ქველსაქმარს აძლევდა ხოლმე, „ამას არა თუ ხელოსანთაგან მორთმეულსა იქმოდის, ანუ საჭურჭლით, არამედ ხელითა თვისითა ნადირებულთა“ ... თამარ მეფის მემატიანე კიდევ გვიამბობს, რომ სახელოვანი დედოფალი „ხელსაქმარი მისი განყიდის და ეგოდენი ფასი გლახაკთა მისცის და არა სამეფო შემოსავალთაგან.“... „ხელითა თჳსითა“ შეძენილსა და „ჴელსაქმარს“ იმიტომ აძლევდენ ხოლმე გლახაკებს, რომ ქველმოქმედება მამულისა ან სახელმწიფო შემოსავლიდან არავითარ პირად ზნეობრივ ღვაწლს არ წარმოადგენდა და მეტადრე იმის გამო, რომ ადამიანს არც როდის არ შეეძლო ეთქვა, თუ რა გზით არის შეძენილი ის ფული, რომელიც სახელმწიფოსა ან საპატრონო შემოსავლიდანაა მიღებული. ვის შეეძლო დაემტკიცებინა, რომ იგი მძლავრობით ან უსამართლოდ არ იყო შეკრებილი. მხოლოდ ის, რაც ადამიანს თავისი ოფლით, სვინდისიერად შეუძენია, მხოლოდ ის იყო წმინდა და საქველმოქმედოდ, მოყვასისადმი ძმურ ღრმა სიყვარულისა და სიბრალულისა გამოსაცხადებლად გამოსადეგარი.“

მეფეების ეს ქველმოქმედება პირად ზნეობრივ სიქველედ უნდა ჩავთვალოთ თუ ზოგად კანონზომიერებად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც მაშინდელ ქართულ საზოგადოებაში სუფევდა?

ამ გვარად ჩვენ ვხედავთ, რომ იმ დროს, როცა მონაზნები ქალწულობისა და ზნეობრივ სისპეტაკის იდეალით ისე გატაცებულნი იყვნენ, რომ სამეურნეო მუშაობა და საკუთარ ხელებით ლუკმა პურის ჭამის საჭიროება უარჰყვეს და მუშაობის ღვაწლი დაამცირეს, ამავე დროს ზემოაღნიშნულმა ფაქიზმა ზნეობრივმა მოძღვრებამ ქართველი მოწინავე საზოგადოება დაარწმუნა, რომ მხოლოდ საკუთარის მუშაობით შეძენილი ქონება აკეთილშობილებდა ადამიანს. მხოლოდ ეს საზოგადოების შეხედულება ამაღლებდა გლეხკაცობისა და ყმების ცხოვრების მძიმე ტვირთს.“

მაგრამ თითოეული ადამიანი, მეფე იქნებოდა იგი თუ სხვა ვინმე, ყველა ხომ ერთნაირი ზნეობისა და შეხედულებისა არ იქნებოდა? ქვრივ-ობოლთა გაკითხვა მხოლოდ პირად ინიციატივაზე იყო დამოკიდებული? სახელმწიფო ამ საქმეში განზე იდგა?

„რასაკვირველია, თუნდაც რომ მაშინდელ ქართველ საზოგადოებაში ყველას დაეწყო მუშაობა და შეძენილი ფული და გაკეთებული ხელსაქმე მთლად გლახაკებისათვის მოენდომებინათ, მაინც საკმარისი არ იქნებოდა და უსახსრო და ღარიბი ხალხი შესაფერს დახმარებას ვერ ეღისებოდა. მართალია, ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, როცა საერთო აღაპებს მართავდენ ხოლმე, ღარიბ ხალხს შეეძლო, ცოტადაც არის, მშიერი კუჭი გაეძღო, მაგრამ თანდათან ეს ჩვეულებაც გადავარდა და სააღაპო ქონებას შემდეგ საუკუნეებში საქართველოში მონასტრებს სწირავდენ ხოლმე. ესეც ბერებს ჩაუვარდათ ხელში და გლახაკები ხელცარიელი დარჩენ. საზოგადოების ქველმოქმედების წყარო ორად გაიყო. უპირატესობა, რასაკვირველია, მონაზნებს ეკუთვნოდა და გლახაკთა ქველმოქმედების ნაკადული დაიშრიტებოდა, ამ დროს რომ საერო მმართველობა, საქართველოს მთავრობა არ მიჰშველებოდა ღარიბ-ღატაკ ხალხს: მე-IX საუკ. ბაგრატ კურაპალატმა დააწესა საქართველოში გლახაკთა ნაწილი თამარ მეფის მემატიანეს სიტყვებიდან ჩანს, რომ ეს დაწესება მე-XIII საუკუნემდე არსებობდა საქართველოში“

საიდან გროვდებოდა ქვრივ-ობოლთა გასაკითხი სახელმწიფო თანხა?

„საქართველოში არსებობდა სახელმწიფო და არა საეკლესიო ან კერძო საქველმოქმედო თანხა. ამის გამო შეუძლებელია, რომ იგი მაჰმადიანების 10 % საქველმოქმედო გადასახადის მიბაძვით ყოფილიყო შემოღებული საქართველოში. საქველმოქმედო თანხის გასანაწილებლად თამარ მეფის დროს მზრუნველები („ზედამხედველნი“) იყვნენ დაყენებული. ისტორიკოსი ამბობს, მაგალითად, რომ თამარ მეფეს „გლახაკთათჳს განეჩინეს სარწმუნონი ზედა-მდგომელნი და ყოველსა სამეფოსა მისსა შემოსავალნი, რაცა იყო, შინ და გარეთ, ყოვლისა ნაათალი გლახაკთ მიეცემოდა დაუკლებლად.“ ერთის სიტყვით ჩვენ ვხედავთ, რომ ზნეობრივ მოვალეობის ასრულებაზე ქართველი საზოგადოება და მთავრობა სამღვდელოებაზე ნაკლებად არ ზრუნავდა. თუ გავიხსენებთ აგრედვე, რომ დავით აღმაშენებელმა საავადმყოფო დაარსა, სადაც თვით მეფე დროგამოშვებით სინჯავდა ხოლმე საჭმლის გემოს და საცვლების სისუფთავეს, მაშინ არ შეიძლება ადამიანმა არა სთქვას, რომ ქართველი საზოგადოება თავის დროზე უძლურ და

სნეულ მოყვასთა ტანჯვის შესამსუბუქებლად დიდ მზრუნველობას იჩენდა.“

ზემოთ მოწყალების მიმღებ 2 კატეგორიაზე იყო საუბარი. უნდა ვივარაუდოთ, რომ რადგანაც მოწყალების მიმღებ ამ ორ კატეგორიას მოწყალების გამცემი სხვადსახვა ყავდა, გაცემული მოწყალების სიდიდეც განსხვავებული იქნებოდა. კერძო პირი ხომ თავისი შეხედულებით იმდენს მიაწვდიდა მონაზონს, რამდენიც მას სურდა. შენაწირი კი მარტო საკვები ხომ არ იყო? ხშირად ხომ ფულს ან მიწას და სხვა უძრავ ქონებასაც სწირავდნენ ხოლმე? მონაზონი კი იტყოდა ამდენი არაა საჭიროო? ეს თავის დაღს არ დაამჩნევდა მათ ცხოვრებას?

„მონაზონობის ძირითად მცნების – სიგლახაკის აღთქმის – დარღვევამ და სამონასტრო მამულების შეძენის სურვილმა დიდი გავლენა იქონია ბერების ზნეობრივ მისწრაფების მიმართულებაზე.“

უფრო ვრცლად ხომ არ აგვიხსნიდით ვითარებას თუ რა მოხდა?

„არც ერთი ქრისტიანი მაშინ ისე არ შეწირავდა რამეს მონასტერს, რომ განსაზღვრული და სავალდებულო პირობა არ დაედო, რასკვირველია, სამუდამო სულის მოხსენებისა და აღაპის თაობაზე. ამგვარად შეწირულობა უსასყიდლო არ იყო და ქველმოქმედების ნიშანწყალი ოდნავ-ღა ემჩნეოდა; როცა რომელიმე აზნაური ან ხელისუფალი მონასტერს მამულს ან ფულს მიართმევდა ხოლმე, ის იმაზე კი არ ფიქრობდა, რომ ქონებრივად ეხმარებოდა ბერებს, არამედ მარტო იმაზე, რომ წმინდა მამები, რომელნიც უფლის წინაშე კადნიერ იყვნენ, მის სულს სიკვდილის შემდეგ ღვთაებას შეავედრებდენ. კაცი რომ ჩაუკვირდეს, ამისთანა შემთხვევებში შეწირულება კი არ იყო, არამედ სამუდამო სასყიდელი სამუდამო აღაპის გაჩენის გულისათვის. ერთის სიტყვით, ნამდვილი აღებ-მიცემობა იყო. ასე უყურებდენ თვითონ შემწირველებიც; აი, მაგალითად, რას ეუბნებოდა დიდებული აზნაური დაფანჩული გრიგოლ ხანძთელს: „ჩუენთანა არს ხორციელი კეთილი და თქუენთანა არს სულიერი კეთილი: და ესე შევზავნეთ ურთიერთას: თქუენ მონაწილე გუყვენით წმიდათა ლოცვათა თქუენთა ცხორებასა ამას და შემდგომად სიკუდილისა და ძუალნი ჩუენნი ღირს ყვენით დასხმად წმიდათა თანა ძუალთა თქუენთა... და ჩუენ აღგითქუამთ ცხორებასა ჩუენსა და ცხორებასა შვილთა ჩუენთასა.“

თქვენი აზრით, ეს ვაჭრობაა?

„დავაკვირდეთ დაფანჩულის აზრს: მას ხორციელი დიდება აქვს. შეძლებული და მთავრის წინაშე დამსახურებული კაცია, გრიგოლ ხანძთელს კი არა აბადია-რა, ხორციელ დიდებას მოკლებულია, იგი სწორედ ამ ხორციელ ქვეყნის დიდებას გამოექცა, სამაგიეროდ იგი სულიერ კეთილით არის აღსავსე; დაფანჩული კი სწორედ ამ სულიერ კეთილს არის დანატრებული, უნდა, რომ როგორმე შეიძინოს.“

მერედა, რაა აქ ცუდი? ადამიანი ცდილობს რაც არა აქვს, ის შეიძინოს.

„რასაკვირველია. [მაგრამ] თუ ადამიანს სურს სულიერი კეთილი დაიუნჯოს, ამისთვის მან პირადად უნდა იღვაწოს, ზნეობრივად სრული გახდეს და სულიერი სათნოება დაიმკვიდროს. ამას ქადაგებდა იესო (მოვიგონოთ იგავი მდიდარ ფარისეველის შესახებ), ამას ქადაგებდენ მისი მოციქულები და სახარება. ოღონდაც. სხვანაირ ზნეობრივ შეხედულობის შეწყნარება შეუძლებელიცაა!“

თქვენ მსჯელობით გამოდის, რომ დაფანჩულის მოქმედება არც თუ ისე ზნეობრივი ყოფილა.

„ზემომოყვანილი დაფანჩულის სიტყვები გვიჩვენებენ, რომ იგი სულ სხვა მოძღვრების მიმდევარი იყო: მას საჭიროდ არ მიაჩნდა პირადი ზნეობრივი მოღვაწეობა და წარმატება, ან იქნებ, რაკი მას ეგონა, რომ სრულ კეთილის დაუნჯება მონაზონობის საშუალებით შეიძლებოდა, დაფანჩული გრძნობდა, რომ იგი სულიერ კეთილს ვერას დროს ვერ ეღირსებოდა; მაგრამ სულიერ კეთილის შეძენა სხვა საშუალებითაც შეიძლებოდა. ეს საშუალება აღებ-მიცემობა იყო.“

ყველა ზემონათქვამი უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ დაფანჩულმა კარგად იცის, რაც სურს და ასევე ისიც იცის თუ როგორ უნდა ეწიოს საწადელს. მას მიზნის მისაღწევი გეგმა შეუდგენია და ჯიუტად ცდილობს მის განხორციელებას. ასე არაა?

„როგორც დაფანჩული ბრძანებს, ... გრიგოლ ხანძთელი [მას] თავის წმინდა ლოცვების „მონაწილედ ჰყოფს“, მოიხსენიებს, მის სიკვდილის შემდეგ ნებას მისცემს, რომ დაფანჩულისა და გრიგოლის ძვლები ერთად დაემარხნათ. დაფანჩული დარწმუნებული იყო, რომ ასეთ სა-

შუალებით იგი საიქიოს ცოდვათა განკითხვისაგან თავს დააღწევდა, სრულს სულიერს კეთილს დაიმკვიდრებდა. ასეთ სამსახურისა და ხსნისთვის დაფანჩული თავისა და თავის შვილების საცხოვრებლის, ქონების მონასტრისათვის შეწირვას ჰპირდებოდა."

გამოდის რომ დაფანჩული ქრთამს იძლეოდა. იღებდა კი მას ეკლესია?

დაფანჩულის გეგმით „გრიგოლი და მისი მონასტერი ხორციელ კეთილს დაიმკვიდრებდენ. ამას დაფანჩული შეზავებას ეძახის და ჩვენც **შეზავების ეთიკა** დავარქვათ. ცხადია, რომ **ეს შეზავების ეთიკა ნამდვილი აღებმიცემობაა, ვაჭრობაა.** როგორ გავრცელდა და დამკვიდრდა ეს ზნეობრივი მიმართულება, ვის უფრო მეტი ბრალი აძევს მის გავრცელებაში, მონაზონებს, თუ საერო პირთ, ამის თქმა ჯერ-ჯერობით არ შეიძლება. ეს კია მხოლოდ, – ორივე მხარე ამ შეზავების ეთიკისა კმაყოფილი იყო; მონასტერს აუარებელ შემოწირულებას უქადდა იგი, ხოლო ერის კაცებს სულიერ კეთილისა და ცხონების ახალ გზას უჩვენებდა. მერე რა ადვილი და მშვიდობიანი გზა იყო იგი: არც თავის შეწუხება, არც პირად ცხოვრების წესის ცვლილება იყო საჭირო, მხოლოდ ხორციელი კეთილი, ქონება და სიმდიდრე კმაროდა!..."

როგორ უნდა შევაფასოთ ეს მოვლენა?

„რა თქმა უნდა, „შეზავების ეთიკას" ქრისტეს ზნეობრივ მოძღვრებასთან არაფერი აქვს აქვს საერთო, სახარების ზემოაღნიშნული იგავი ცხადად გვიჩვენებს ამას. პავლე მოციქულს უფრო მკაფიოდა აქვს გამოთქმული ის აზრი, რომ შეწირულებას თავისთავად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომ ადამიანს ზნეობრივი წარმატება არა სურს და მისკენ არ მიისწრაფვის: „დაღათუ ვაჭამო ყოველი მონაგები ჩემი (გლახაკთა) და მივჰსცნე ხორცნი ჩემნი დასაწუელად და სიყუარული არა მაქუნდეს, არარავე სარგებელ არს ჩემდა." დიახ, კაცი რომ ეხმარებოდეს თავის უძლურ მოყვასს ან მონასტერს, ის კი არ უნდა ჰქონდეს ფიქრად, ასე, უეჭველია, სულიერ კეთილს დავიმსახურებ და ვცხონდებიო, არამედ მარტო ოდენ ღრმა სიბრალული და სიყვარული, გულწრფელი სურვილი, რომ გლახაკისათვის ეშველნა; იმიტომ რომ, პავლე მოციქულის უკვდავ სიტყვებისა არ იყოს, „სიყუარული სულ-გძელ არს და ტკბილ. სიყუარულსა არა ჰშურს, სიყვარული არა მაღლოინ, არა განლაღნის, არცა სარცხვინელ იქმნის, არა

ეძიებენ თავისასა, არა განრისხნის... ყოველსა თავს იდებნ, ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ.“

მართლაც შესანიშნავადაა ნათქვამი! მაგრამ როგორც თქვენს მიერ მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, ეს ღვთიური მცნება დაირღვა და ნამდვილი აღებ-მიცემობა გაჩაღდა.

მართლაც „სახარების მაღალი მოძღვრება მალე შეირყა. როცა ქრისტიანობა მაღალ წოდებათა წევრებმაც მიიღეს, მაშინ უნებლიედ დაიბადა საკითხი, თუ როგორ ცხონდებოდენ მდიდრები. ყველამ კარგად იცოდა იესოს სიტყვა, თუ რა ძნელია, თითქმის შეუძლებელია, რომ მდიდარი სამოთხეში შევიდეს, თუ კი იგი თავის ქონებას გლახაკებს არ დაურიგებს და ქრისტეს არ შეუდგება. რასაკვირველია, თუ მდიდრებს ცხონების იმედი უნდა გადაეწყვიტნათ, მაშინ მათთვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა ახალ სარწმუნოების მიღებას. ეს რომ თავიდან აეცილებინათ, საეკლესიო მწერლები გულმოდგინედ შეუდგენ იმ გარემოების გამორკვევას, თუ როდის ან როგორ შეიძლება, რომ მდიდარი ცხონდეს. პირველად ასეთი მოსაზრება კლიმენტი ალექსანდრიელმა გამოსთქვა. ის ამტკიცებდა, რომ „სიმდიდრე მხოლოდ ორღანოა. თუ მას სამართლიანად მოვიხმართ, მაშინ იგი სამართლიანობას ემსახურება, ხოლო თუ ვინმე უსამართლოდ მოიხმარს, მაშინ იგი უსამართლობის მსახურად აღმოჩნდებაო.“ ამისდაგვარად, ყოველი მდიდარი, რომელიც თავის სიმდიდრეს გლახაკებსა და ქველმოქმედებას მოახმარს, ცხონდებაო. ამის მიხედვით საეკლესიო მწერლები მუდამ ურჩევდენ ხოლმე მდიდრებს, რომ თავიანთი ქონება გულუხვად დაერიგებინათ საქველმოქმედო საქმეებისათვის, იმიტომ რომ ისეთი მოწყალება ცოდვებისაგან იხსნის ადამიანს... ჰერმესის „მოძღვარში“ თითქმის დაფანჩულის „შეზავების“ ეთიკის მსგავსი მოძღვრებაა მოყვანილი; მაგრამ პირველ საუკუნეებში მაინც კარგად გრძნობდენ, რომ ქველმოქმედება წრფელის გულიდან უნდა მომდინარეობდეს, რომ ეკლესიისათვის შემოწირულება კი არ იყო საჭირო, არამედ მარტო ქრისტიანეთა სულიერი სიკეთე. იოანე ოქროპირს ხშირად უთქვამს მდიდრებისათვის, რომ „ეკლესიას არც ოქრო, არც ძვირფასი თვლები არ უნდა, მხოლოდ თქვენი ცხონება სურსო.“

სასულიერო კრებულში დიდი ზნეობრივი დუღილი ყოფილა. ერთი მხრივ, ისინი ცდილობდნენ თავიანთი აღთქმა დაეცვათ, რომელსაც

ქონების დაგროვება ემუქრებოდა და, მეორე მხრივ, ამ ქონების გამრავლებას ცდილობდნენ. საერო პირები ხომ საიქიო ცხოვრების უზრუნველსაყოფად უშურველად გასცემდნენ შეწირულობებს.

„მონასტრების დამფუძნებელნი და მამასახლისები მზამზარეულ სურსათსა და სარჩოს უჩენდენ ბერებს და მუშაობას უკრძალავდნენ, მათ ეგონათ, როცა მონაზონები ქვეყნიურ ჭირვარამს მოშორდებიან, მაშინ შური და უთანხმოება აღარ იქნება მათ შორის და ზნეობრივად წმიდა და სრული გახდებიანო. დიახაც, აღმოსავლეთის მონაზონები გულწრფელად იტანჯებოდენ და სურდათ, რომ შფოთი და სიძულვილი თავიდან აეცილებინათ და ძმური, ქრისტესმიერი სიყვარული დაემყარებინათ თავიანთ სავანეში, მხოლოდ ამის მისაღწევად, შურისა და ჩხუბის მოსპობის გულისათვის ამბობდენ უარს მეურნეობასა და მუშაობაზე... მტრობისა და შუღლის მიზეზს იქ არ ეძებდენ, სადაც იგი ბუდობდა; ისინი ხეხილსა, ხვნა-თესვასა და სამეურნეო მუშაობას აბრალებდენ ხოლმე, ნამდვილად კი ყოველგვარ ქიშპობის და სიძულვილის მიზეზი მონაზონების შურიანი ხასიათი და ღვარძლიანი გული იყო. მართალია ბერებს ავიწყდებოდათ, რომ შურიანი და ხარბი ადამიანი უსაქმოდაც და უვენახოდაც ადვილად იშოვნიდა მტრობის საბაბს, იმიტომ რომ, რუსთაველისა არ იყოს, „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია გულსა, სულსა."

რა გამოვიდა? რა მივიღეთ?

„მონაზნები, რომელნიც კერძო საკუთრებას და ქონებას გაურბოდენ, ისევ საკუთრებასვე დაუბრუნდენ; მართალია, ეს საკუთრება საზოგადო, სამონასტრო საკუთრება იყო, მაგრამ მაინც ხომ მასში ყველას ედო წილი. ამ დროს მონაზნები ჯერ კიდევ ცდილობდენ, თავიანთი შრომით მოეპოვებიათ საზრდო... ეს უკანასკნელი პრინციპიც დაირღვა და გაჰქრა. ამგვარად, მონაზონთა ძმობა დიდ მამულებისა და სხვა და სხვანაირ საკუთრების პატრონად გახდა, მრავალ მეფეების შეუვალობის წიგნები ჰქონდა ნაწყალობები, ყოველგვარ სახელმწიფო და ხშირად სახელისუფლო გადასახადებისაგან იყო გასნთავისუფლებული და თავისი ოფლით კი არა ცხივრობდა, არამედ ყმების ოფლითა და ნამუშევარით ირჩენდა თავს და, ამგვარად, სხვის ოფლით სურდა ზნეობრივ სისპეტაკე დაემკვიდრებინა. ოღონდაც, ამ დროს მონაზნებს არავითარი უფლება არა ჰქონდათ თავიანთ თავისათვის

წინანდებურად „გლახაკის“ სახელი დაეძახნათ. მონაზნები ამიერიდ-გან დიდებულთა და პატრონთა წოდებას უფრო ეკუთვნოდენ, ვიდრე უმიწაწყლო ღარიბ-ღატაკებს.“

სასულიერო მამებიც თუ ასე ეძებდნენ გამოსავალს, რომ როგორ-მე ქრისტეს მცნებასთან ქონების შეძენაც დაეახლოვებინათ, საერო პირები ნაკლებ გასაკიცხნი გამოდიან. აქედან გამომდინარე კი რა გა-საკვირია, რომ თავდაპირველი მცნება დარღვეულიყო.

დიახ! „ცხოვრებამ მაინც თავისი გაიტანა და „შეზავების“ მოძღ-ვრებამ ფეხი მოიკიდა. ასე მოხდა ყველგან საშუალო საუკუნეებში, ასე იყო ჩვენშიაც, როგორც ზემოდ იყო მოხსენებული. ეს მოძღვრება ძვალ-რბილში უჯდებოდა ქართველ ხალხს იმიტომ, რომ იგი საერო უფლებრივ აზროვნებისათვის უფრო მისაწვდომი და გასაგები იყო, ვიდრე სახარების მაღალი მცნება. თანდათან „შეზავების“ ეთიკა იმდე-ნად განმტკიცდა, რომ მხოლოდ პირადი სარგებლობის მოლოდინითღა სწირავდენ ხოლმე მონასტერს ქონებას. **შეწირულება ცოდვილს სა-იქიოს სასჯელისაგან იხსნიდა და, თუ ვინმე იმ შეწირულ მამულს მონასტერს წაართმევდა ან მოიტაცებდა, მომტაცებელი უნდა ყო-ფილიყო ზეციერ მამის წინაშე შემწირველის ცოდვების პასუხისმ-გებელი.** აი, მაგალითად, რას ამბობს თავის შეწირულობის წიგნებში და სიგელში მეფე ბაგრატ IV: თუ „ვინმე გამოჩნდეთ... და რასაცა ჟამ-სა... რაისაცა მიზეზისა მოღებითა, გინა თუ იგი ადგილი შეუცვალოთ მას წმიდას ლავრასა, ანუ თუ ესე წესნი, განგებულნი ჩუენნი შეუშალ-ნოთ... ცოდვათამცა და ბრალთა ჩემთა გარდამხდელნი ხართ წინაშე ღვთისა.“ თავის მეორე სიგელში იგივე მეფე ამბობს: „უკუეთუ ვინმე რასაცა ჟამსა რაიცა გუარი კაცი, დიდი გინა მცირე, ადგეს და ამას ნაქნარსა ჩვენსა აქცევდეს, გამცაურისხდების მამაი, ძე და სული წმი-დაი... და ჩემნი ბრალნი მისგან იძიენ ღმერთმან.“ ასეთსავე სიტყვებს მკითხველი თითქმის ყველა ძველ სიგელებში შეხვდება.“

მოვლენის საინტერესო განვითარებაა. ბაგრატ მეფე იშველიებს ღმერთის ავტორიტეტს და მის მეშვეობით ცდილობს მისივე განგე-ბული ურყევად დაცულ იქნას. დავანებოთ თავი ქონების შეწირვის ზნეობრიობას. ამაზე თქვენ უკვე ისაუბრეთ. მაგრამ მეფის გადაწყვე-ტილების მუდმივად დაცვისთვის ღვთის ავტორიტეტის გამოყენებაში თქვენ რაიმე შეუფერებელს ხედავთ?

„ამგვარმა ზნეობრივმა მიმართულებამ დაჰბადა საინტერესო უფლებრივი რწმენა: **რაკი მამულს სწირავდენ მონასტერს ან, როგორც სიგელებში ეწერა ხოლმე, იმ წმინდას, რომლის სახელობაზედაც აშენებული იყო მონასტერი, შემწირველები და მონაზნები ამ მამულს წმინდანის საკუთრებად სთვლიდენ, – იგი იყო მამულის პატრონი. და თუ ვინმე გაბრიყვდებოდა და წმინდანის უფლების შელახვას განიზრახავდა და იმ მამულს მიითვისებდა, რომელიც ცოდვათა მიტევების მეოხებისა და საიქიოს განკითხვის დღის წამოსარჩლების გულისათვის შესწირეს მას, მაშინ თვით იგი შეურაცხყოფილი წმინდანი იძიებდა შურს და გადაუხდიდა მაგიერს თავხედს მომტაცებელს.** აი, მაგალითად, რას ამბობს მეფე დავით აღმაშენებელი: თუ ჩემი, შენდამი შემოწირული მამული მიითვისოს და დადებული წესი დაარღვიოს ვინმემ, „შენ, ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო, განყოფასა მისს, ხორცთაგან, განყავ იგი ნაწილისაგან ცხოვნებულთასა და შური იძიე, ვითარცა მგმობარსა შენსა, ნესტორს ზედა. ხოლო შენ წმინდაო ღმერთ შემოსილო მამაო შიო, ოდეს დასჯდეს ქრისტე ღმერთი განსჯად ყოველთა ტომთა და საქმეთა, წარმოუდეგ და განჰსაჯე და, ვითარცა შემაწუხებელს, შენსა ზედა, ეგრეთ შური იძიე პირითა ღვთისათა.“ ამ ნაწყვეტში ყურადღების ღირსია საგულისხმიერო სიტყვები „ვითარცა შემაწუხებელსა შენსა ზედა, ეგრეთ შური იძიეო.“ **რით განირჩეოდა ეს საუცხოვო ზეციურ განკითხვის დღე იმ ჩვეულებრივ ქვეყნიურ სამსჯავროსაგან, რომელიც მაშინ საქართველოში არსებობდა? იგივე შურისძიება, იგივე ბრალმდებელი, რომელიც შემაწუხებელ ბრალდებულის დასჯას თხოულობს, იგივე მამულის მოტაცება და ჩვეულებრივი დავიდარაბა**. ოღონდაც, რომ არაფრით არ განირჩეოდა. რა დაშორებული იყო იმავ დროს ეს განკითხვის დღე იმ სურათზე, რომელიც იესომ თავის მოწაფეებს დაუხატა! სადაა იქ საკუთრებაზე ლაპარაკი, მამულის მომტაცებელზე და შურის ძიებაზე, ან კი მოხსენებულია იქ შურის მაძიებელი, შემაწუხებელი წმინდანი? ერთი სიტყვითაც არ არის. არა. ამ სურათს არაფერი აქვს იესოს მოძღვრებასთან საერთო, ეს სურათი ზეციურ განკითხვის დღეს კი არ გვიხატავს, არამედ ქვეყნიურ, დღიურ ვარამსა და შურისა და სისხლის ძიებაზე დამყარებულ სასამართლოს. **ამნაირად მაშინდელი სარწმუნოებრივი და ზნეობრივი წარმოდგენა ზეციურ სიმაღლისაგან და სისპეტაკისაგან ქვე ჩამოეშვა და მიწაზე დაეცა.** ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რაკი სარწ-

მუნოებრივ საქმეებს ეკონომიური და კერძო უფლებრივი ინტერესები გაურიეს, რაც უფრო მეტად განმტკიცდებოდა ასეთ ინტერესებზე ზრუნვა, მით უფრო მეტად უნდა დაცემულიყო ის მაღალი წარმოდგენა ზეციურ ღვთაებაზე, განუსაზღვრელ სიყვარულისა და უშრეტელ გულმტკივნეულობაზე დავრდომილ და უძლურ კაცობრიობისადმი დამყარებული, რომელიც იესომ თავის თანამედროვეებს ჩააგონა.“

რა შედეგი გამოიღო ყოველივე ამან? რა შეამსუბუქა ამ ახალმა წესრიგმა?

„ახლა ცოდვებისაგან თავის დაღწევა ადვილი იყო. ამისათვის საჭირო იყო მხოლოდ კაცს დიდი ქონება ჰქონოდა და რომელიმე მონასტრისათვის ბევრი ქონება მამულად ან ფულად შეეწირა. აკი ამიტომაც მოაწყდა მონასტრებს დიდძალი შემოწირულება: რა არა ჰქონდათ მათ! მამულები, სახნავი და საძოვარი ადგილები, წვრილფეხა და სხვილფეხა საქონელი, ყმები, საკუთარი ვაჭრები, სახლები და ქულბაქები. ამას გარდა ამ ქონების უმეტესი ნაწილი სახელმწიფო და სხვა მრავალ გადასახადებისაგან და ბეგარისაგან განთავისუფლებული იყო. საკმარისია კაცმა თითოეულ მონასტრის შეუვალობის წიგნები გადაიკითხოს, რომ დარწმუნდეს, თუ რა თავისუფლად და უჭირველად ცხოვრობდენ ბერები.“

დიდებული მეტამორფოზაა: საკუთარი ხელით მცირედი ცხოვრების საზრდელის მოპოვებიდან სრულ განცხრომამდე! ამგვარად ქონების სიყვარული სასულიერო მამებს საერო პირებს, რომელთაგან მოდიოდა ეს დოვლათ, მათ დაუქვემდებარებდა თუ პირიქით? რა სურათი მივიღეთ?

„მას შემდეგ, რაც მონასტრებმა ქონების შეგროვებისა და დაუნჯებას ხელი მიჰყვეს, მონაზნები, რასაკვირველია, ცდილობდენ, რომ მათს სავანეში შეძლებულ და სახელოვან გვართა შვილები შესულიყვენ; თავის მხრივ შეძლებულნი, უკვე ცხოვრებით დამშვრალნი და გულასუყებულნი სიამოვნებით შეაფარებდენ თავს მონასტერში და მთელ თავიანთ ქონებას სავანეს შესწირავდენ, ოღონდ კი მათთვის მკაცრი სამონაზვნო მოღვაწეობის წესი შეემსუბუქებინა. გიორგი მთაწმინდელი მოგვითხრობს, რომ ასეთ პირებს ხშირად უნდოდათ ხოლმე ათონის მონასტერში ბერად შესვლა, მაგრამ ექვთიმე მთაწმინდელი პასუხად ეტყოდა ხოლმე: „თქვენ კაცნი ხართ სახელოვანნი...

და ოდესმე საფასე მისცეთ ეკლესიას, განსუენებით გნებავს ყოფაი.“ მართალია, ექვთიმე ასეთ პირებს არ უშვებდა მონასტერში და აღკვეთაზე უარს ეუბნებოდა, მაგრამ საქართველოში საქმე სხვანაირად მიდიოდა და მკაცრ მონოზნობის წესი თანდათან დიდებულ და შეძლებულ ბერების გულისათვის გააადვილეს. წარმოიდგინეთ გრიგოლ ხანძთელსაც კი, – იმ გრიგოლს, რომლის სიმკაცრე და მიუდრეკელი სამართლიანობა სახელგანთქმული იყო, – ეტყობა, რომ, ცოტა არ იყოს, გვარიშვილობას და სიმდიდრეს მოწყალების თვალით უყურებდა! აი, მაგალითად, რა უთხრა თევდორესა და ქრისტეფორეს, როცა მათ ყმა არსენი, აზნაურ მირიანის შვილი, და ეფრემი მიაბარა აღსაზრდელად: „თუალნი თქუენნი იყვნედ მარადის მათზედა: და გეხსენედ დიდებულებაი მშობელთა ამათთაი და სარწმუნოებაი მათი ქრისტესა მიმართ და ჩუენ გლახაკთა მიმართ.“ დიახ დიდებულნი და მდიდარნი მონაზონობას ეტანებოდენ, მაგრამ ამასთანავე სამონასტრო მოღვაწეობის სიმკაცრის შემსუბუქებას ცდილობდენ. ეს დიდი ერთი ერთმანეთის დამარღვეველი გარემოება იმით აიხსნება, რომ მონაზონობის უმთავრესი მიზანი და დედააზრი ბევრს უკვე დავიწყებული ჰქონდათ და სწორედ აღარ ესმოდათ: მონაზონობა, როგორც მოწესეობა, ღვთისნიერ იდუმალ ძალის პატრონად მიიჩნიეს და ის კი ავიწყდებოდათ, რომ, თუ ადამიანი სამონაზნო აღთქმას დაარღვევდა, უფლება არა ჰქონდა მონაზონის სახელი ეტარებინა. ერთი სიტყვით გარეგნობა, მონაზონის სახე და წესი უშინაარსოდ, სასწაულმოქმედ ძალად გადაიქცა: საკმარისი იყო კაცი ბერად აღკვეცილიყო, რომ ყველა ცოდვები მისტევებოდა. რომ მონაზონობის გარეგანი სახე მართლა სასწაულმოქმედ ძალად მიაჩნდათ, იქიდანა ჩანს, რომ მცირეწლოვან, პატარა ბავშვებსაც კი მონაზონის ჩოხას აცმევდენ და ბერად აყენებდენ; მაგალითად, გრიგოლ ხანძთელის ნებაყოფილობით დიდებულმა აზნაურმა მირიანმა თავისი 6 წლის შვილი სამონაზვნო ჩოხით შემოსა და ბერად შეაყენა; თვით გრიგოლი ურჩევდა ყრმა ეფრემს ბერად შემდგარიყო თავის საქციელის გასამართლებლად ხანძთელმა არქიმანდრიტმა იესოს შემდეგი სიტყვები მოიყვანა: „აცადეთ ყრმებსა მაგას მოსულად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგე ვითარცა არს სასუფეველი ცათა.“ რა თქმა უნდა, იესოს ამ სიტყვებს არავითარი კავშირი არ აქვს მონაზონობასთან და სულ სხვა აზრით იყო ნათქვამი. ცხადია, რომ ყმაწვილებისა და მცირეწლოვნების ბერად შეყენებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, იმიტომ რომ მონაზონობის

აღთქმა ადამიანს ნებაყოფლობით თავის სურვილით და შეგნებულად უნდა დაედო, ბავშვებს კი, რასაკვირველია, არ შეეძლოთ შეეგნოთ, თუ რა იყო ან ქალწულების დაცვა ან არა და სიგლახაკისა და უპოვარების აღთქმის ასრულება. ყმაწვილების ბერად აღკვეცის დროს მონაზონობის ძირითადი და არსებითი მცნება ირღვეოდა და ამასთანაც ადამიანის პირადობის თავისუფლება ძალდატანებით ილახებოდა, ამიტომ რომ ხუთი ან ათი წლის ბავშვს ვერავინ ვერ შეატყობს, შესძლებს ან მოინდომებს თუ არა, რომ თავისი ქალწულება დაიცვას შემდეგში და სრულის სიღარიბეში აირჩიოს ცხოვრება. ამგვარად, მონასტრებში ისეთი ბერებიც იყვნენ ხოლმე, რომელნიც ძალად იყვნენ მონასტერში შეყენებულნი.“

როგორ ახერხებდნენ სასულიერო პირები ამხელა მამულების მართვას? მათ ხომ ლოცვა და სხვა სასულიერო წესების დაცვა ევალებოდათ? რჩებოდათ მათ დრო სამონასტრო მამულების დამუშავებისათვის?

„მონაზონების მისწრაფება და მიმართულება ამაზე არ შეჩერებულა. მონასტრების დამფუძნებლები და მამასახლისნი ხედავდნენ, რომ ბერები სამონასტრო მამულების მოვლას და დამუშავებას ძალიან ბევრს დროს ანდომებდნენ, სამეურნეო და საგამგეო საქმეში ამასთანავე ისე იყვნენ გართულნი, რომ ხშირად სრულებით ავიწყდებოდათ თავიანთი პირდაპირი მოვალეობა და დადებული აღთქმა და მუდმივ ერთმანეთის კიცხვაში და კილვაში იყვნენ. რომ ეს თავიდან მოეშორებინათ და მონაზვნები მშვიდობიანად ყოფილიყვნენ და მარტო თავიანთი აღთქმის ასრულებაზე ეზრუნათ, მონასტრების დამაარსებელნი და მამასახლისები ცდილობდნენ, რომ ბერები სამეურნეო საზრუნავსა და მამულის მოვლა-შემუშავებას დაეშორებინათ. სამონასტრო მამულების გამგეობა და მოურავობა ერისკაცებს ჩააბარეს, ბაღებში, ვენახებში და მინდვრად მუშებს ამუშავებდნენ ხოლმე. ყველაფერი მზა-მზარეულად უნდა მოჰრთმეოდათ წმინდა მამებს... დავით აღმაშენებელმა თითონ განსაზღვრა... თუ რამდენი პური, ღვინო და სხვა ყოველგვარი საზრდო უნდა მისცემოდა დღიურად შიომღვიმის მონასტრის ბერს. ამნაირადვე უზრუნველჰყოფდნენ ხოლმე ბერებს მეტადრე ყველა კერძო ანუ საკუთარ მონასტრების დამფუძნებლები. ამნაირი კერძო მონასტრები – ზემომოყვანილ გრიგოლ ხანძთელის სიტყვების წინააღმდეგ, რომ მონასტრების დაარსება მხოლოდ გლახაკებს შეუძლიანთო, – ბლომად იყო საქართველოში. მაგ., მცხეთის

კათალიკოზის სამწყსოს ნუსხიდან ცხადად ჩანს, რომ სამცხე-საათაბაგოში ყველა დიდებულ აზნაურთა გვარებს თავიანთი საკუთარი მონასტრები ჰქონდათ. რასაკვირველია, თითოეულ კერძო მონასტრის პატრონი ცდილობდა, რომ სხვებისთვის ბერების მზრუნველობაში ეჯობნა, და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ... თამარ მეფის ისტორიკოსიც მოგვითხრობს, რომ სახელოვანმა დედოფალმა ვარძიის მონასტერი ააშენა და ყველაფრით უზრუნველჰყო, ბევრი დიდი სოფლები შესწირა და „შეუმზადა ტრაპეზისა შემოსავალნი."

თვალი რომ გადავავლოთ თქვენს მიერ წარმოდგენილ მასალებს, დავინახავთ, რომ თავდაპირველად სასულიერო პირები იცავდნენ ქრისტეს მცნებას და თავიანთი შრომით ირჩენდნენ თავს. შემდეგ მათ საერო პირებისაგან შემოწირულობებს ფართოდ გაუღეს კარი, რამაც ისინი დიდი ქონების პატრონებად აქცია. ამ ქონებას და მამულებს ჯერ ისინი თვითონვე უვლიდნენ, მაგრამ შემდეგ ესეც უარყვეს და საერო პირთ მიანდვეს კვლავ მათი მოვლა-პატრონობა იმ პირობით, რომ მათ მოწეული ჭირნახული მონოზნებისთვის უნდა მიერთმიათ. რა მივიღეთ? როგორ უნდა შევაფასოთ ეს გარემოება?

„აი, სადამდის მიიყვანა, *აი, რით დაბოლოვდა მონაზნების წადილი, რომ ზნეობრივად სრული გამხდარიყვენ და ყოველგვარი უთანხმოებისა და შურის მიზეზი მოესპოთ: შრომის სრულის უარყოფით*!... მათ ეგონათ, რომ რაკი ბერებს არავითარი ქვეყნიური საქმე და საზრუნავი არ ექნებათ, მაშინ ისინი მხოლოდ ღვთაებასა და ზეციურ სასუფეველზე იფიქრებდნენ და მათს ზნეობრივ სისპეტაკეს არაფერი არ შელახავდა."

ბატონო ივანე! დღევანდელ ვითარებაზე რას გვეტყოდით?

„ჩვენში ბევრნი სარწმუნოებას ალმაცერად უყურებენ და ამის გამო თავიანთ ღირსების დამამცირებლად მიაჩნიათ საღვთისმეტყველო მეცნიერებაზე სჯა-ბაასიც კი. მაგრამ ამ შემთხვევაში ფრიად სამწუხარო ცნებათა აღრევა და გაუგებრობაა. რწმენა და ამა თუ იმ სარწმუნოების აღსარება ან უარყოფა და ურწმუნოება, რასაკვირველია, ყოველ ადამიანის პირადი შეგნებისა და გრძნობის საქმეა, მაგრამ სულ სხვაა სარწმუნოებათა ისტორიულ-მეცნიერული შესწავლა. შეიძლება ადამიანი ურწმუნოც იყოს, მაგრამ სარწმუნოებას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და იგი ადამიანთა მოდგმის სულიერ

შემოქმედების ერთ-ერთ უძლიერეს დარგის გამოხატულებაა. ამის უარყოფა არავის შეუძლიან.“

თქვენი აზრით, რაა რელიგიისადმი დამოკიდებულებაში დაქსაქსულობის მიზეზი? ან როგორ უნდა მოიქცეს თანამედროვე საერო ადამიანი?

„ახლა არავისათვის საიდუმლო არ არის, რომ მრავალ საუკუნეების განმავლობაში მხურვალე და წრფელ სასოების პატრონმა ქართველმა ხალხმა ეკლესიას თითქმის ზურგი შეაქცია და სრული გულგრილობა გამოიჩინა: ხალხს აღარ აკმაყოფილებს წინანდელი, მამაპაპური რწმენა და ზოგან სრულმა ურწმუნოებამ მოიკიდა ფეხი, ზოგან კიდევ ეგრედ წოდებული რაციონალური მიმართულებაა გამეფებული. სწორედ ბედნიერია ის განათლებული წრეები ხალხისა, რომელთაც შეუძლიანთ ამ დიად მოძრაობის სათავეში ჩადგნენ და სწორე, განიერ და ნაყოფიერ გზაზე დააყენონ იგი. ხალხს ხომ თავის თავად გზის გაგნება არ შეუძლიან. იგი გრძნობს მხოლოდ, რომ წინანდელი წესი ეხლა გამოუდეგარია, მაგრამ რა ცვლილება უნდა მოხდეს და როგორ, – ამისი გამორკვევის ძალღონე მას არა აქვს. სარწმუნოებრივ და ზნეობრივ შეხედულობის შეცვლა და გასწორება, რომელსაც მრავალ საუკუნეობის განმავლობაში თავისი მდიდარი მწერლობა, განვითარებული დოგმატიური და საეკლესიო წყობილება აქვს შექმნილი, ძალიან ძნელი და რთული საქმეა. თითოეულ სარწმუნოებრივ და ზნეობრივ შეხედულობასა და დაწესებულებას თავისი წარსული და მნიშვნელობა ჰქონდა. განათლებულ წრეების მოვალეობაა, შეიგნონ მნიშვნელობა თითოეულ ამგვარ დაწესებულებისა და გამოარკვიონ, აკმაყოფილებს იგი თანამედროვე მოთხოვნილებას თუ არა? ჩვენში კი ერთ მხარესა ჰგონია, ვითომც წირვა-ლოცვის გამშვენიერება და ქადაგების შემოღება აჩერებდეს ურწმუნოებისა და ეკლესიისადმი გულგრილობის გავრცელებას. მეორე მხარე კიდევ დარწმუნებულია, ვითომც საკმარისია ხალხს ჩააგონოთ, – მღვდელი და ხატი რად გვინდაო, რომ რაციონალურმა მიმართულებამ მართლა გაიმარჯვოს. ორივე მხარე შემცდარია იმიტომ, რომ გარეგნობა შინაარსად მიაჩნიათ და ზედაპირული საშუალებით სურთ დიდ საქმეს წინ გაუძღვენ. წინადაც ყოველთვის და ყოველგან ასე ყოფილა, რომ ერის მოძრაობისათვის გარკვეული მიმართულება განათლებულ წრეებს მიუნიჭებიათ; ასევე უნდა იყოს ჩვენშიაც.“

ბოლოთქმა

ივანე ჯავახიშვილი დიდი საზოგადო მოღვაწე იყო. მან პირველმა შენიშნა, რომ იმ ეტაპისათვის ყველაზე აუცილებელი ქართველი ერისათვის ქართული მეცნიერების შექმნა იყო. იმდროინდელი დანინაურებული ქვეყნების ცხოვრება სწორედ მეცნიერების აღმოჩენებსა და მიღწევებს ემყარებოდა. ქართველი ერსაც თავისი განვითარებას საფუძვლად მეცნიერება უნდა დადებოდა. მან არა მარტო ეს საჭიროება შენიშნა, არამედ მერე ხორციც თავადვე შეასხა. ქართული უნივერსიტეტის დაფუძნება ამ დიდი ამოცანის განახორციელების საშუალება იყო. ამიტომ „ინტერვიუებიც“ შესაბამისად დალაგდა:

1. „ეროვნული მოქმედების მტკიცე ხელმძღვანელი“

აქ ვცადე გადმომეცა ივანეს შეხედულება ზოგადად მეცნიერებაზე და შემდეგ კი მის უშუალო პროფესიაზე, რომელსაც იგი განიხილავდა, არა მარტო როგორც პიროვნების კეთილდღეობის გარანტს, არამედ, ერის მსახურების საშუალებას;

2. „უმაღლესი მეცნიერებისა და განათლების ცეცხლი“

აქ უშუალოდ უნივერსიტეტის დაფუძნების პერიპეტიებია გადმოცემული, სადაც ჩანს მისი ხედვა თუ როგორი უნდა ყოფილიყო უნივერსიტეტი ქართულ სინამდვილეში, რომ მას ერის მსახურების მისია ჯეროვნად შეესრულებინა;

3. „სახელმწიფო მოღვაწის სიბრძნე და უმანკო, ყოვლად მოწყალე, განურისხებელი გული“

ივანე ჯავახიშვილი პირუთვნელი და მიუდგომელი პიროვნება იყო. ამიტომ საინტერესოა მისი მოსაზრებები ცნობილ ქართველ მოღვაწეებზე. მათ დახასიათებაში ხომ თავად ივანეც პორტრეტიც იხატება;

4. „ქართველი ხალხის ძირითადი ზნეობრივი შეხედულება სახარების მოძღვრებაზე იყო დამყარებული“

ივანე ჯავახიშვილი დიდი წვლილი აქვს საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენაში. ამიტომ საინტერესოდ ჩავთვალე მისი მოსაზრება რელიგიასა და მის მნიშვნელობაზე მისივე სიტყვებით წარმომედგინა.

მე შევეცადე.

რაღაც გამოვიდა.

მსჯავრი კი თქვენზეა.